ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 5-6, 2015

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; ზ. ვაშაკიძე; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); ო. ფაჩულია; დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе, Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (**Украина**); Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Фачулия О., Чикава Л., Читанава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; E. BARATASHVILI; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V. PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE O. FACHULIA; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. JIBUTI; R. JABNIDZE.

თბილისი - 2015

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი - აგრარული პოლიტიკის გამტარებელები საქართველოში, პრობლემები, შესაძლებლობები და ალტერნატივები ----------6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემები

ეთერ თაკალანძე - ქვეყანაში სისხლის მემკვიდრეობითობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციული საფუძველი მამისეული გვარის მუდმივად შენარჩუნებაა ---------- 17
მეგი გორგასლიძე - ეკონომიკური ზრდის ტემპები და თანამედროვეობა ---------- 47
მერაბ მიქელაშვილი - იბნ ხალდუნის ეკონომიკური შეხედულებები ---------- 57

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ზვიად ბეშკენაძე, შოთა ლომინაშვილი - ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში ---------- 73

რეგიონული ეკონომიკა

ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი - „რეგიონული კლასტერი" ევროპული ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების საუკეთესო გზა ქართველი ფერმერებისათვის ---------- 90

დარგობრივი ეკონომიკა

ნანა კირვალიძე - საქართველოში ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის შესახებ ---------- 100

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

მანანა სამადაშვილი - კონფლიქტი პერსონალის
მართვის პროცესში ---------- 112
თამარ კილაძე, იულია თედეევი - ეკონომიკური ინტერესები
და მათი როლი კორპორაციულ ურთიერთობებში ---------- 119
მანანა სამადაშვილი, ეკატერინე გობეჯიშვილი -
ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების
მეთოდები პერსონალის მართვის პროცესში ---------- 130

მსოფლიო ეკონომიკა

გიორგი ხიდეშელი, გოჩა ლობჟანიძე, გუგა ბერძენიშვილი -
ინდუსტრიალიზაციის პროცესების გავლენა ტრანზიციული
ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის განვითარებაზე ---------- 138

CONTENT

ECONOMIC REFORMS: ANALYSES, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili - The Agricultural Policymakers in Georgia, problems, Opportunities and Alternatives ---------- 6

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Eter Takalandze - The Political and Economic Organization Basis of Blood Heredity in the Country is To Maintain the Continuity of the Paternal Family Permanently ---------- 17
Megi Gorgaslidze – The Rates of Economic Growth and Contemporaneity ---------- 47
Merab Miqelashvili - The Economic Views of Ibn Khaldun ---------- 57

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Zviad Beshkenadze, Shota Lominashvili - The Expected Socio-economic Results of Devaluation of the National Currency in Georgia ---------- 73

REGIONAL ECONOMY

Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili - "Regional Clusters" - The Best Way for Georgian Farmers to adapt to the Requirements of the European Market ---------- 90

SECTORAL ECONOMY

Nana Kirvalidze - About the Carriage-Building Holding Company in Georgia ---------- 100

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Manana Samadashvili - Conflict in the Process of Personnel Management ---------- 112

Tamar Kiladze, Iulia Tedeevi - Economic Interests
and Their Role in Corporate Relations---------- 119
Manana Samadashvili, Ekaterine Gobejishvili - The Training Methods
for Improving Top-level Managers' Skills in the Process
of Personnel Management ---------- 130

WORLD ECONOMY

Giorgi Khidesheli, Gocha Lobjanidze, Guga Berdzenishvili -
The Influence of the Industrialization Process on the Development
of the Economic Potential of the Transitional Countries ---------- 138

აგრარული პოლიტიკის გამტარებელები საქართველოში, პრობლემები, შესაძლებლობები და ალტერნატივები

ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე. სტატიაში განხილულია ქართული აგრარული პოლიტიკის მართვის მიმდინარე მოდელი და კოორდინაციის ის პრობლემები, რომლებიც არსებობს მასში მონაწილე სხვადასხვა სტრუქტურებს შორის. ჩამოყალიბებულია ექსპორტის მასტიმულირებელი აგრარული პოლიტიკის მართვის სქემატური მოდელი, სადაც გათვალისწინებულია ცენტრალური მთავრობის, რეგიონული თვითმმართველობებისა და ბიზნესის კოორდინირებული თანამშრომლობის პლათფორმა.

შესავალი. ქართული აგრარული სექტორი დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი განვითარების სტიმულირება მხოლოდ სწორად შერჩეული და გააზრებული, კომპლექსური აგრარული პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი. მით უფრო, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებამ წარმოშვა თეორიული შესაძლებლობა ეკონომიკის გაზრდისა და ევრპულ ბაზრებზე გასვლისათვის.

აგრარული პოლიტიკა ხორციელდება საბაზრო, იერარქიული და ქსელური აგენტების ურთიერთთანამშრომლობის შედეგად. ეფექტიანი პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელია მათი სწორი კოორდინაცია. სამთავრობო რეგულაციებმა უნდა წაახალისოს ბიზნესი აგრარულ სექტორში ინვესტირებისათვის, საკანონმდებლო, დაბეგვრისა და სუბსიდირების პოლიტიკით მიანიშნოს ექსპორტის მოცულობის ზრდისკენ. საბაზრო კოორდინაციის ხელშეწყობისა და უცხოელ ინვესტორებთან

თუ პარტნიორებთან ურთიერთობის უზრუნველსაყოფად კი უნდა ჩამოყალიბდეს "ქსელური ეკონომიკური აგენტები"-სასაქონლო ბირჟები, საკონსულტაციო და მარკეტინგული ორგანიზაციები, რომლებიც მოახდენენ ბიზნეს-რეესტრების წარმოებას, ერთგვაროვანი და შემავსებელი პროდუქტების მწარმოებელთა სახელშეკრულებო გაერთიანებას და მოცულობის ეფექტის შექმნას ექსპორტის ხელშეწყობისათვის.

საკვანძო სიტყვები. აგრარული პოლიტიკა; მართვა; აგრარული პოლიტიკის გამტარებლები; აგრარული პოლიტიკის მართვის სქემატური მოდელი.

ძირითადი ნაწილი. ნებისმიერმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, იქნება ის მაკროეკონომიკური თუ დარგობრივი, უნდა გააანალიზოს ისეთი კომპლექსური საკითხები, როგორიცაა: რა მიზნებს ისახავს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა? რა წინაპირობები არსებობს სასურვლი მდგომარეობის შესახებ? მოვლენების რა განვითარებაა სასურველი? რას აკეთებს სახელმწიფო, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი? როგორია აქტუალური ეკონომიკური მდგომარეობა? რა პერსპექტივები იკვეთება? რა საშუალებებს (ინსტრუმენტებს) იყენებს სახელმწიფო მიზნის რეალიზაციისათვის? რა ეფექტი მოაქვს დაგეგმილ ღონისძიებებს და რა შედეგი მიიღწევა, თუ არაფერი მოხდება?

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს მკვეთრად დანაწევრებული ისედაც მცირე მიწათმოქმედების ფონდი, იმ ფონზე, როდესაც მიწა სოფლის მეურნეობაში ძირითადი "კაპიტალი" და ხშირ შემთხვევაში წარმოების ერთადერთი საშუალებაა. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ტერიტორიასა და ბუნებრივ-კლიმატურ სექტორში განლაგებულ წარმოებას განსხვავებული სტრუქტურა და განვითარების პოტენციალი გააჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის განსხვავებული მიდგომა განსხვავებულ რეგიონებში, რათა მოხდეს არსებული რესურსის ეფექტიანად გამოყენება და უკუგების ამაღლება.

დასმული ამოცანის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ სწორად ორგანიზებული და სოფლის მეურნეობაში ეფექტიანი ორ-

განიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დანერგვითა და მათი ინტენსიური წარმოების სამსახურში ჩაყენებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ არაეფექტიან, მხოლოდ შიგა მეურნეობისათვის განკუთვნილი აგრარული წარმოებისათვის თანხის ხარჯვას მუდმივ რეჟიმში, რაც დიდ ტვირთად დააწვება ქვეყნის ბიუჯეტს და მხოლოდ სოციალური ეფექტის მატარებელი იქნება.

სწორი აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელთა ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაშიც, სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სოფლის მეურნეობის განვითარებით მიღებული სარგებელი, თუ იგი მხოლოდ სოციალურ მიზნებზე აგებული სიღარიბის წინააღმდეგ პოლიტიკის განხორციელების შედეგია, სოფლის მეურნეობის პასიური როლის აღიარებაა, ხოლო თუ სახელმწიფოსთან ერთად კერძო კაპიტალდაბანდებებისა და ინფრასტრუქტურის ზრდით სოფლის მეურნეობა კომერციულ მნიშვნელობასაც შეიძენს, მაშინ გაიზრდება ფერმერთა კონკურენტუნარიანობა და აგრარული ბიზნესგარემო.

აგრარული პოლიტიკა სოფლის მეურნეობების ქვესექტორების განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ამავე დროს მთავრობას შეუძლია დააჩქაროს კონკრეტული სექტორების განვითარების ტემპი სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებით, სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით თუ საგადასახადო შეღავათების დაწესებით. აგრეთვე, შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი და საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი კვების და მრეწველობის სხვა სექტორების განვითარების სტიმულირება, რაც ასე დიდ როლს თამაშობს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

აგრარული პოლიტიკა ხორციელდება საბაზრო, იერარქიული და ქსელური აგენტების ურთიერთთანამშრომლობის შედეგად. ეფექტიანი პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელია სექტორში მონაწილე აგენტების სწორი ურთიერთთანამშრომლობა. სამთავრობო რეგულაციებმა უნდა წაახალისოს ბიზნესი აგრარულ სექტორში ინვესტირებისათვის, საკანონმდებლო, დაბეგვრისა და სუბსიდირების პოლი-

ტიკით მიანიშნოს ექსპორტის მოცულობის ზრდისკენ. საბაზრო კოორდინაციის ხელშეწყობისა და უცხოელ ინვესტორებთან თუ პარტნიორებთან ურთიერთობის უზრუნველსაყოფად კი უნდა ჩამოყალიბდეს "ქსელური ეკონომიკური აგენტები"-სასაქონლო ბირჟები, საკონსულტაციო და მარკეტინგული ორგანზიაციები, რომლებიც მოახდენენ ბიზნეს-რეესტრების წარმოებას, ერთ-გვაროვანი და შემავსებელი პროდუქტების მწარმოებელთა სახ-ელშეკრულებო გაერთიანებას და მოცულობის ეფექტის შექმნას ექსპორტის ხელშეწყობისათვის.

თანამედროვე მსოფლიოს რეალობაში სულ უფრო იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებზე დამოკიდებულების ხარისხი და ხშირ შემთხვევაში, ზოგიერთ სახელმწიფო კანონზე მაღლა დგება საერთაშორისო კანონები. შესაბამისად ქართულ აგრა-რულ სექტორშიც, სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ მოქ-მედებენ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ქართული აგრარული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებე-ბზე გავლენას ახდენს ევროსაბჭო, რომელთანაც ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ აიღო საკანონმდებ-ლო ბაზის დაახლოების ვალდებულება. სახელმწიფოსთან ერთად გასატარებელი ღონისძიებების თანადაფინანსებას ახორციელე-ბენ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები.

დღეისათვის ქართულ აგრარულ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასში შემავალი სსიპ-ები: სურსათის ეროვნული სააგენტო; ღვინის ეროვნული სააგენტო; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო; სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; საქართველოს გაერთიანებული სამელიო-რაციო სისტემების კომპანია; შპს "მექანიზატორი"; რომლებიც ახდენენ სამინისტროს ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფასა და მონიტორინგს. ინფრასტრუქტურულ პროექტებს კი ახორციე-ლებენ რეგიონული თვითმმართველობები.

კერძო სექტორი არაეფექტიანადაა ჩართული აგრარული სე-

ქტორის და აგრარული პოლიტიკის ფორმირების ეტაპებში. მათი აზრის გათვალისწინება და მათი შენიშვნებისა თუ წინადადებების განხილვა მხოლოდ და მხოლოდ ჩინოვნიკების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

ვფიქრობთ, განვითარების სწორედ ამ მოდელის "დამსახურებაა" ის შეუსაბამობები და არათანმიმდევრული აქტივობები, რომლებიც ამცირებს განხორციელებული პროექტების ეფექტიანობას. მაგალითად, მაშინ როდესაც გლეხებს ვაუჩერები დაურიგდათ სასოფლო-სამეურნეო აქტივობებისათვის, აღმოჩნდა, რომ არასაკმარისი იყო მექანიზაცია, რამაც გამოიწვია რიგები, ფასის ზრდა მიწის ფართობის დამუშავებაზე და სხვა. კიდევ ერთი შეუსაბამობა გამოიწვია მიწის გაყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადებამ (პოლიტიკური გადაწყვეტილება). მაშინ, როცა ქვეყანაში პრიორიტეტად დეკლარირებული იყო აგრარულ სექტორში ფინანსების მოძიება და ეკონომიკის სამინისტრო მუშაობდა დარგში ინვესტიციების მოსაზიდად, ქვეყანაში აგრარული მიწის ყიდვა და ხანგრძლივი იჯარით აღება შეუძლებელი იყო, რაც მკვეთრად ამცირებდა ინვესტიციების განხორციელების მოტივაციას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ აუცილებელია მოხდეს სხვადასხვა სამთავრობო და რეგიონულ სტრუქტურებს შორის კოორდინაცია და ერთობლივი პროექტების განხორციელების მოცულობა გაიზარდოს. გარდა ამისა, აუცილებელია მოხდეს მეწარმეთა და მთავრობას შორის თანამშრომლობის კოორდინირებული სისტემის შექმნა. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სამთავრობო პროექტების და ბიუჯეტის შეზღუდული რესურსების ფერმერებისათვის პრიორიტეტული მიმართულებებით დახარჯვას. მოახდენს თავად ფერმერული და ბიზნეს გაერთიანებების ჩამოყალიბების სტიმულირებას და გაზრდის დარგში ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობას.

ქართველი ბიზნესმენებთან კონსულტაციისა და ევროპული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკის მართვის სქემატური მოდელი. სადაც ვეცადეთ მაქსიმალურად მოგვეხდინა დაინტერესებული მხარეების ინტეგრირებული მუშაობისათვის საჭირო სისტემის შექმნა. (იხ. დიაგრამა)

დიაგრამა 1. აგრარული პოლიტიკის მართვის სქემატური მოდელი



ამჟამად ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში ცალ-ცალკე ფუნქციონირებს "ექსპორტის სააგენტო" და "ღვინის ეროვნული სააგენტო". რეალურად ამ ორი ორგანიზაციის ფუნქცია-მოვალეობები ურთიერთგადამფარველია და საბოლოოდ არცერთი მათგანი არ მუშაობს ექსპორტისათვის არსებული შიგა ბარიერების გადალახვაზე, საკანონმდებლო და სტანდარტიზაციის სამუშაოების შესრულებაზე.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მოდელში ეს სსიპ ფორმალურად გამოსულია რომელიმე კონკრეტული სამინისტროს დაქვემდებარებიდან, ექვემდებარება საქართველოს მთავრობის მეთაურს და მისი ფუნქციაა ექსპორტის საკითხების კვლევა როგორც მაკროეკონომიკურ, ისე მარკეტინგულ დონეზე.

სააგენტოს ეგიდით გარკვეული პერიოდულობით (წელიწადში რამდენჯერმე) და რიგგარეშედ- სპეციალური საჭიროებისას ან ბიზნეს-ასოციაციის მოთხოვნით უნდა მოეწყოს კონფერენციები, შეხვედრები და დისკუსიები, რათა მოხდეს კონკრეტული პრობლემების, შესაძლებლობების და საფრთხეების გამოვლენა, გაანალიზება. ამავე სააგენტოს ფუნქცია იქნება ბიზნეს-ასოციაციებთან და სამთავრობო უწყებებთან, ასევე პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ახალი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაწარდგენისათვის.

ამ ორგანიზაციაში აგრარული სფეროს წარმომადგენლები უნდა იყვნენ ფერმერთა გაერთიანებები და ასოციაციები, რაც კიდევ ერთი დამატებითი სტიმული იქნება მსგავსი გაერთიანებების ჩამოყალიბება, გამსხვილება და გაძლიერებისათვის.

სააგენტოს დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი და დონორი ორგანიზაციებისაგან მიღებული გრანტები.

სააგენტოს ფუნქციები ჩვენი შეხედულებით უნდა მოიცავდეს და შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

1. არსებული საექსპორტო ბაზრების ეკონომიკური და პოლიტიკური ანალიზი, მათი გაფართოების შესაძლებლობების შესწავლა.

2. არსებულ ბაზრებზე პროდუქციის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების და პრობლემების გამოვლენა.

3. ბიზნესთან თანამშრომლობით ახალი, პოტენციური ბაზრების გამოვლენა და შესაბამისი სტანდარტების და საკანონმდებლო უზრუნველყოფის ჩარჩო კონცეფციების მომზადება.

4. ქვეყნის იმიჯის დაცვა არაკეთილსინდისიერი ექსპორტიორებისაგან, რომლებიც შეუსაბამო პროდუქციის ექსპორტირებით, ბაზრის დაკარგვის საფრთხეს ქმნიან.

5. პროდუქციის ხარისხთან და ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.

6. ბიზნესის წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე, საექსპორტო პროდუქტის შექმნისა და მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების მიზნით წინადადებების მომზადება

7. საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა ექსპორტიორებისათვის.

8. განათლების სამინისტროსთან კოორდინაციით, მოახდინოს თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოოგიების, აგრეთვე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნის სტრუქტურის შესახებ ექსპერტთა მოწვევა და ტრეინინგების ორგანიზება.

9. საერთაშორისო ხარისხის შესაბამისი სერტიფიცირების ორგანიზაციების ჩამოყალიბების სტიმულირება.

10. სამეცნიერო საზოგადოებასთან და ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გამოვლენისა და გაფართოებისათვის.

11. სპეციალური პროექტების მომზადება და ინიცირება, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტების წარმოების სტიმულირებისათვის.

12. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და რეგიონულ თვითმმართველობებთან კონსულტაციების გამართვა, რათა შეძლებისდაგვარად პრიორიტეტი მიენიჭოს იმ ტიპის ინფრასტრუქტურის აღდგენას, რომლითაც დაინტერესებული არიან ექსპორტიორები და ფერმერთა ასოციაციები.

13. რეგიონული კლასტერებისა და მსხვილი ექსპორტიორების კონტროლი, რათა მათ არ ისარგებლონ მთლიანად ან ნაწილო-

ბრივ მონოპოლიზირებული მდგომარეობით და მისაღებ ფასად მოახდინონ მოსახლეობისაგან ნედლეულის შეძენა. (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შუამდგომლობა ფასის ნაწილის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებისათვის)

ექსპორტის ეროვნული სამსახურის დაქვემდებარებაში ცალკე დეპარტამენტად გამოვყავით პროექტების შესრულების დეპარტამენტი, რამდენადაც პროექტების განხორციელება ყველაზე ხშირად ხდება კორუფციის წყარო. მით უფრო, ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროექტს "მრავალი მაკონტროლებელი" ყავს. ყველა პროექტი, რომელიც განხორციელდება ექსპორტის სტიმულირების კუთხით და სამინისტროების ინიციატივით, მოხვდება ერთი სტრუქტურის ხელში. შედეგად არ მოხდება პასუხისმგებლობის გადანაწილება, რაც გაამკაცრებს და გამჭვირვალეს გახდის პროექტის მიმდინარეობის კონტროლს. ამავე სააგენტოს დაექვემდებარება ისეთი "შემსრულებელი" სსიპ-ები, როგორიცაა "მექანიზატორი"; "პროექტების მართვის სააგენტო" და სხვა.

გარდა ამისა, სააგენტოს საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ფერმერული გაერთიანებებისა და ასოციაციების მაქსიმალურად გაძლიერებისაკენ. შედეგად ისეთი კაპიტალ-ტევადი ფუნქციები, როგორიცაა: საექსპორტო ბაზრების კვლევა, ინოვაციების მოძიება, ახალი საექსპორტო პროდუქტების გამოვლენა და სხვა, ეტაპობრივად უნდა გადავიდეს ამ რეგიონული გაერთიანებების ფუნქციებში. ეს შეამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს და გამოანთავისუფლებს დამატებით სახსრებს დეპრესიული და არაკომერციული რეგიონების განვითარებისათვის, რომელთა შენარჩუნებაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნისათვის. (მაგ: სასაზღვრო ზოლის სოფლები, მაღალმთიანი რეგიონები და სხვა).

აგრარული და რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტირებისას აუცილებელია პრიორიტეტების სწორად დასახვა. აუცილებელია იმ რეგიონებისა თუ სოფლების წახალისება, სადაც დარეგისტრირებულია კოოპერატივები და სადაც სჭირდებათ ხელშეწყობა შესაბამის ასოციაციებს. პრორიტეტების გამოვლენა ბევრად გამარტივდება ჩვენს მიერ შემოთავაზებული მართვის მოდელის განხორციელების შემთხვევაში.

აგრარული პოლიტიკის მართვის ზემოაღნიშნული მოდელის გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის კოორდინაციას, შეამცირებს დარგში არსებული პრობლემების გამოვლენის და მართვის გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო დროს. და ბოლოს მკვეთრად გააუმჯობესებს მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების ეფექტიანობას. შეამცირებს კორუფციის რისკს და გამოიწვევს ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალურ ჩართულობას აგრარული სექტორის მართვაში. ანუ ფაქტიურად გააუმჯობესებს ყველა იმ მაჩვენებელს, რომელიც დღეისათვის პრობლემურია ქართული აგრარული პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზე.

THE AGRICULTURAL POLICYMAKERS IN GEORGIA, PROBLEMS, OPPORTUNITIES AND ALTERNATIVES

Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili
TSU, PHD Student

Resume

Georgian agricultural sector is in such a condition that only the thoughtful and properly selected comprehensive agrarian policies can stimulate its development. Agricultural policy is carried out as a result of a cooperation of the hierarchical and network agents in the market. Their proper coordination is necessary for developing the effective policies and action plans. The governmental regulations must encourage businesses to invest in the agricultural sector, indicating about the growth of export volume with legislative, taxation and subsidy policies. The "network of economic agents"- commodity exchanges, consulting and marketing organizations- should be established to ensure a market coordination and promotion of relations with foreign investors or partners.

The article describes the current model of Georgian agricultural policy management and coordination problems that exist between the various structures involved. The aim of the article is to discuss the ways of reduction of the negative consequences of a low coordination level

between the various governmental and non-governmental structures. There is the schematic model of agricultural policy management, in which there is provided the platform for a coordinated cooperation of the central government, regional governments and business.

Keywords: Agricultural Policy; Management; Agricultural policy-makers; the schematic model of agricultural policy management;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი რ, გოგორიშვილი ი. "ეკონომიკური პოლიტიკა"; 2 ნაწილი თბილისი, 2012.

2. The Common Agricultural Policy; A partnership between Europe and Farmers; European Commission-2013

3. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება **(DCFTA)**

4. ებერლინი რ. ჰერანზი მ., მ. ლ. სილერი, ა. ნილი, ს. ოგრადი, დ. ანგელოვსკი, ზ. ჩეკურაშვილი " სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო" - FAO-ს რეგიონული ოფისი ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის; 2012წ.

BIBLIOGRAPHY:

1. Gvelesiani R, Gogorishvili I.. "Economic Policy"; Part 2, Tbilisi, 2012 (In Georgian Language).

2.The Common Agricultural Policy; A partnership between Europe and Farmers; European Commission-2013

3.Deep and Comprehensive Free Trade Agreement **(DCFTA)** (In Georgian Language) .

4. Eberlini d. Heranzi m., M. L. Sileri, a. Neill's. Ogradi, d. Angelovski, g. Chekurashvili "Evaluation of Agriculture and rural development sectors in the countries of Eastern Partnership- Georgia" - FAO-'s Regional Office for Europe and Central Asia; 2012. (In Georgian Language).

ქვეყანაში სისხლის მემკვიდრეობითობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციული საფუძველი მამისეული გვარის მუდმივად შენარჩუნებაა

ეთერ თაკალანძე
ეკონომიკის დოქტორი

რეზიუმე. სტატიაში - ქვეყანაში სისხლის მემკვიდრეობითობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის საფუძველი მამისეული გვარის მუდმივად შენარჩუნებაა - წარმოჩინებულია ოჯახის ორგანიზაცია-მართვის ტრადიციული ფორმის - ქალიშვილობის ინსტიტუტის - შესაბამისობა უზენაესი ასტრო-ფიზიკური კანონის სოციალურ კანონზომიერებასთან; დასაბუთებულია, რომ ეს ინსტიტუტი ეფუძნება მამაკაცური აზროვნებით საზოგადოებრივი განვითარების მართვის სოციალურ მოთხოვნას და, - რომ იგი დამდეგი ორიათასწლეულის საზოგადოებრივ პოლიტიკურ- ეკონომიკურ სისტემაში კონსტიტუციურად უნდა აისახოს; განხილულია ქვეყანაში კაპიტალისტური პოლიტიკურ- ეკონომიკური სისტემის ეროვნულ-დემოკრატიულით შეცვლის ეროვნული მოთხოვნილების სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან იგნორირების ფაქტი; დასაბუთებულია საქართველოში პოლუტიკურ-ეკონომიკური სისტემის ეროვნულ- დემოკრატიულ იდეოლოგიაზე აგების ობიექტური აუცილებლობა.

ახალ, ქრისტიანულ- მართლმადიდებლურ რელიგიურ, სამეცნიერო- საინფორმაციო წყაროზე დაყრდნობით, ნაშრომში მოკვლეულია დამდეგ ორიათასწლეულში ასტრო-ფიზიკურად განსაზღვრული ეროვნულ-საკაცობრიო სულიერი მახასიათებლების ზღვრული მაჩვენებლები; მოკვლეულია სახელმწიფოში დემოკრატიულობის ხარისხისა და ადამიან-

ის საზოგადოებრივი თვითშეგნების დონის ახალ ეტაპობრივ საფეხურზე - მე-5-დან მე-6 დონეზე ამაღლების სოციალური მოთხოვნები ეროვნებებთან და მთელ კაცობრიობასთან მიმართებაში.

ძირითადი ტექსტი. ადამიანის საზოგადოებრივი თვითშეგნების დონე მის ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის დემოკრატიულობის ხარისხის, ე.ი. სახელმწიფოს ორგანიზაცია- მართვაში, კონკრეტულად, არჩევნებში ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნების გამომხატველობის, შესაბამისია; თუმცა, როგორც ამას ადრე აღვნიშნავდით, კანონზომიერება-„ლაზარე“, აღნიშნული დონის კონკრეტულ, ზღვრულ, სავალდებულოდ შესასრულებელ ნიშნულს განუსაზღვრავს მთელს კაცობრიობასაც [2, 44-45]; - განუსაზღვრავს იგი კაცობრიობას ამ მაჩვენებლის ზღვრულ, საშუალო-საკაცობრიო ნიშნულს, ქრისტიანული წელთაღრიცხვის ყოველი ახალი ორიათასწლეულის დასაწყისში, იმ სოციალური მოთხოვნით, რომ დედამიწაზე მოსახლე, თვითგანვითარებისუნარიანმა ეროვნებებმა, ორიათასწლიან ვადაში ეს ზღვრული მაჩვენებელი უნდა აითვისონ.

ანუ, აღნიშნული საერთო-საკაცობრიო საქმიანობისა და, კონკრეტულად, ხსენებული მაჩვენებლის, (ადამიანის საზოგადოებრივი თვითშეგნების, როგორც ეროვნულ-საკაცობრიო დანიშნულების მქონე, სოციალურ-მეცნიერული კატეგორიის), გააზრება-ასახვა საზოგადოებრივ მეცნიერებაში და, კონკრეტულად, პოლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიაში, ცხადია, მოიცავს საზოგადოებრივ-მეცნიერული ცნებების - „კაცობრიობა“, „ერი“, „ხალხი“, „საზოგადოება“ და სხვათა, სოციალურ- მეცნიერული თვალსაზრისით განმარტებებს, ე.ი. - მათი, როგორც სოციალურ-მეცნიერული კატეგორიების, თეორიულად ჩამოყალიბებული, ზუსტი ვერსიით შემეცნებას .

აღნიშნული თემის სოციალურ-მეცნიერული გამოკვლევა საქართველოში გაკეთებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, მიხეილ (მიხაკო) წერეთ-

ლის მიერ, ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნის დამდეგს; მეცნიერმა თავის წიგნში - „ერი და კაცობრიობა“, ახსნა რა ამომწურავად, ზემოხსენებული საზოგადოებრივ-მეცნიერული ცნებების სოციალური ბუნება, დღეს ჩვენთვის აშკარავდება, ამ ახსნის ადექვატურობა კანონზომიერება-„ლაზარეს“ სოციალურ მოთხოვნებთან ადამიანის (ერი,,კაცობრიობა) მიმართ [3]; ეს მოთხოვნები კი, როგორც ეს ჩვენ ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ა სთან ზიარების კვალობაზე, კანონზომიერება - „ლაზარეს“ მეცნიერული დასაბუთების შედეგად გამოვიკვლიეთ, მოიცავს დედამიწაზე კაცობრიობისათვის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერების მოვლინების, ასევე, ადამიანის (ერი, კაცობრიობა) ამ ცნობიერებასთან ზიარებისა და მისი დაცვის გზებზე რელიგიური მინიშნებების, ნაწილობრივად, შემეცნებასაც; უფრო კონკრეტულდ, იგი მოიცავს ადამიანის (ერი, კაცობრიობა) თვითგანვითარების საქმეში, კონკრეტულად სისხლის მემკვიდრეობითობის, ზოგადად, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის თანმიმდევრულად და მუდმივად, ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვრებში დაცვის სოციალური მოთხოვნის აღსრულების, - ამ მოთხოვნის, სწორედ, ეროვნული საზოგადოებრივობის (სტრუქტურა; ოჯახი- გვარი- ტომი -ერი) თვითშემოქმედების ორგანიზების საფუძველზე აღსრულების გზის შემეცნებას. ეს კი, თავისთავად, ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის საფუძველზე ქვეყნის სახელმწიფოებრივი სისტემის აგების აუცილებლობის, - ამ უკანასკნელის, როგორც სოციალური მოთხოვნის, მხილებაა. ამასთან ერ,თად, არსებითი სოციალურ-მეცნიერული ინფორმაციული დანიშნულებისაა ის რეალობა (ფაქტი), რომ ამ კონკრეტული მოთხოვნისა და, საერთოდ, კანონზომიერება - „ლაზარეს“, როგორც ასტრო-ფიზიკური სოციალური კანონზომიერების, არსებობა-ფუნქციონირება არის ხსენებული მხილების ნიადაგზე, უკვე პრაქტიკულად დადასტურებული; - დადასტურებულია იგი, მაგალითად, საქართველოს მიწა-წყალზე ქართველი ერის თვითდამკვიდრების ისტრორიის ათასწლეულებით, ან/

და, ასე ვთქვათ, - არა მხოლოდ ქართველი ერის ისტორიის დიდი ხანგრძლივობით.

ირკვევა, რომ კანონზომიერება-„ლაზარეს“ სოციალური მოთხოვნები, თავისი არსით, არის ზნეობრივ-მორალური პრინციპები, რომლებიც ქრისტიან-მართლმადიდებლური და, ზოგადად, რელიგიური ცნობიერების ბაზაზე, კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობაში ისტორიულად არის დამკვიდრებული. ანუ, ადამიანის (ერი, კაცობრიობა) განვითარების ისტორიის მანძილზე, ზნეობრივ-მორალური პრინციპები მსახურებ-დნენ რა რელიგიურად, ამა თუ იმ ქვეყანაში თვითგანვითარების მშვიდობიანად წარმართვის გზით დემოკრატიულობის ხარისხის, (ე.ი..ადამიანის საზოგადოებრივი თვითშეგნების, ზღვრულ დონემდე ამაღლების), ეროვნულ-საკაცობრიო საქმეს, დღეს, ზემოხსენებულ, ასტრო-ფიზიკური პროცესების შემეცნების წყაროსთან (ახალი ს ი ტ ყ ვ ა) ზიარების კვალობაზე, ეს პრინციპები უკვე, ამ, ასტრო-ფიზიკურად განსაზღბრული სოციალური კანონზომიერების განსაზღვრულობად გვევლინება; ამ კანონზომიერების ასტრო-ფიზიკური ანუ უზენაესი კანონით განსაზღვრულობა კი, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ, ხსენებული სოციალურ- მეცნიერულ ნაშრომზე დაყრდნობით დავასაბუთეთ საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერული თვალსაზრისით; შესაბამისდ, ამ წყაროს, როგორც საზოგადოებრივი შემეცნების საგნის, საქვეყნოდ აღიარება არის ის წინაპირობა, რომელიც აუცილებელია ეროვნული დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს დაცვისა და ქვეყანაში სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის ეტაპობრივი ამაღლებისათვის, - ქვეყანაში სოციალურ-მეცნიერული თეორიის ახალი ეტაპობრივი განვითარების ნიადაგზე, საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის მემკვიდრეობითობითი განვითარების უწყვეტობისათვის.

მოკლედ, სადღეისოდ, საქართველოში არსებობს სათანადო ბაზა, ხსენებული საზოგადოებრივ-მეცნიერული ცნებების, როგორც სოციალურ-მეცნიერული კატეგორიების, გააზრება-გამოყენებისათვის. აშკარავდება საზოგადოებრივ-

მეცნიერული ცნების - „ე რ ი ს“ განმარტებაში, ზემოთ წარმოჩინებული ახალი საზოგადოებრივ-მეცნიერული ინფორმაციის ასახვის, - საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მეცნიერებაში, მეტადრე, პოლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ე რ ი ს, როგორც ს ო ც ი ა ლ უ რ - მეცნიერული კატეგორიის, ასახვის აუცილებლიბაც და, შესაძლებლობაც.

კაპიტალისტურ-საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები, როგორიც ის, მეტადრე, გასული ორიათასწლეულის ბოლო საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა დედამიწაზე და ვითარდება დღევანდელ საქართველოში, ეფუძნება მოსახლეობის ქონებრივი დისკრიმინაციის პრინციპს; ანუ, იგი გამორიცხავს ცნების - „ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა „ სოციალურ- მეცნიერული წარმომავლობის სახელმწიფოებრივად დაცვას. ეს კი, პირდაპირ თუ ვიტყვით, ანტიმეცნიერული ქმედებაა; იგი პრაქტიკულად განხორციელდება მოსახლეობის მცირე ნაწილის ინიციატივითა და ზეგავლენით, რომელიც არაჯანსაღი სულიერი ძალების მსოფლიო დონეზე კორუმპირების ფარული განზრახვითა და სიცრუეზე დაყრდნობით, უმიზნებს ქვეყნებში სახელმწიფოებრივი რესურსების ეროვნულ-სტრატეგიული მიზნებიდან აცილებას, - უმიზნებს სისტემური ურთიერთობების შექმნის, (ან/და, თუ ასე ვიტყვით), „მსოფლიო ანტი ეროვნულ-დემოკრატიული გაერთიანების“ შექმნის) გზით, მსოფლიო ერთმართველობის კაპიტალისტური სისტემის შექმნას. უკანასკნელი, ცხადია, უარჰყოფს ადამიანის საზოგადოებრივი განვითარების საქმეში მისი სოციალური (მემკვიდრეობის გზით თვითშემოქმედება) წარმომავლობის დაცვას; სწორედ ეს რეალობა, - რომ ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების პრაქტიკაში რეალიზდება არაპირდაპირი, ცრუ და რეალობის გაყალბების მეთოდები და ხერხები (!!), განაპირობებს, ცხადია, სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსის მდგომარეობას; - განაპირობებს ადამიანის, ერისა, ქვეყნისა თუ მსოფლიო დონეზე, მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სულიერ-მატერიალური ძირითადი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას ; ეს რეალობა

ააშკარავებს დღეს უკვე ყველა ამ დონეზე,, თვითონ ადამიანის აზროვნებაში, თავად ადამიანის (ერი, კაცობრიობა) თვითგადარჩენის პრობლემას; - შექმნილია სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის აღდგენა-განვითარების მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის განახლების, ე,ი, თავად ამ კაპიტალისტურ-საზოგადოებრივი ურთიერთობების, როგორც ანტისოციალურ-მეცნიერული სისტემის, დაშლის აუცილებლობა; ამ სისტემამ თავისივე პრაქტიკით გამოავლინა კაპიტალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის ეროვნულ-დემოკრატიული თეორიით ჩანაცვლების საფუძველი, - შექმნა კრიზისული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები, რომლებიც ქმნიან და აშკარას ხდიან ქვეყანის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობეში კეთილი გონის პრიორიტეტული განვითარების ორგანიზებისა და მშობლიურ ქვეყანაში ადამიანის ეროვნული უფლებების სახელმწიფოებრივად დაცვის გარდაუვალობას.

ეკონომიკის სოციალურობა, მცნების - „არა კაცთკვლა“ დაცვაში, ე.ი. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაში, რომ უნდა გამოიხატოს, ამ საქმიანობასთან ერთად, პოლიტიკურმა ეკონომიკურმა სისტემამ ქვეყანის ყოველი შრომისუნარიანი მოქალაქე უნდა უზრუნველჰყოს შრომითი დასაქმებით, გამრავლების თვალსაზრისით ადამიანის სოციალური დანიშნულების, (ე.ი. შრომის ბუნებრივი დანაწილების), გათვალისწინებით, თვითგანვითარებისათვის. ეს უკანასკნელი, რაც, თავის მხრივ, დროის მოცემული, კონკრეტული ეტაპის შესაბამისი განათლებითა და სპეციალიზაციით კადრების მომზადების საზოგადოებრივად უზრუნველყოფას მოიცავს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საზოგადოებრივ საქმიანობაში დედაკაცებთან შედარებით მეტწილად - პრივილეგირებულად - მამაკაცების დასაქმებას გულისხმობს; ამას განაპირობებს საზოგადოებრივი შრომისათვის მამაკაცთათვის, შედარებით დედაკაცთან, ძირითადად, ამ უკანასკნელის - დედის - მეტი ოჯახური დატვირთვისა გამო, სოციალურად განსაზღვრული მეტი დროისა და, ამასთან, ბუნებით, მამა-

კაცისათვის, დედაკაცთან შედარებით, მეტი ფიზიკური ძალის ფლობა, - განაპირობებს ამას, მამაკაცისა და დედაკაცის ფიზიკურ ენერგიათა შორის სხვაობა და, აქედან გამომდინარე სხვაობა მათს სულიერ მოთხოვნილებებს შორის. ეს კი, თავისთავად, მათი ამგვარი, ურთიერთისაგან განსხვავებული სოციალური ბუნების საზოგადოებრივი პოლიტიკურ - ეკონომიკურ თეორიაში ასახვისა და, შესაბამისად, პრაქტიკაში თითოეული მათგანის ბუნების დაცვის სოციალური მოთხოვნაა.

ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში მამაკაცისა და დედაკაცის (ე. ი. მამაკაცთა და დედაკაცთა საზოგადოებების) უფლება-მოვალეობის გამიჯვნის სოციალური მოთხოვნა ოდითგან არის დაცული ჩვენს ქვეყანაში (არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში), ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ზნეობრივ-მორალური ნორმებით ანუ ქვეყანაში ისტორიულად დამკვიდრებული ტრადიციით - „ქალიშვილობის ინსტიტუტით“.

კანონზომიერება-„ლაზარე“ ააშკარავებს, რომ ზემოაღნიშნული ტრადიციის (ნორმები) ეროვნულ-საზოგადოებრივი დაცვის აუცილელობას, თავად, ადამიანის (ერი. კაცობრიობა), როგორც სულიერ-მატერიალური სხეულის, ქმნადობის სოციალური ბუნება - მემკვიდრეობითობა განაპირობებს ; უფრო ზუსტად, ამას განაპირობებს თავად ქვეყანა (დედამიწის სულიერ-მატერიალურად ბალანსირებადი ნაწილი), როგორც ადგილობრივი მკვიდრი ერის თვითგანვითარების შედეგი, - ადგილობრივი სულიერ-მატერიალურ რესურსებისა და ფასეულობების მემკვიდრეობითობის გზით, ერის მიერ შენარჩუნების, ე.ი.თვითშენარჩუნების საქმიანობის, ორიათასწლიანი პერიოდულობით განსაზღვრულობა; ეს კი, გულისხმობს ასტრო- ფიზიკური ანუ უზენაესი კანონის სოციალური კანონზომიერების - „ლაზარე“ შემეცნება - დაცვას ქვეყანაში, მთელი ორიათასწლეულის მანძილზე და, შემდგომაც.

ანუ, ეროვნულ-საკაცობრიო მისიის აღსრულება, რაც დედამიწაზე ერის თვითგანვითარების საზოგადორბრივ-მეც-

ნიერული ორგანიზაცია-მართვის მიზანია, დაფუძნებულია ქვეყანაში აბორიგენი მოსახლეობის ეროვნულ-საზოგადოებრივი მემკვიდრეობითობის დაცვაზე; უკანასკნელი გულისხმობს მემკვიდრეობითობის დაცვას თანმიმდევრულობით, თავად ეროვნული საზოგადოებრიობის სოციალური ერთეულების ქმნადობის ეტაპობრივი საფეხურებზე, ე.ი. - ოჯახში, გვარში ტომში და, შესაბამისად, ერში, ე.ი. - მთლიანად ქვეყანაში; რამე თუ კონკრეტული ქვეყნის მკვიდრი ადამიანის სისხლის გენიოლოგიის დაცვა გულისხმობს მის პოლიტიკურ-ეკონომკურად დამოუკიდებლობას; იგი სსხლის სამართლსა და სამოქალაქო სამართლის დაცვის ბაზაზეა განხორციელებადი. ხოლო ამგვარი ბაზა - ქვეყანაში იურიდიული მეცნიერების ამ ორი დარგის სისტემური დაცვა-გნვითარება - არის ამ ქვეყანაში კეთილგონიერების ზრდის მემკვიდრეობითად, განუწყვეტელი დროით შენარჩუნების პირობა. ამას კი, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანაში ამ ტრადიციული პრინციპებისა თუ საზოგადოებრივ ფასეულობად აღიარებული ნორმების ეროვნულ-საზოგადოებრივ სტრუქტურაში სისტემური თანმიდევრულობით დაცვა, (ე,ი, არა კაპიტალისტური მესაკუთრეომის უზენაეს კანონად გამოცხადება) განაპირობებს; ანუ, სწორედ მორალური ფასეულობები, როგორც საზოგადოებრივი ნორმები, არის (უნდა იყოს) მუდმივად და, მეტადრე დროის ამ ეტაპზე, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურად ბალანსირებული, (ე.ი. მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი, ჰარმონიული), შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობებისა და, აქედან გამომდინარე, - ერთაშორისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემური, ორიათასწლიანი ეტაპობრივ- საფეხურებრივი ამაღლების ორგანიზაციული საფუძველი (იდეოლოგია).

ქვეყანაში ეროვნულ-საზოგადოებრივ სტრუქტურულ ერთეულებში, კერძოდ,, ოჯახში მამაკაცსა და დედაკაცს შორის, ე.ი. მამაკაცთა და დედაკაცთა საზოგადოებებს შორის, ურთიერთობების მშვიდობიანად ორგანიზების სოციალური მოთხოვნა არის, მაგალითად, ოჯახის უფროსის - მამაკაცის გვარის მიხედვით ოჯახთა შთამომავლების აღრიცხვისა

და მათი რიცხვის ერის დემოგრაფიული თვითგანვითარების თვალსაზრისით რეგულირება. ეს უკანასკნელი, ცხადია, მოიცავს ქეყანაში ქალიშვილობის ინსტიტუტის - სპეციალური საზოგადოებრივი სამსახურის - ორგანიზებას. ამასთან, ეს ინსტიტუტი, რომელიც ოდითგან დღემდე მსახურებს ქვეყნების მიხედვით, ადგილობრივი რელიგიური ზნეობრივ-მორალური პრინციპების დაცვას, აწ უკვე, როგორც ჩანს, უნდა იმსახუროს კანონზომიერება - „ლაზარეს“ აღსრულების, ე.ი, დროის (ორიათასწლეული) დინების შესაბამისი თანმიმდებრულობით, ამ ქვეყანაში მამაკაცისა და ქალის მხრიდან ადამიანის ეროვნული მისიის - შემეცნება - აღსრულების მიზანს; - უნდა ემსახუროს უპირველესად, მამაკაცის, როგორც ძლიერი ფიზიკური ძალისა და, რაც მთავარია, სწრაფად რეაგირებადი ფსიქიკის მატარებელი ადამიანის თვითგანვითარების, ხოლო შემდგომ უკვე, კონკრეტული ქალიშვილისა და, შესაბამისად, - ზოგადად, ქვეყნის დედაკაცთა საზოგადოების, ეროვნული ღირსების დაცვას; აქედან გამომდინარე კი, - ერთდროულად, იგი მოცემული ორიათასწლეულის კაცობრიობის თაობების მორალური ღირსების შესაბამის ეტაპობრივ დონეზე ამაღლების საქმის სამსახურია.. ანუ, ;დღეს ქალიშვილობის ინსტიტუტის სამსახურმა, რომ უნდა გადაარჩინოს ადამიანის ამგვარი ღირსება მაცდური და გამანადგურებელი, კაპიტალისტური იდეოლოგიის გავლენისაგან, მან, როგორც გამოცდილმა სისტემურმა საქმიანობამ, უნდა დაუდოს საფუძველი ქვეყანაში არამატერიალისტური ეროვნულ- საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაციის შემოქმედებას ; - საფუძველი უნ და დაუდოს ქართულ ოჯახში, ამ იდეოლოგიის ზეგავლენით, ანტიეროვნულად ორიენტირებული ადამიანების აზროვნების ,ეროვნული ღირსების დაცვაზე წარმართვას, - პოლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიისა და პრაქტიკის განახლებას; იგი დამდეგი ორიათასწლეულის დასაწყისიდან, არამატერიალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიის შემოქმედების, - ამ საერთო-საკაცობრიო სოციალური მოთხოვნის საპასუხო საქმის ბაზა უნდა იყოს.

კანონზომიერება-"ლაზარეს" მიხედვით ქვეყანაში მამაკაცთა და დედაკაცთა საზოგადოებებს შორის ურთიერთობების სახელმწიფოებრივ-ინსტიტუციური მოწყობა, თავისი არსით, არის ადამიანის მიერ ადამიანის დაცვის, ამასთან, - ძლიერის მიერ სუსტის, უფროსის მიერ უმცროსის, მცოდნის მიერ უცოდინარის, უფლებიანის მიერ უუფლებოსი და, ა.შ., დაცვა; საზოგადოებრივი ურთიერთობების ამგვარი წყობა ქმნის თითოეული ამ ჯგუფის ადამიანის ფსიქიკაში, მათი ურთიერთან მიმართების თვალსაზრისით, კეთილგონივრული აზროვნების საფუძველს. ანუ, არამატერიალისტური საზოგადებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, უპირველესად და, ამასთან, პრიორიტეტულად, არის კაცობრიობაში აზროვნების კეთილგონივრული ორგანიზაცია-მართვის ეროვნულ-საზოგადოებრივი სისტემა; იგი არის ამ საქმეში, ე.ი. დედამიწის სოციალურ-ეკონომიკური თვითმყოფადობის ორიათასწლიანი პერიოდულობით განვითარების ეროვნულ-დემოკრატიულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემებში, დემოკრატიულობის ხარისხის ასეთივე ეტაპობრივობით ამაღლების გზა, იგივე, ჩვენი პლანეტის სოციალურ- ეკონომიკური ბალანსირების უწყვეტობის დაცვის სისტემა (იხ. სქემა_1). ეს სისტემა, მოიცავს რა ყოველი ერის თვითგანვითარების ანუ მის სარსებო საქმიანობას, მოითხოვს ამ უკანასკნელის ორ შემსრულებელს შორის - მამაკაცთა და დედაკაცთა საზოგადოებებს შორის - ურთიერთობების მშვიდობიანად მოწყობას, - ამ უკანასკნელის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ორგანიზაცია-მართვას. ეს საქმიანობა კი, მეუღლეებისათვის - მამაკაცისათვის და დედაკაცისათვის (ქმრისათვისა და ცოლისათვის), უპირველესად, პირადი სოციალური დანიშნულებისამებრ მათი უფლება-მოვალეობის ბალანსირების პირობების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზებასა და, უპიველესად, შრომითი დასქმებით უზრუნველყოფას მოითხოვს; - მოითხოვს ამას თითოეულისათვის სოციალური კანონზომიერებით განსაზღვრული ფუქნციური დანიშნოლებების შესაბამისად; ეს პირობები, თავის მხრივ, გულისხმობს საზოგადოებრივი მეცნიერების ეროვნული პო-

ლიტიკურ-ეკონომიკური თეორიითა და, სათანადო დარგობრივი მეცნიერების თვალსაზრისით დასაბუთებული, ამასთან, ქვეყანაში სახელმწიფოებრივად დაკანონებული პროექტების მიხედვით მათს დასაქმებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის - მამაკაცის, დედაკაცის - სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმე, რაც, საბოლოო ჯამში ინდივიდუალურ დონეზე, პიროვნული სულიერი სიყვარულის გრძნობის დაუფლება-დამსახურებაში გამოიხატება და პიროვნების ადამიანური ღირსების თვიშეგნებას ქმნის, პირდაპირ კავშირშია მთლიანად ქვეყნის ეროვნული თვითგანვითარების ურთიერთობებთან; ეს კავშირი, თავისთავად, ერთის მხრივ, ოჯახური ურთიერთობების საქმესთან და, მეორეს მხრივ, ერის თვითგანვითარების ყველა დანარჩენ საქმესთან მიმართებაში ადამიანის ურთიერთობების სისტემურობაა; სოციალური ბუნებით, ეს უკანასკნელი, საზოგადოებაში მამაკაცთა და დედაკაცთა საზოგადოებებს შორის, ე,ი, მამაკაცსა და დედაკაცს შორის, ურთიერთობების საზოგადოებრივი რეგულირებით განხორციელდება: ორი, სხვადასხვა სქესის ადამიანი, ორივე მათგანის სულიერი სიმაღლეებისა თუ სისუსტეების მატარებელი სულის შემცველი, სრულიად ახალი და თავისებური სისხლის (გენი) შემოქმედია; ეს სოციალური რეალობა, - საპირისპირო სქესის მეწყვილესთან ქორწინების სოციალური გაპირობებლება - გარდაუვალს ხდის იცავდეს ახალი სისხლის შემოქმედი პიროვნება ამ სათავისო მომავლისა და, იმავდროულად, ეროვნულ-საკაცობრიო თვითგანვითარების ძირეულ სოციალურ მოთხოვნას, - იცავდეს მამულიშვილური მემკვიდრეობითი სიყვარულის (გრძნობა, თვისება, უნარი, პირადი ბედნიერების სულიერი წყარო) ენერგიის მატარებელი, ახალი სისხლის (გენი) წარმოება-განვითარების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, - ამგვარი თვითშეგნების ორგანიზება არის, უპირველესად, გენდერული თანასწორობის დაცვისა და, ერთდროულად, მამაკაცისა და დედაკაცის ფიზიოლოგიიდან გამომდინარე მოთხოვნილებების სწორად ასახვა ეროვნულ-საზოგადოებრივ წესებში. დედაკაცთან შე-

დარებით, მამაკაცისათვის აზროვნების უფრო ფართო ჰორიზონტის, უფრო მეტად იმპულსურობის, ასევე, მეტი ფიზიკური ძალის მატარებლობის მოცემულობა, [რაც, ცხადია, მოიცავს მამაკაცისათვის, ჯერ კიდევ, მოზარდის ასაკშივე, ამგვარი (პრივილეგრებული) ძალის თვითგანვითარების საქმიანობის საზოგადოებრივად ორგანიზებას!], მოითხოვს მამაკაცისაგან და, მამაკაცთა საზოგადოებისაგან, სწორედ, ამ წესის შესაბამისი საზოგადოებრივი თვითშეგნებისა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება-განვითარებას; ამასთან ერთად, ამ თვისებებისა და ნებისყოფის განმტკიცებისათვის რაც, ასევე არსებითია, მოითხოვება მოზარდი თაობების მშობლიურ ქვეყანაში.,ახლო ნათესავთა გარემო-სივრცეში, ე.ი. ერთსულოვნებისა და ურთიერთნდობის პირობებში, თვითდამკვიდრების, ხოლო ამ ნიადაგზე, მოზარდებისათვის თავისუფალი აზროვნებისა და გულწრფელი ურთიერთობების პირობებისა და, შესაბამისად, თვისებების ქმნადობის ორგანიზება. ასეთია ის ძირითადი სოციალური მოთხოვნები, რომლებსაც ერი, თურმე, კანონზომიერება-„ლაზარეს“ მიხედვით უნდა იცავდეს და, რომელთაც ქართული ტრადიციები, სახელწოდება „ქალიშვილობის ინსტიტუტის“ შინაარსით, ოდითგან იცავს. ეს მოთხოვნები განაპირობებენ ქვეყნის ეროვნულ- საზოგადოებრივი თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმიანობაში მეტი პასუხისმგებლობით დედაკაცებთან შედარებით, მამაკაცების დატვირთვას და ამგვარი პირობებისათვის მათი მოზარდის ასაკიდანვე თვითმომზადების პირობების შექმნის აუცილებლობას;, განაპირობებს ყოველი მამაკაცისათვის, თავის ოჯახში უფროსისა და გვარის გამგრძელებლის საზოგადოებრივ სტატუსს.

მოკლედ, უზენაეს სამყაროში და, კონკრეტულად, დედამიწაზეც, კეთილი გონის, ე,ი, სიცოცხლის, განვითარება, ისევე, როგორც, ზოგადად, არსისა, არის ინდუქციურ-დედუქციური პროცესი, რომელიც ფიზიკურად, დროისა და სივრცის ერთიანობის კანონს ემყარება. ეს პროცესი, რომელიც მოიცავს დედამიწის სივრცეში ადამიანური გონის

კეთილგონივრულ თვითგანვითარებასა და, ამის კვალობაზე, ჩვენი პლანეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგად-საკაცობრიო მისიას, მთლიანობაში, არის, მეტ-ნაკლები თვითმყოფადობის სხეულებისა და მათი სისტემების თვითგანვითარების მიმდინარეობა; ე.ი. უზენაესი სამყარო არის კეთილი გონისა და, ზოგადად, არსის თვითგანვითარების პროცესი, რომელიც დედამიწაზე, ორიათასწლიანი განახლება-გახანგრძლივების ნიადაგზე, 25-ათასწლიან ციკლში მეორდება [8, 37] ; ანუ, ამ უსასრულო დროის, როგორც არსის, ამსახველობა, რაც ა დ ა მ ი ა ნ ს (ერი, კაცობრიობა) ძალუძს, მხოლოდ, თავისი არსემობის მუდმივად შენარჩუნებით, (უფ რო სწორად, თვითგანვითარების უნარების შეძენა-შემოქმედებიის გზით), მოიცავს დედამიწაზე კაცობრიობის სოციალური ერთეულების (კაცი-გვარი- ტომი-ერი) სიცოცხლისათვის ასტრო-ფიზიკურად განსაზღვრული დროის ხანგრძლივობის (დაბადება- განვითაეება- გარდაცვალება) პერიოდებად განაწილება-დაცვას; - მოიცავს ამ სამყარო-სისტემაში, სწორედ, დედამიწის მოძრაობის რიტმის შესაბამისი თანმიმდევრულობითა და, ამასთან, ორიათასწლიანი ეტაპობრივ-საფეხურებრივი ამაღლებისათვის, ყოველი ამ ერთეულის დონეზე თვითგანვითარებისუნარიანობის ევოლუციური განვითარების სისტემურ, საზოგადოებრივ- მეცნიერულ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ უზრუნველყოფას (იხ. სქემა1).

სქემა-1 მიხედვით, ასტრო-ფიზიკურ სივრცეში - ზემოხსენებულ ერთიან პროცესში, კონკრეტული ადამიანის თვითგანვითარების პროცესის მიმდინარეობა, თავისი არსით, მამაკაცური აზროვნების პროცესია; მამაკაცური აზროვნება, მისი სოციალური ბუნებით, არის რა ადამიანის (მამაკაცის, დედაკაცის) თვითგანვითარების საფუძველი და წარმართველი სულიერი ძალა, ამგვარი ძალის მატარებლად უნდა განვითარდეს ყოველი მამრობითი სქესის მოზარდის ფსიქიკაში, დაწყებული მისი ემბრიონის ასაკიდან; უნდა აღიზარდოს და სიცოცხლის მანძილზე; უნდა ვითარდებოდეს ამ თვალსაზრისით, სისხლით მონათესავე ადამიანების, ე.ი. სიყვარულისა



[1] სქემა შედგენილია ქრისტე-ხ ი ტ ყ ვ ი ს მიხედვით [1,ნახაზები 9 - 11].

პირობითი ნიშნები; საზოგადოებრივ-მეცნიერული ცნებების სოციალურ-მეცნიერული შინაარსი:

⇄	განვითარების ინიცირების მიმართულება (კონკრეტულიდან ზოგადისაკენ და პირიქით) – ინდუქციურ–დედუქციური პროცესების მიმდინარეობა
1.	სულიერ-მატერიალურად თვითგანვითარებადი, ქვეყნისშიდა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთეულები; ეროვნული სოციალური ენერგიის მწარმოებელი პირველადი ორგანიზაციები; ეროვნულ-საზოგადოებრივი ერთეულები.
2.	ერი - დედამიწაზე პირველადი სოციალურ-ეკონომიკური წარმონაქმნების (ოჯახი, გვარი, ტომი) ერთიანობა; კაცობრიობის თვითგანვითარების ეროვნულ -საზოგადოებრივი პოლიტიკური ერთეული; ეკოლოგიის თანაშემოქმედი სულიერ-მატერიალური სხეული.
3.	ერი - დედამიწისეულ დროსა და სივრცეში არსის (აზრი) განვითარების ინდუქციურ-დედუქციური პროცესების მარეგულირებელი, ორიათასწლიანი საზოგადოებრივ- ეკონომიკური ფორმაციის კონკრეტულ ქვეყანაში შემოქმედი სუბიექტი.
4.	კაცობრიობა - მოცემულ ორიათასწლეულში ქვყნების მიხედვით რიცხული ეროვნული მოსახლეობის რიცხვთა ჯამი [Σ
5.	დედამიწა - ასტრო-ფიზიკური სივრცის 12 თანავარსკვლავედის სისტემაში სოციალურ-ეკონომიკურად გაწონასწორებული, თვითმყოფადიადი სხეული. რომლის ორიათასწლიან ციკლში ბრუნვა ამ სისტემაში მზის სისტემასთან ერთად (ზეგავლენის პირობებში), 24,0 ათასწლიანი პერიოდულობით მეორდება.
6.	მზე - მზის სისტემა ასტრო-ფიზიკურ სივრცეში, რომელშიც გაწონასწორებულია დედამიწა - თვითმყოფადი, სულიერ-მატერიალურად , ე.ი. ეკოლოგირად - სოციალურ- ეკონომიკურად - გაწონასწორებული სხეული.
7.	ვარსკვლავეთი - ზოდიაქოს ნიშნის 12 თანავარსკვლავედის სისტემა, რომელშიც გაწონასწორებულია მზის სისტემა და, (მაშასადამე, დედამიწაც); შესაბამისად, ეს გაწონასწორებულობა ანუ 12 თანავარსკვლავედის სისტემა განსაზღვრავს დედამიწაზე ორიათასწლიანი პერიოდულობით, სოციუმის სასიცოცხლო პირობებს; ეს კი, განსაზღვრავს რა ადამიანის აზროვნების მიმართულებას, განსაზღვრავს ასეთი ეტაპობრიობით, სოციალური ეკონომიკის საზოგადოებრივი ფორმაციის ძირითად მიმართულებას (ამ ეტაპზე, - არამატერიალისტურს).

და, ანასთან, საზრუნავი და მზრუნველი ადამიანების გარემოცვაში; მამაკაცური აზროვნების, როგორც წამყვანი, კეთილი გონის, ერში და, მთლიანად კაცობრიობაში განვითარება არის ძირითადი და უპირველესი საზოგადოებრივი საქმე;

ამიტომ, მოზარდებში, უფრო ზუსტად, ბიჭებში მამაკაცური აზროვნებისა, ხოლო გოგონებში - დედაკაცური აზროვნების ჩაგონება და განვითარება ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემით უნდა იყოს დაკანონებული; რამე თუ, ეს საქმიანობა ოჯახური თვითმყოფადობის, - მისი, როგორც საწყისი საზოგადოებრივი უჯრედის, არსებობა-თვითმყოფადობის ამოსავალ პირობებს მოიცავს; ეს პირობები კი, ძირითადად, ასეთია;

ზრდასრული მამაკაცი- პიროვნება, მთელ თავის მომავალ ცხოვრებაზე გათვლით ანუ ამგვარი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით, ი რ ჩ ე ვ ს პირადი ცხოვრების თანამგზავრად თავისი ნებით, თვისი ასაკის შესაბამისად, მდედრობითი სქესის კონკრეტულ პიროვნებას; მაგრამ, ქორწინდება იგი მასზე სისხლის სამართლის მიხედვით, რაც იგივეა, ამ (ამორჩევა) საქმეში გენდერული თანასწორობის მკაცრად დაცვის პირობებში; ანუ, ქორწინება (სისხლის გაცვლა) შედგება მხოლოდ მაშინ, როცა არჩეული ქალისათვის მამაკაცის მხრიდან ცოლობაზე ხელის თხოვნაზე პასუხი დადებითია; უფრო ზუსტად, ქორწინება შედგება მხოლოდ, ქალის მხრიდან ამ მამაკაცთან ოჯახურ ცხოვრებაზე - მასთან ოჯახურ მეუღლეობაზე - საკუთარი ნ ე ბ ი ს გამოხატვის პირობებში; ამასთან, მამრობითი და, ასევე, მდედრობითი სქესის მოზარდებისათვის და, ეტაპობრივადაც, მათი ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის შესაბამისად, ამგვარი ნ ე ბ ი ს გამოხატვის ფორმები საზოგადოებრივი წესებითაა განსაზღვრული; აქ იგულისხმება ქალიშვილებისა თუ დედაკაცებისათვის განსაზღვრული, თავშეკავებისა და კდემამოსილების გამოვლინება-დაცვის ნორმები, საერთოდ, ადგილობრივი საზოგადოებრივი წესების პატივიცემა და მოკრძალებით დაცვა. აქედან გამომდინარე, ეს წესები ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობების ორგანიზააციაში და, ცხადია, მექორწინეთა მხრიდან, დაუფლება-დაცვის საგანია; ესენია: კეთილგონივრულობა, თავმდაბლობა, საპირისპირო სქესის ადამიანების მიმართ არაგამომწვევი თავდაჭერა (ჩაცმა, მოკრძალება ქცე-

ვაში, აზრის გამოხატვის ფორმაში), ერთი-მეორის გრძნობების, აზრისა და გადაწყვეტილებების დაფასება, პატივისცემა, გაგებისუნარიანობა და, ა.შ.; ქვეყანაში ამ წესებისა და ფორმების დაუფლება, დაცვა, განმტკიცება ადამიანების მხრიდან, რაც მათს ყოველდღიურ ქცევაში და თავდაჭერაში ვლინდება, მუდმივ განვითარება-სრულყოფას გულისხმობს; მისი სრულყოფა მამაკაცური აზროვნების განვითარების, მამაკაცის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა, ავტორიტეტისა და, პარალელურად, - ამ ქვეყანაში ქალისა და მთლიანად ქალთა საზოგადოების დაცულობის, - მათი ღირსებისა და პატივის ამაღლების თვალსაზრისით, არის ეროვნული კულტურის სიმაღლის ძირითადი გამოხატულება. შესაბანისად, ქორწინების საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოში, რომელსაც, თავის დროზე, ქალიშვილობის ინსტიტუტი დაერქვა, ამ კულტურის დაცვისა და, აწ უკვე, შემდგომი, ეტაპობრივი განვითარების საფუძველია.

ყოველი ზემოაღნიშნული, თავისთავად, არის მხილებაც კაპიტალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ამორალურობისა, რონლითაც იგი განახორციელებს მოზარდებში ეროვნული ფსიქიკის (სული) დამახინჯება-გადაგვარების კაპიტალისტურ ზრახვას; როგორც ეს ჩვენმა კვლევამ ცხადჰყო და, ასევე, როგორც ეს ქართული, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული კულტურის (ქალიშვილობის ინსტიტუტი) მიხედვით დასტურდება, ქვეყანაში მოზარდების, ე,ი, აღზრდასწავლების სისტემის, ორიენტირება სქესის შესაბამისი, პირადი სოციალური დანიშნულების შესაფერისი თვისებებისა და უნარების შეძენაზე, არის ძირითადი სოციალური პირობა ერის თვითგანვითარებისათვის. იგი აყალიბებს მოზარდებში ერთსულოვნურ თვითშეგნებას, ლმობიერებას, ინტელექტერ ხასიათებს, პროფესიულ განწყობებს, ნებისყოფას; ეს ყველაფერი, აადვილებს რა ჭაბუკის თვითდარწმუნებას თავის სულიერ მოთხოვნილებასთან მისი რჩეულის მისწრაფებების შესაბამისობაში, მოიპოვებს ოჯაურ ერთსულოვნებასა და, აქედან გამომდინარე, მზადყოფნას ყველა სხვა საზოგა-

დოებრივი ურთიერთობებისათვის. ამგვარი ერთსულოვნება ქართული ოჯახისათვის თვისებრივადაა დამახასიათებელი; მაგრამ, ამის მიუხედავად, ქვეყანაში ზემოთმოხსენიებული მ ზ ა დ ყ ო ფ ნ ი ს საზოგადოებივი ვითარების ჩამოყალიბება, შეუძლებელი ხდება დღესდღეობით, როდესაც მოზარდების ფსიქიკა კაპიტალისტური სახელმწიფოებრივი კანონებით არის ორიენტირებული პიროვნულ, ე.ი. ანტისაზოგადოებრივ, თავისუფლებაზე და, შესაბამისად, მათი აზროვნებაც, ძალაუნებურად, კონცენტრირებულია ეგოისტურ-კაპიტალისტური თვითშეგნების დაუფლებაზე. ქვეყანაში აღნიშნული მ ზ ა დ ყ ო ფ ნ ი ს ვითარებოს შექმნა-განვითარება ნიშნავს სოციალურად, ე.ი. პიროვნებაზე, ორიენტირებული ეკონომიკური ურთიერთობების, - კაპიტალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის- ეროვნულ-დემოკრატიულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნას; ამგვარი გარდაქმნა, ე.ი. ოჯახში, ერთის მხრივ, მამაკაცისა და, მეორეს მხრივ, დედაკაცის უფლება-მოვალების გამიჯვნა, რომ უნდა განხორციელდეს სოციალური მოთხოვნების შესაბამისად, უნდა დაიწყოს, ამ თვასაზრისით უკვე გამოცდილი, ქალიშვილობის ინსტიტუტის სახელმწიფოებრივად დაკანონებით; ეს კი, საქართველოში ამჟამად მოქმედი, სისხლის სამართლისა და სანოქალაქო სამართლის კოდექსების განახლებას გულისხმობს[1].

მეტად საგულისხმოა ის, რომ ყოველი ზემონათქვამიდან გამომდინარე მხილებული ამორალურობის პარალელურად, კაპიტალისტური სისტემა, ავლენს (ვერ მალავს) თავის არადემოკრატიულობასა და, შესაბამისად, უსუსურობას თავის გადაწყვეტილებებში მეცნიერული სისტემურობის დაცვის თვალსაზრისით; - ავლენს ამას, ცხადია, ქვეყნის სამთავრო-

1 იურდიული ლექსიკოკონების ამ ბოლო წლების გამოცემებში, ტერმინის - „სისხლის სამართალი“ განმარტება მორგებულია კაპიტალისტურ ეკონომიკურ თეორიაზე, რომელიც ერთაშორის ინტეგრირებაზეა ორიენტირებული.

ბო გადაწყვეტილებებში. ქვემოთ ვისაუბრებთ ამის ერთ-ერთ კონკრეტულ მაგალითზე, რომელიც ამ ჩვენს კვლევასთან უშუალოდ არის დაკავშირებული.

2015 წლის 15 მაისს, თბილისში, მთავრობის სახლისწინა მოედანზე ჩასატარებლად, ქალაქის მერიასთან შეთანხმებით, 21 აპრილიდან პრესით [4] დაანონსებული ს ა ე რ თ ო - ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო აქციის ჩატარებას, სამთავრობო გადაწყვეტილების ნიადაგზე, ხელი შეეშალა .

აღნიშნული აქცია ქვეყნის სახელმწფიო ხელისულებისაგან დამოუკიდელად, სათანადო კანონების დაცვის პირობებში მოწვეული, სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის 2014 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების [5] შესაბამისად, ამ ყრილობის მიერ საგანგებოდ არჩეულმა პრეზიდიუმმა მოამზადა; ამ აქციის ეროვნულ - საკაცობრიო მნიშვნელობის შესახებ ამისწინა სტატიაში [2,45-46], ჩვენ ვისაუბრეთ. ხსენებული სამთავრობო გადაწყვეტილებით, ისე, რომ ამის შესახებ ქვეყნის მოსახლეობა ინფორმირებული არ ყოფილა, ხსენებულ, 15 მაისის დილიდანვე, მთავრობის სახლისწინა მოედანი სამთავრობო პოლიციამ დაიკავა, ხოლო ქალაქის მერიასთან შეთანხმებით დანიშნული, ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო აქცია სხვა ადგილზე იქნა გადატანილი; შესაბამისად, აქციაზე მოსულების დიდი უმრავლესობა ვერ მოხვდა ამ აქციაზე; ანუ, ამ, დავარქვათ, უ ხ ე რ ხ უ ლ ო ბ ი ს მიუხედავად, ეს აქცია მაინც ჩატარდა; ჩატარდა იგი, (რაც თალშისაცემი იყო) მილიციელთა დიდი, ცოცხალი ჯაჭვით შემოკავებულ, არც თუ მცირე მოედანზე, მაგრამ, ცხადია, საერთოსაყოველთაო ხასიათი მან ვერ მიიღო . საბოლოო ჯამში, ხსენებული სამთავრობო გადაწყვეტილების შედეგად, დაფიქსირდა კი, სრულიად ლოგიკური ამ ქმედებასთან, ეროვნულ-საზოგადოებრივი, კრიზისული შიდაპოლიტიკური ვითარება: - რომ აშკარად, მთელი მოსახლეობის დასანახად, ამასთან, გაზეთში - „ქრონიკა“ იუმორნარევი ინფორმაციის თანხლებით, (სავარაუდოდ, უ ხ ე რ ხ უ ლ ი სიტუაციის ერთგვარი „განმარტების“ შემცველი სტატიის გამოქვეყნებით [7]),

იგნორირებულიქნა ქართველი ერის პოლიტუკურ-ეკონომიკური მოთხოვნილება ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ; - უკანასკნელმა ხელოვნურად, მიზანმიბართულად და უხმაუროდ ააცილა ყურადღების ცენტრიდან ხალხის მასებს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ერონულ-დემოკრატიულით შეცლის შესახებ ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილება, რომელსაც ეს აქცია ახმოვანებდა; ეს მოთხოვნილება (ნება), გამოხატულლი ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობის პირადი ხელმოწერებით, სრულიად საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე, ამჯერად მე-3 -დ დამტკიცდა გასული წლის 16 ნოებბერს; მაგრამ კაპიტალისტური სისტემის დამცველმა ჩვენმა დე-ფაქო ხელისუფლებამ, ისევე, როგორც მისბა წინამორბედებმა თავის დროზე, „მოხერხებულად“ მიაჩუმათა.

ჩვენი გამოკვლებების მიხედვით, როგორც ეს სქემა-1 დან იკითხება, ეროვნული პოლიტიკურ-ეკონომიკური მოთხოვნილება, რაზედაც ზემოთაა საუბარი, არის ასტრო-ფიზიკური განსაზღვრულობით გაპირობებული, სოციალური შედეგი - ქართული ეროვნული სოციალური ენერგია; ანუ, ეს უკანასკნელი შეიცავს ზეადამიანურ, კეთილგონივრულ სულიერ ძალას და ყალიბდება დედამიწაზე, ასტრო-ფიზიკური სოციალური კანონზომიერება-„ლაზარეს“ მიხედვით. იგი, როგორც ამას ჩვენი კვლევა გვიჩვენებს [2, 46; 6,29-33], ყალიბდება რა ყოველი ერისათვის ცალ-ცალკე, მათი ქვეყნების ფიზიკურ-გეოგრაფიული შემოსაზღვრულობიდან გამომდინარე, ვლინდება მოცემულ ქვეყანაში სასიცოცხლო (დადებითი, ეკოლოგიური) პირობების სახით; ვლინდება იგი ამგვარი სახით, მხოლოდ ერისა და სახელმწიფო ხელისუფლების ერთსულოვნების, ე.ი. ეროვნულ-დემოკრატიული სახელმწიფოებრივი არჩევნებისა და ეკონომიკის ასეთივე ორგანიზაცია- მართვის მიმდინარეობის კვალობაზე. ამიტომ ეროვნულ- საზოგადოებრივ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოთხოვნილებებთან საქართველის სახელმწიფებრივი ხელისუფლების განდგომა, რასაც დღევანდელ საქართველოში, ამ ხელისუფლების მიერ ანტი-

ეროვნული, ანტი მეცნიერილი იდეოლოგიით (კაპიტალიზმი) ხელმძღვანელობა განაპირობებს [2, 33 - 42], თავისი შედეგებით, მთლიანად ერის დასჯის, - ქვეყნის ეკოლოგიური ანუ სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსის, - ეროვნული სოციალური ენერგიის დაკარგვის მომასწავებელი, სოციალური პირობაა; რამე თუ ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობის ნ ე ბ ა, თავად უმრავლესობამ - ხალხმა უნდა დაიცვას; ამასთან, ამ უკანასკნელი სოციალური მოთხოვნის აღსრულების თაობაზე პასუხი, როგორც ამას ადრე აღვნიშნავდით, ყოველი ახალი ორიათასწლეულის დამდეგს, მოეთხოვება პირველს, ქართველ ერს [6-31].

უფრო კონკრეტულად: ზემოხსენებული კანონის (სქემა-1) სოციალური განსაზღვრულობის საქართველოში არ დაცვითაა გაპირობებული, ის „ეკოლოგიური დისბალანსი“, რაც, (ფაქტია!), სწორედ, მთავრობის მიერ ეროვნული ნების იგნორირების ზემოთწარმოჩინებულ, სამთავრობო ქმედებების კვალობაზე სახეზეა საქართველოში; შიმშილით სიკვდილიანობის, მკვლელობებების, თვითმკვლელობების, მათხოვრობის და, ა.შ., მსგავს სოციალურ ვითარებათა გახშირების ფონზე, რაც ქვეყანაში კაპიტალისტური იდეოლოგიის დაკანონებას გასული ოცი წლის მანძილზე „ფეხდაფეხ“ მოჰყვა, აღნნიშნული სამთავრობო ქმედებიდან არგასულ, ერთ თვეში, ჩვენი ქვეყანა სტიქიურმა მოვლენებმა მოიცვა: არა ერთმა რაიონმა დაჰკარგა ძლიერი წვიმების, წყალდიდობების, სეტყვის შედეგად, თითქმის მთელი სასიცოცხლო პოტენციალი, რაც ხალხმა დუხჭირით, თავის კარმიდამოებში მოიწია; ხოლო დედაქალაქში, 14 ივნისის დილიდან ანუ ზუსტად ერთი თვის თავზე აღნიშნული სამთავრობო გადაწყვეტილების მიღებიდან, გავრცელდა საქართველოს ინფორმაციის საშუალებებით, შემაძრწუნებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ : - გვიან ღამით მოსულმა ძლიერმა წვიმამ და მდინარე ვერეზე, (რომელიც თბილისის ცენტრში გადის), მოვარდნილი ღვარცოფის შედეგად, მრავალმა ადამიანმა სიცოცხლე დაჰკარგა, თბილისის ზოოპარკის ტერიტორიაზე განადგურდა

და წყალმა წაიღო ძვირფასი ცხოველები, ქალაქში უსახლ-კაროდ დარჩა მრავალი ოჯახი, ქვეყანამ, ხალხმა - ადამიანებმა განიცადა უდიდესი სულიერი ტკივილი და მატერიალური ზარალი, მთიდან ჩამოწოლილია ზვავი, განადგურდა გზები, ქუჩები, ნაგებობები და, - რომ (რაც სიმბოლურია!) თბილისის ქუჩებში გამოსულია და, ი ძ ე ბ ნ ე ბ ა მ ხ ე ც ე ბ ი - ვეფხვები, მგლები, დათვები[1]. დასკვნა არის ის, რომ ზემოთ, ჩვენს მიერ წარმოჩინებული, დავარქვათ, უ ხ ე რ ხ უ ლ ი სიტუაციის კვალობაზე, ჩვენმა ხელისუფლებმაც და ქვეყანამაც, ჯერ-ჯერობით, არსებობის ფორმა შეინარჩუნა; მაგრამ, ფიზიკური ქმედებებით, სრულიად აშკარადაა დარღვეული ქვეყნის სახელმწიფოებრივობის შინაარსი: - დარღვეულია იურიდიულ-სამართლებრივი ბალანსი ხელისუფლებაში და ასევე, ხელისუფლების მხრიდან, თავის ხალხთან მიმართებაში; შესაბამისად, დაუცველია ადამიანის ეროვნულ-დემოკრატიული უფლებები, რომელსაც სისხლის სამართლის (სისხლის მემკვიდრეობითობა!) კოდექსის დაცვა და, ამ კოდექსის სამოქალაქო სამართლის კოდექსთან სისტემურობა უნდა განაპირობებდეს. დარღვეულია რა ხელისუფლების მიერ პიროვნული მოქალაქეობრივი მოვალეობა ადამიანის ეროვნული უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, იგნორირებულია ერის თვითგანვითარების პოლიტიკური არჩევანი, რომელიც იურიდიულ-სამართლებრივად 2014 წლის 16 ნო-

1 ხაზგასმით ჩვენ გამოვხატავთ კანონზომიერება-„ლაზარეთი“ სიმბოლურად, (რელიგიური ფორმით) მინიშნებულ ვერაგობას მხეცისას (ბოროტი კაპიტალისტური ზრახვა), ადამიანთან (ერი, კაცობრიობა) მიმართებაში; ანუ, მ ხ ე ც ი ს (ტერმინი) ამგვარი გაგებით, ახალ ს ი ტ ყ ვ ა ში (ახალი რელიგიური, სამეცნიერო-საინფორმაციო წყარო) იშიფრება კაპიტალისტური იდეოლოგია, როგორც მხეცური - მტაცებლური აზროვნების გამომწვევი, ანტისაზოგადოებრივი, - საშიში იდეოლოგია; შესაბამისად, ასეთივე სიმბოლიკით, თბილისის ქუჩებში ზოოპარკის მხეცების გამოსვლის ფაქტიცარის მინიშნება ქართველ ერთან მიმართებაში, იმ საქმეზე, რაც ამ ეტაპზე, გარდაუვალია ერის თვითგადარჩენისათვის, - რომ გარდაუვალია სოციალური ურთიერთობები წარმართულიქნას ადამიანური აზროვნებით და, არა მხეცური აზროვნებით, რამე თუ, ალტერნატივა დაღუპვის მომასწავებელია).

ემბერს არის გაფორმებული [5] და, რომელიც აღნიშნულ აქციაზე, - 15 მაისს უნდა დაფიქსირებულიყო ერთაშორისი ლეგალიზების თვალსაზრისით.

ანუ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომლებზედაც ჩვენ აქ ვსაუბრობთ და რაც იკითხება სქემა-1 -ში, ეროვნულ-დემოკატიული პრინციპების დაცვას მოითხოვენ ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლებისაგან; ეს პრინციპები კი, დღეს, ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, შემეცნებას ექვემდებარება არამიწიერი სოციალური ენერგიის ქმნადობის პოზიციიდან და, ბუნებრივია, მისი შემეცნება ადამიანის სოციალური მოვალეობაა; შესაბამისად, ქვეყანაში ეროვნული დემოკრატიის აღმშენებლობის ამ ახალი გზის, შემეცნების საქმეს, ცხადია, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც გვერდს ვერ აუვლის; რამე თუ, ფაქტია, საამისო მინიშნება ხსენებული სტიქიური მოვლენების სახით, ცხადჰყოფს ერის თითგადარჩენის პრობლემას; ამასთან, თუ კი არ ვირწმუნებთ იმას, რომ ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება, – ხომ თვალსაჩინოა სქემა-1 -ს მიხედვით გააზრებული სასწაულებრივი წესრიგი - სისტემური კავშირი ყველა მოვლენისა, პროცესებისა თუ არსთა შორის; უდაოდ, თვალსაჩინოა ამ კავშირრის სისტემური ერთიანობა, რომელიც, თავისთავად, დამტკიცებადია როგორც ფიზიკის, ასევე, სოციალური თუ საზოგადოებრივი მეცნიერებისა, თუ, ზოგადად, მეცნიერული აზროვნების თვალსაზრისით.

ფაქტიურად კი, ჯერ-ჯერობით, ჩვენი ეს ვარაუდი დეფაქტო ხელისუფალთა მხრიდან მომავალ გადაწყეტილებებთან მიმართებაში, ვარაუდად რჩება; სამწუხაროდ, ქვეყანაში ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის არჩევის თაობაზე ერის ერთსულოვნების იურიდიულად გაფორმებული შეთანხმების ლეგალიზების საქმის მიზანმიმართულად, - ფარული, ანტი-ეროვნული განაზრახით ჩაშლა, როგორც ზემოხსენებული სამთავრობო გადაწყვეტილების შედეგი, უკვე სახეზეა; ეს, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენმა მოსახლეობამ დაინახა და მწარედ განიცადა ; იგივე შედეგს იუწყება (უფრო უფრო, ქვე-

ტექსტის სახით!), გაზ, „ქრონიკაც“, რომელმაც, ინება და, ამ აქციას გამოეხმაურა[1],

მოკლედ, ღესდღეობით, რაც ფაქტია და, რაც, მიგვაჩნია, უნდა გავიცნობიეროთ, საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც კაპიტალისტურ ეკონობიკურ თეორიას ეფუძნება, აღარ იცავს ქვეყანაში ადამიანისა და, მეტადრე ამომრჩეველთა ეროვნულ- დემოკრატიულ უფლებებს; ირღვევა ხელისუფლებაში და ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ურთიერთობების სახელმწიფოებრივი სისტემურობა,; დარღვეულია ასევე, რაც მთავარია, ამომრჩევლებსა და არჩეულებს შორის ურთიერთობებისა და ადამიანის საზოგადოებრივი თვითგანვითარების სოციალური პირობები; მოშლილია ქვეყანაში სისხლის სამართლისა (სისხლის მემკვიდრეობა) და სამოქალაქო სამართლის დაცვისა და, ამ ორ, იურიდიულ-მეცნიერულ დარგს შორის სისტემურობის დაცვის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მექანიზმი. ზემოთწარმოჩინებული სახელისუფლო გადაწყვეტილების კვალობაზე, საქართველოში კიდევ ერთხელ გამოვლინდა, სწორედ ამ მექანიზმის იდეოლოგიური საფუძვლის კაპიტალისტური ეკონომიკური თეორიის სიყალბე [2,36 -42]; გამოვლინდა ეს უკანასკნელი, როგორც ძირითადი მიზეზი კრიზისებისა საზოგადოებრივ-მეცნიერულ და, მეტადრე, პოლიტიკურ-ეკონომიკურ მეცნიერულ სისტემებში.

ზემოაღნიშნული კრიზისები გამოხატავს ეროვნულ სულიერ უკმარისობას. ეს ადამიანური გრძნობა ეროვნულ-საზოგადოებრივად გამოხატული, სქემა-1 -ში ასახული უ ზ ე ნ ა ე ს ი

1 (თუმცა, უნდა ითქვას, არაობიექტურია ამ აქციის ფულის შოვნაზე ორიენტირების ვერსია, რასაც ავტორი, იუმორის ფორმით, სტატიის სათაურითვე ავრცელებს; რაც ამ ვერსიის საპირისპიროა, - ვერ უარვყოფთ, იმ რეალობას, რომ ამ აქციაზე ადამიანთა მოსვლის ფორმით ბრძოლის შედეგი - ეროვნულ-დემოკრატიული უფლებების დაცა - დიახაც, არის (იქნება) საფუძველი ამ მებრძოლთათვის ჯილდოების დარიგებისათვის; ამათან, ეს ბრძოლა, რომლითაც ყოველი მებრძოლი ჯილდოს მიიღებს გამარჯვების შემდეგ, ორიენტირებულია, ცხადია, ეროვნული ზნეობრივი მორალის დაცვაზე და არა ჯილდოზე ან/და ფულის დაგროვებაზე).

კანონის სოციალური კანონზომიერების-„ლაზარე“ მიხედვით, მყისიერად დროში (სინათლის სიჩქარით) ფიქსირდება ასტროფიზიკურ, საქართველოს მიმდებარე სივრცეში (ატმოსფერო) და სათანადო სოციალური ენერგიის ძალით (დადებითი ან უარყოფითი სასიცოცხლო ძალა) უბრუნდება დედამიწისეულ, ამ კონკრეტულ სოციალურ სივრცეს (საქართველო) [2, 46; 6, 29 - 33]; ამგვარად დაბრუნებული, ანუ, უკვე არამიწიერი სოციალური ენერგიის უარყოფითი ძალა, რომელიც სქემა-1-ში წარმოჩინებული ლოგიკის მიხედვით, ზემოხსენებულ სამთავრობო გადაწყვეტილებას მოჰყვა, მაგრამ, რომელიც „საქართველოს ცაზე“ წლების მანძილზე იქმნებოდა, გამოვლინდა ჩვენს სოციალურ სივრცეში სტიქიურად, მაგრამ, - სოციალური კანონზომიერებით- „ლაზარე“ განსაზღვრულ დროს (ორიათასწლეულის დამდეგი); ამასთან, გამოვლინდა სოციალური ენერგიის ეს უაყოფითი ძალა, მსგავსად იმისა, როგორც ეს ორიათასი წლის წინ, ქრისტე- ხორციელის დროს მოხდა, - რელიგიური ანუ არაპირდაპირი მინიშნებებით; ამასთან, ამჯერად, რაც სიახლეა და ახალი დროის კაცობრიობისათვის ახალ შემეცნების საგანს ბადებს, არის უკვე კანონზომიერება - „ლაზარეს“ ამოსაცნობი მინიშნებები ჩვენი დროის ა დ ა მ ი ა ნ ი ს მიმართ, თვითგადარჩენის, ე.ი. კეთილი გონის გადარჩენის, საქმეზე აზროვნების ორიენტირებისათვის .

ანუ, აზრის განვითარების საზოგადოებრივ-მეცნიერული ლოგიკიდან გამომდინარე, შანსი, რომელიც ქართველ ერს თვითმყოფადობის ანუ სახელმწიფოებრივობის შესანარჩუნებლად, ე.ი. დამდეგ ორიათაწლეულში თვითგანვითარება-არსებობის სულიერი პოტენციალის გამოვლინებისათვის, რჩება, და, ასევე, რაც ახლა უკვე დარღვეული სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის ანუ ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენასა და, ზოგადად, პოლიტიკურ-ეკონომიკური კულტურის ახალ, ეტაპობრივ დონეზე ამაღლების საქმიანობას მოიცას, დროში შეზღუდულია მკაცრად; მიგვაჩნია, რომ ამ შანსის გამოყენებისათვის აუცილებელია ზემოხსენებული, დაუსრულებელი, ს ა ე რ თ ო-ს ა ო ვ ე ლ თ ა

ო აქციის მიმდინარე საარჩევნო პერიოდშივე, ახლა უკვე, დე-ფაქტო ხელისუფლებაზე ეროვნული სულიერი ზეწოლის ნიადაგზე, ხელმეორედ ჩატარება ; - ამ ხელისუფლებამ, 2014 წლის 16 ნოემბრის სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის პრეზიდიუმის მოთხოვნის კვალობაზე, უნდა უზრუნველჰყოს ზემოთ წარმოჩინებული, სოციალურ-მეცნიერული გამოკვლევის შედეგების ასტრო-ფიზიკური, სოციალური და საზოგადოებრივი მეცნიერებათა პოზიციიდან ექსპერტირება; უფრო სწორად ამ მიზნით, ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებრივობისა თუ ორგანიზაციების მხრიდან, სპეციალიზირებული პროფესურისა და ექსპერტების მობილიზება და, მათი ამ საერთო-საკაცობრიო მისიაში ჩართვა,

ბუნებრივია, დროის ამ ეტაპზე, ეროვნული, ადამიანური და, ამასთან, სათანადო ფინანსური რესურსების მობილიზება, ჩართვა, გააქტიურება ქვეყნისშიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების განახლების საქმეში, რაც, ზემოთწარმოჩინებული, საზოგადოებრივ-მეცნიერული გამოკვლევებით ახალი დროის ადამიანის (ერი, კაცობრიობა) მიმართ სოციალური კანონზომიერებით განსაზღვრული ეროვნულ მისიის აღსრულების წინაპირობაა და, ამავდროულად, რაც ზემოხსენებული ა ქ ც ი ი ს სახით, ქვეყნისშიდა პოლიტიკურ- ეკონომიკური საქმიანობის დღის წესრიგში მწვავედ დგას, ცხადია, შეუძლებელია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მხრიდან ამ საქმის უგულველყოფა; უფრო სწორად, ეს საქმიანობა (მობილიზება, ჩართვა, გააქტიურება), რომელმაც, საფუძველი უნდა ჩაუყაროს ჩვენს პლანეტაზე ასე დაძაბული საერთაშორისო ურთიერთობების მშვიდობიანი რეგულირების საერთო-საკაცობრიო საქმიანობას, ამ უკანასკნელში ქართველი ერის მხრიდან თავისი ისტორიული მისიის გაცნობიერების გამომხატველია. ანუ, ამ მისიის გაცნობიერება-აღსრულება ჩვენი ერის გადარჩენის ერთადერთი გზაა.

ახალმა სტიქიურმა გამოწვევებმაც, თავის მხრივ, დაადასტურა ქვეყნის დე-ფაქტო ხელისუფლების ცდუნიბა კაპიტალისტური საზოგადოებრივ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურ-

თიერთობებში დედაკაცური აზროვნების დაწინაურებისა და „ძიძებად“ უ მ უ შ ე ვ ა რი მამაკაცების დასაქმების დაშვება-არდაშვების საკითხში; სტიქიურ უბედურებასთან შებრძოლებისათვის ერის სიცოცხლის გადასარჩენად, ჩვენი მამაკაცები მყისიერად დაირაზმნენ და, მთელმა ხალხმა, მათთან ერთად დგომის ნებაცა და უნარიც კარგად აჩვენა; აჩვენა ის, რომ საქართველოში მამაკაცი სულიერად, დგას თავის სიმაღლეზე, -რომ იგი საერთო-ეროვნული საქმის პრიორიტეტით აზროვნებს; - რომ ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლები, უფრო სწორად, ის ადამიანები, რომლებიც, ამ ხალხისაგან განსხვავებით, პრიორიტეტად, ჯერ-კიდევ, „მაღალ ხელფასებს“ ირჩევენ, ცხადია, შეპყრობილია მხოლოდ დედაკაცური აზროვნებით (ცდუნებით). არა - და, ქეყანაში, (როგორც ეს ზემოთ წარმოვაჩინეთ),გაცნობიერებულია მამაკაცის სოციალური დანიშნულება; - გაცნობიერებულია ის, რომ მამაკაცსა და, მთლიანად, მამაკაცთა საზოგადოებას (კაპიტალისტების ჩათვლით!), აკისრია „გორის“ (გვარი) გამგრძელებლისა და მშობლიური ქვეყნის მეპატრონის მოვალეობები და, - რომ მხოლოდ ამ მოვალეობების შესრულების მდგომარეობით განისაზღვრება მისი საზოგადოებრივი უფლებები, სწორედ ამ (თავის) ქვეყანაში, მაგრამ, - მხოლოდ უზენაესი კანონით განსაზღვრილი, გ ო ნ ი ს ა და, ზოგადად, ა რ ს ი ს განვითარების ს ო ც ი ა ლ უ რ ი კანონზომიერების შესაბამისად.

ახალ ორიათასწლეულში ადამიანის ეროვნულ-დემოკრატიული უფლებების განსაზღვრულობა სოციალური კანონზომიერების შესაბამისად, უპირველესად, სახელმწიფო ხელისუფლებთან მიმართებაში განხორციელდება; იგი მართვის ვერტიკალური სისტემის შიგნიდან მართვის სისტემით შეცვლამ უნდა განაპირობოს; ამ ცვლილებამ უნდა შექმნას საფუძველი ახალ ეტაპობრივ დროში, სახელმწიფოში დემოკრატიულობის ხარისხის ზღვრული ნიშნულის 0,5 - დან 0,6 - მდე ამაღლებისათვის. ეს, თავის მხრივ, ქვეყანაში ერთსულოვნური კეთილგონივრული მოსახლეობის (ამომრჩეველთა უმრავლესობა) ზღვრული დონის ამჟამინდელის (50%

+ 1 კაცი), ნაცვლად, 60% - მდე ამაღლებას ნიშნავს [2, 44 – 46]. ეს ყველაფერი კი, საქართველოში არამატერიალ-ისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფომაციის შესაბამი-სი პოლიტიკურ- ეკონომიკური სისტემის აღმშენებლობით უნდა დაიწყოს; - უნდა დაიწყოს საქართველოში იმიტომ, რომ ასტრო-ფიზიკური დ რ ო ი ს ა და ს ი ვ რ ც ი ს, ქვეყ-ნის ფიზიკურ- გეოგრაფიულ საზღვრებში გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა ორიათასწლიანი პერიოდულობით, რაც კონკრეტული ერის საარსებო პირობაა და, რაც სოციალური ენერგიის წარმო-ება-განვითარების საზოგადოებრივი ორგანიზაცია-მართვის საფუძველია, ამ უკანასკნელი საქმიანობის სოციალურ-ეკ-ონომიკური ბალანსირების გზით განვითარების წინაპირობაა; ეს გ ა ე რ თ ი ა ნ ებ ა დედამიწის „ზურგზე“ ქვეყნის მდე-ბარეობით განისაზღვრება; ე,ი, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა-საქართველო, მდებარეობს დედამიწის კავკასიონის წყალგამყოფზე, ახალ ს ი ტ ყ ვ ა შ ი (ახალი სამეცნიერო-სა-ინფორმაციო წყარო - ქრისტე - ს ი ტ ყ ვ ა), გაკეთებულია და ახსნილია ზემოხსენებული რელიგიური მინიშნებები თანა-მედროვე ადამიანის გასააზრებლად, სიმბოლურად, ქართუ-ლი ენის - ლ ა ზ ა რ ე ს კანონებზე, ამ ენის ასო-ბგერებზე და ასო-ნიშნებზე დაყრდნობით [1; 9,47 – 48] . შესაბამისად, ეს კონკრეტული მინიშნებაც ქართველი კაცის მიმართ (- „გა-კეთებულია და ახსნილია“), არის ქართველის ამჟამიმდელი ეროვნული მისიის მაუწყებელი მინიშნება, ცხადია, -მეცნიერ-ულ- ლოგიკური აზროვნებისათვის; ეს უკანასკნელი კი, ჩვენი დროის სახელმწიფო მოღვაწეს მოეთხოვება უდავოდ.

THE POLITICAL AND ECONOMIC ORGANIZATION BASIS OF BLOOD HEREDITY IN THE COUNTRY IS TO MAINTAIN THE CONTINUITY OF THE PATERNAL FAMILY PERMANENTLY

Eter Takalandze, PHD

Resume

The article highlights the relevance of the traditional form (Virginity Institute) of family management and social justice of the Supreme Astro-physical laws. It is proved that this institution is based on the understanding of the development of masculine social management requirements. In the upcoming 2nd Millennium it should be reflected constitutionally in socio-political and economic system; This article deals with the fact of ignoring from the government for the need of changing capitalist political-economic system into National Democratic; it is grounded the objective necessity of constructing the political-economic system on the national-democratic ideology in Georgia, for enforcement the Georgian national-universal mission.

In this new work (the Christian-Orthodox religion, based on the information-scientific source) it has been investigated the threshold values of Astro-physically identified national human spiritual characteristics in upcoming 2nd Millennium. It is justified the gradual transition of the quality of democracy and civic consciousness to a new stage (from 5th to 6th) in country and social requirements with regard to the Nationalities and the whole mankind.

ლიტერატურა

1) ჯორჯაძე აკაკი, მოვლენისა და საკუთარი თავის შესაცნობად, გაზეთი „მ ე ტ ი ს ი ნ ა თ ლ ე“, N 49, ნახაზები 9 - 11, 1999 წ.„

2) თაკალანძე ე., ადამიანური გონის ევოლუციური განვითარების სოციალურ- ეკონომიკური გზა, ჟურნალი „ეკონომიკა“, N 3 – 4, 2015 წ.

3) წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, თბილისი, 1910 წ.

4) გაზეთი „ძველი-ახალი ს ი ტ ყ ვ ა“, N 20 (173) , 2015 წ.

5) გაზეთი „ძველი-ახალი ს ი ტ ყ ვ ა“ N 15 (173), 2014 წ.

6) თაკალანძე ე., ადამიანის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა ქვეყანა-სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მისიაა, ჟურნალი „ეკონომიკა“ N 9 -10, 2012.

7) სულავა ნ., „ შეინახე ეს ფურცელი, დადექი აქციებზე ჩვენ გვერდით და 500 ლარით დაჯილდოვდები!“, გაზეთი „ქრონიკა“, N20(696), 2015 წ.,

8) თაკალანძე ე., თაქთაქიშვილი მ. , გონის და, ზოგადად, არსის განვითარების ობიექტური კანონზომიერება - სახელმწიფოში ეროვნულ-ეკონომიკური რეფორმის საფუძველი, ჟურნალი „ეკონომიკა“, 2004.

9) თაკალანძე ე, საქართველო - მორალისტურ- საზოგადოებრივ- ეკონომიკური ფორმაციის შექმნისა და ქრისტიანული წელთააღრიცხვის დაზუსტების ინიციატორი, ჟურნალი „ეკონომიკა“ N 9 -10, 2004 წ.

ეკონომიკური ზრდის ტემპები და თანამედროვეობა

მეგი გორგასლიძე
ეად, აწსუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე. ეკონომიკური ზრდა ცივილიზებული საზოგადოების განვითარების ამოსავალი წერტილია, რადგან მასზეა დამოკიდებული ადამიანთა კეთილდღეობა. ეკონომიკური ზრდის თეორიები აანალიზებენ ფაქტორებს ან პროცესებს, რომლებიც შეუწყობენ ხელს ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერების სწრაფ განვითარებას ან პირიქით - იწვევენ ეკონომიკური ზრდის პროცესების შენელებას. ეკონომიკური ზრდის ტემპების დადგენისათვის აუცილებელია შეფასება, გაზომვა. ეს შესაძლებელია მოხდეს როგორც ფიზიკურ, ასევე რაოდენობრივ პარამეტრებში. ორივე შემთხვებაში გარკვეულ სიძნელეებს ვაწყდებით, როგორც ტექნიკური, ასევე გაანგარიშების სიზუსტის თვალსაზრისით.

ეკონომიკურ ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინვესტიციებზე. ეკონომიკაში დაგროვილი კაპიტალის მარაგით შეიძლება უფრო მეტი რაოდენობის საქონლისა და მომსახურების წარმოება. ამგვარად, მომავალი მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა დღევანდელი რესურსების მეტი რაოდენობის ინვესტირება კაპიტალის წარმოებაში. თუმცა ინვესტირების მაღალი დონე ეკონომიკური ზრდის ტემპის მატებას იწვევს, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში. კაპიტალი კლებადი უკუგებით ხასიათდება: როცა კაპიტალის მარაგი იზრდება, კაპიტალის დამატებით ერთეულიდან წარმოებული პროდუქციის რაოდენობა მცირდება, რაც გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის ნაცვლად მის შენელებას იწვევს. საზოგადოდ, ეკონომიკა უფრო სწრაფად იზრდება, თუ საწყისი წერტილი სიღარიბეა. ეკონომიკის ზრდაზე საწყისი პირობების ამ ზემოქმედებას ზოგჯერ ,,მკვეთრი ზრდის ეფექტი'' ეწოდება. ეკონომიკური ზრდის შენელების

ტენდენცია თანამედროვე მსოფლიოს თანამდევი პროცესია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა,ეკონომიკური ზრდა და ინვესტირება, ეკონომიკური ზრდის ტემპების დადგენა და შეფასება, ,,მკვეთრი ზრდის ეფექტი“, ეკონომიკური ზრდის შემცირების ტენდენცია.

შესავალი. ეკონომიკურ ზრდაში იგულისხმება მთლიანი ეროვნული პროდუქტის პოტენციური და რეალური გადიდება, ქვეყნის სიძლიერის ზრდა. ეკონომიკური ზრდის თეორიები აანალიზებენ ფაქტორებს ან პროცესებს,რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთ ზრდას, იმ ძალებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის ძლიერების სწრაფ განვითარებას, ან პირიქით.

ეკონომიკური ზრდის ტემპების განსაზღვრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა დონიდან იწყება ეკონომიკის განვითარების ტემპების ათვლა. ღარიბმა ქვეყნებმა შეიძლება განვითარების უფრო მაღალი ტემპები აჩვენონ, ვიდრე განვითარებულმა ქვეყნებმა, რადგან ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ უცხოური გამოცდილება, მიღწევები ტექნოლოგიასა და ტექნიკის სფეროებში, გაითვალისწინონ მდიდარი ქვეყნების შეცდომები. ეს ყველაფერი კარგად აისახება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე, თუ ისინი დაუყოვნებლივ მოახდენენ საბაზრო ეკონომიკის სწორად ფორმირებას და ყველა სათანადო ბერკეტის ამოქმედებას.

ძირითადი ნაწილი. ეკონომიკის განვითარების ტემპები ოთხი ნიშნით განისაზღვრება: 1. წარმოების ამოსავალი (მიღწეული) დონე, საიდანაც იწყება განვითარების ტემპის გაანგარიშება; 2. ადამიანისეული კაპიტალი, ანუ განათლების დონე; 3. მეურნეობის წარმართვის შიდა პირობები ანუ (ენდოგენური ფაქტორები) სამეურნეო საქმიანობა; 4. მეურნეობის წარმართვის გარეგანი (ეგზოგენური ფაქტორები) პირობები.

ეკონომიკა რომ საჭირო ტემპებით განვითარდეს, ქვეყანაში უნდა შეიქმნას შესაბამისი პირობები. ეკონომიკის სწრაფი განვითარების წანამძღვრებია: მაკროეკონომიკური სტაბილურობა; ინფლაციის დაბალი დონე და მტკიცე ვალუტა; თავისუფალი ბაზარი და კონკურენცია; კერძო საკუთრების წამყვანი

როლი ქვეყნის ეკონომიკაში: გარე სამყაროზე ორიენტაცია,ექსპორტ-იმპორტის დაბალანსება ქვეყნის სასარგებლოდ, ბანკებისა და საფინანსო დაწესებულებათა გამართული სისტემა; შრომის ელასტიური ბაზარი, შედარებით ნაკლები სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის; ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა. [1. გვ. 44]

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში კი შემდეგი ძირითადი ტენდენციები შეინიშნება: 1. მოსახლეობის სწრაფი ზრდა, მაგრამ უფრო დაბალი ტემპებით, ვიდრე კაპიტალის დაგროვება, რის შედეგადაც ამაღლდა კაპიტალშეიარაღება; 2. რეალური ხელფასის ზრდის ტენდენცია; 3. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელფასის დამოკიდებულება საკუთრებაზე საერთო შემოსავალთან უმნიშვნელოდ იცვლებოდა; 4. კაპიტალზე შემოსავლის დონის დაცემის ნაცვლად (სარგებლის რეალური დონე) ფაქტიურად შეინიშნებოდა მისი მერყეობა საქმიან ციკლში; 5. მოგების დონე, რომელსაც მუდმივი ნელი ზრდის ნაცვლად ფაქტიურად, 1900 წლიდან ეცემოდა, რადგანაც კაპიტალშეიარაღება დაკავშირებულია კლებადი შემოსავლების კანონთან; 6. ეროვნული დანაზოგების დონე ეროვნული წარმოების მოცულობის მიმართ ხანგრძლივი დროის განმავლობაში პრაქტიკულად არ შეცვლილა, რადგანაც წმინდა საზღვარგარეთული ინვესტიციები უმნიშვნელო იყო, ცვალებად საქმიან ციკლშიც კი მთლიან ეროვნულ პროდუქტში ინვესტიციების დონე ასევე უცვლელი რჩებოდა; 7. ეროვნული პროდუქტის მეტნაკლებად მუდმივი ტემპებით გაზრდა, რაც გამოწვეული იყო ტექნიკური სიახლეების დანერგვით.

ეკონომიკურ ზრდასა და ინვესტიციას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, ვინაიდან კაპიტალი წარმოების წარმოებული ფაქტორია, ამიტომ წარმოებას შეუძლია მის ხელთ არსებული კაპიტალის რაოდენობის შეცვლა. თუ ეკონომიკა დღეს ახალი კაპიტალური საქონლის დიდ რაოდენობას აწარმოებს, ხვალ მას კაპიტალის უფრო დიდი მარაგი ექნება და შეეძლება ყველა ტიპის საქონლისა და მომსახურების უფრო დიდი რაოდენობის წარმოება. ამგვარად, მომავალი მწარმოებლურობის ზრდის

ერთ-ერთი საშუალებაა დღევანდელი რესურსების მეტი რაოდენობის ინვესტირება კაპიტალის წარმოებაში. თუმცა ინვესტირების მაღალი დონე ეკონომიკური ზრდის ტემპის მატებას იწვევს, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში. კაპიტალი ,,კლებადი უკუგებით'' ხასიათდება, როცა კაპიტალის მარაგი იზრდება, კაპიტალის დამატებით ერთეულიდან წარმოებული პროდუქციის რაოდენობა მცირდება, რაც გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის ნაცვლად მის შენელებას იწვევს.

საზოგადოდ ცნობილია კაპიტალის კლებადი უკუგებიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ქვეყნის ეკონომიკა უფრო სწრაფად იზრდება, თუ საწყისი წერტილი სიღარიბეა. ეკონომიკის ზრდაზე საწყისი პირობების ამ ზემოქმედებას ზოგჯერ ,,მკვეთრი ზრდის ეფექტი'' ეწოდება. ღარიბ ქვეყნებში, მშრომელებს შრომის აუცილებელი იარაღებიც კი არა აქვთ და, ამიტომ მათი მწარმოებლურობა მცირეა. კაპიტალის მცირე ინვესტიციების რაოდენობაც კი ამ მშრომელების მწარმოებლურობის მკვეთრ ზრდას იწვევს. თუმცა მდიდარ ქვეყნებში კი დამატებითი კაპიტალდაბანდება შედარებით ნაკლებად იწვევს ეკონომიკურ ზრდას, განსხვავებით ღარიბი ქვეყნებისა, სადაც ეკონომიკური ზრდის ტემპები შედარებით მაღალია. შეიძლება ერთმანეთს შვუდაროთ მე-20 საუკუნის აშშ და სამხრეთ კორეას ეკონომიკური ზრდის ტემპები. ,, 31 წლიან პერიოდში აშშ და ს. კორეამ თავიანთი მშპ-ს ერთი და იგივე ნაწილი დაუთმეს ინვესტიციებს. მიუხედავად ამისა, აშშ ეკონომიკური ზრდის ტემპმა მხოლოდ 2%, ს. კორეაში კი 6 %-ზე მეტი შეადგინა. 1960 წელს, კორეაში ერთ სულ მოსახლის ხვედრი წილი მშპ -ში აშშ-ის დონის 1/10- ს შეადგებდა, იმის გამო რომ წინა პერიოდში ინვესტიციები ძალიან დაბალი იყო. კაპიტალის მცირე საწყისი მარაგის პირობებში, კაპიტალის დაგროვებიდან მიღებული სარგებლობა კორეაში ბევრად მეტი იყო, რამაც ამ ქვეყანას, საბოლოო ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპი მისცა. [2. გვ. 699]

ეკონომიკური ზრდის ტემპების დადგენისათვის აუცილ-

ებელია შეფასება, გაზომვა. ეს შესაძლებელია მოხდეს როგორც ფიზიკურ, ასევე რაოდენობრივ პარამეტრებში. ორივე შემთხვებაში გარკვეულ სიძნელეებს ვაწყდებით, როგორც ტექნიკური, ასევე გაანგარიშების სიზუსტის თვალსაზრისით. პირველი მეთოდი გამორიცხავს ინფლაციის ფაქტორს,ამიტომ მისი გამოყენება უფრო საიმედოა, თუმცა მისი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია,ვინაიდან ეკონომიკური ზრდის ტემპის გაანგარიშებისას ძნელია სხვადასხვა დასახელების პროდუქციის შეფასებისათვის საერთო მაჩვენებლის დადგენა,რის გამოც გამოიყენება მეორე საშუალება, მიუხედვად იმისა, რომ იგი ინფლაცისთან დაკავშირებული დამახინჯებისაგან დაზღვეული არ არის.

პრაქტიკაში ეკონომიკური ზრდა ძირითადად განისაზღვრება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის გადიდებით საანგარიშო პერიოდში და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის გადიდებით მოსახლეობის ერთ სულზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ეკონომიკური ზრდის განსაზღვრის პირველი მეთოდი გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის დადგენის მიზნით,მეორე მეთოდით კი განსაზღვრავენ ქვეყნების განვითარების დონეს, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის შედარების მიზნით.

ეკონომიკური ზრდის ტემპის გასაანგარიშებელი ფორმულა ასეთია:

$$R=Q_1/ Q_0 *100+100$$

სადაც Q_0 არის მშპ-ს მოცულობა საბაზისო პერიოდისათვის, ხოლო Q_1 არის მშპ-ს მოცულობა საანგარიშო პერიოდისათვის. [3. გვ. 30]

ეკონომიკური ზრდის ტემპების დადგენა აქტუალური საკითხი გახდა თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოებისათვის. ეკონომიკური ზრდის შენელების ტენდენცია თანამედროვე მსოფლიოს თანამდევი პროცესია. 2013 წელს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი აშშ-მა 2,3 %-მდე, საფრნგეთმა - 0,2 %-მდე, გერმანიამ - 0,3 %-მდე შეამცირეს და ა. შ. აღნიშნული საკითხი საკმაოდ პრობლემურია საქართველოსათვის, რამდენადაც ევ-

როპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა (EBRD) ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პროგნოზი მნიშვნელოვნად შეამცირა. საყურადღებოა,რომ აღნიშნულმა ბანკმა, რომელიც ოპერირებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის 34 ქვეყანაში, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და შრდილოეთ აფრიკაში 2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროგნოზი მთელი რეგიონისათვის 3,1 %-დან 2,2 %-მდე შეამცირა. ამის მიზეზად ბანკის ექსპერტებს მიაჩნდათ პილონეთში, რუსეთსა და თურქეთში ეკონომიკური ზრდის შენელება. [4. გვ. 43]

საქართველოში ეკონომიკური ზრდა ბოლო პერიოდებამდე საკმაოდ მაღალი ტენდენციურობით ხასიათდებოდა, 2005 წლიდან 2008 წლამდე გარკვეულად იზრდებოდა ეკონომიკა, (2008-2009 წლების გამოტოვებით, როდესაც მთელ მსოფლიოში გაბატონებული იყო ეკონომიკური პრიზისი), 2012 წლიდან კი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუარესდა. (იხ. ცხრილი №1)

მშპ და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ცხრილი №1

წლები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მშპ	11621	13790	16994	19075	17986	20748	24344	26167	26847	29187
მშპ-ის ზრდის %	9,4	12,3	2,3	-3,8	3,8	6,8	7,2	6,2	3,2	4,8

[5]წყარო: www. geostat. ge

არსებული მონაცემებიდან ნათელია, რომ როგორც მშპ, ასევე მისი ზრდის ტემპიც (მუდმივ 2003 წლის ფასებში) 2006 წლიდან 2008 წლამდე ზრდის ტემპით ხასიათდება და 2006-

2014 წლების განმავლობაში მის მაქსიმუმს 2007 წელს აღწევს. 2008 წლიდან მშპ-ს ზრდის ტემპი 2010 წლამდე კლების ტენდენციით წავიდა (რუსეთ-საქართველოს შორის ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდი), ხოლო 2009 წელს წინა 2008 წელთან შედარებით არა თუ გაიზარდა, არამედ შემცირდა -3,8 %-იან მაჩვენებლამდე დაფიქსირდა. (2008 წელს საქართველოში მომხდარი აგვისტოს ომი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მოვლენების ასახვა 2009 წელს მოხდა). 2010 წლიდან 2012 წლამდე მშპ-ის ზრდის ტემპი კვლავ განაგრძობს ზრდას, ხოლო 2012 და 2013 წლებში ისევ კლების ტენდენციით ხასიათდება (საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, ქვეყანაში გამოწვეული ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილური მდგომარეობის გამო). რაც შეეხება 2014 წელს, ზრდის მაჩვენებელმა მიაღწია 4,8 %-ს, მაგრამ ეს არასაკმარისი აღმოჩნდა საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და ქვეყანაში არსებულმა განვითარების სხვა არასახარბიელო მაჩვენებლებთან ერთად, ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2015 წლისათვის შემცირდა.

ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებლებზე უარყოფითად იმოქმედა, როგორც შიგა, ისე გარეშე ეკონომიკურმა ფაქტორებმა: მნიშვნელოვნად შემცირდა საექსპორტო წარმოება ქვეყანაში, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა უარყოფოთი დამოკიდებულება სავაჭრო ბალანსის მიხედვით. (იხ. ცხრილი №2).

საერთო ჯამში, 2012-2014 წლების ეკონომიკური ზრდის ტემპები საგრძნობლად შემცირდა,რაც განაპირობა სახელელმწიფო ხარჯებისა (კაპიტალის ხარჯების) და პირდაპირმა უცხოური ინვესტიციების შემცირებამ და ბოლო პერიოდში მომხდარმა მოვლენებმა განაპირობეს ეკონომიკური ზრდის შენელება. ამას ემატება საგრძნობლად გაუარესებული ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები, ტრანსფერების მოცულობის შემცირება, საგადასახადო პოლიტიკა, ეროვნული ვალუტის კურსის საგრძნობი დაცემა, ინფლაციური პროცესების ზრდა. მოსალოდნელ პროცესებთან დაკავშირებით, ჩვენს ქვეყანაში 2015 წლისათვის ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი 5 %-ის ნაც-

საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2007-2015 წწ. (მლნ აშშ დოლარი). ცხრილი №2

წლები	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო სალდო
2007	1232	5212	-3980
2008	1495	6302	-4806
2009	1134	4500	-3367
2010	1677	5257	-3580
2011	2189	7065	-4876
2012	2375	8049	-5674
2013	2908	8026	-5117
2014	2861	8596	-5735
2015 (I-IIკვარტ.)	689	2326	-1637

[5]წყარო: www. geostat. ge

ვლად, განისაზღვრა მისი შემცირება 2,5%-მდე, ინფლაციური პროცესების კიდევ უფრო გამწვავების თავიდან აცილების მიზნით.

ყველა ეს პრობლემა, ერთად აღებული უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე ჩვენს ქვეყანაში, რისთვისაც უნდა დაისახოს ღონისძიებების მთელი სისტემა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბიუჯეტო-საგადასახდო პოლიტიკის როლის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის შიდა რესურსების გამოვლენასა და სამეურნეო ბრუნვაში ჩართვას, საგადასახადო სისტემის ადმინისტრირებით გადასახადების გადამხდელთა მხრივ გადასახადებისაგან თავის არიდების აღმოფხვრას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ასევე საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას.

დასკვნა. თანამედროვე მსოფლიოს პრობლემაა ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპები, რაც დამოკიდებულია ქვეყნების ეკონომიკური სისტემის ტიპებზე, ეკონომიკური რეფორმების არასათანადოდ განხორციელებაზე, ადამიანური კა-

პიტალის ხარისხზე და შიდა სამეურნეო პირობებზე. ქვეყნებში, სადაც წარმატებით ვერ გამოიყენეს ეკონომიკური ზრდის ფაქტორები, მნიშვნელოვნად შეფერხდა ეკონომიკური განვითარება, ხოლო ეკონომიკური ზრდის დაჩქარებული ტემპებით ვითარდება ქვეყნები, სადაც გაბედულ ეკონომიკურ რეფორმებს ახორციელებენ. საქართველო უნდა მიუერთდეს ასეთი რიგის ქვეყნებს, რადგან ჩვენი ეკონომიკის მკვეთრი დაქვეითებიდან გამოყვანა მხოლოდ მისი სწრაფი განვითარებით შეიძლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლეცეკ ბალცეროვიჩი. ,,თავისუფლება და განვითარება". თბილისი. 2004.

2. გრ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი. 2000.

3. ზ. ალავიძე. ,,ეკონომიკური ზრდის შეფასების საკითხისათვის". თბილისი. ჟურნალი მიკრო-მაკრო ეკონომიკა №4 (77) 2004.

4. ი. მესხია. ,,ეკონომიკური ზრდის შენელების ძირითადი მიზეზები და ფაქტორები". თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თნამედროვე ეტაპზე. თბილისი. 28/29 ივნისი. 2013.

5. www. geostat. ge

REFERENCES

1. Leszek Balcerowich. ,,Freedom and Development''. Tbilisi. 2004. (In Georgian Language) .

2. Gregory Mankiw. Principles of Economics. Tbilisi. 2000. (In Georgian Language) .

3. Z. Alavidze. ,,To The Issue of Economic Growth Estimation''. Tbilisi. M. M/M Economics. №4(77)2004. (In Georgian Language) .

4. I. Meskhia. ,,Main Causes and Factors of Slowdown of Economic Growth''. TSU Paata Gugushvili Institute of Economics. Proceedings of Materials of Interenational Scientific-Practical Conference. Actual

problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage. Tbilisi. 28/29 Iune,2013. (In Georgian Language) .

5. www. geostat. ge(In Georgian Language) .

THE RATES OF ECONOMIC GROWTH AND CONTEMPORANEITY

Megi Gorgaslidze
Doctor of Economics, ATSU, Professor

Resume

Economic growth is the basic point of the development of the civilized society as the prosperity of the people is depended on it. The acceleration or deceleration of economic growth determines the level of development of the humanity. For establishing the rate of economic growth, evaluation and measurement is essential. It can be made within physical as well as cost parameters. In both cases we face the challenges which need to be regulated.

The special relation exists between economic growth and investment. Investment grows invested capital. It provokes increasing of the rate of economic growth, but only for a specified period of time. When the production produced from added unit of the capital is reduced, in a long-term period we'll receive a deceleration in exchange of economic growth. It's generally acknowledged that in rich countries the rate of economic growth is comparatively low than in poor countries where sometimes workers don't have even the working instruments. This time economics of the country is rapidly growing if the basic point for them is poorness. The impact of the basic terms on economic growth is sometimes named as "Snowball Effect". Though, the standard of life in the developed countries is much higher.

Surrounding process of the modern world is the deceleration tendency of economic growth.

Key words: Economic Growth, Economic growth and investment, Establishing the rate of Economic Growth Evaluation ,"Snowball Effect", Deceleration tendency of economic growth.

იბნ ხალდუნის ეკონომიკური შეხედულებები

მერაბ მიქელაშვილი
საქართველოს ბიზნესის აკადემიის პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

„იცოდე, რომ პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ თაობები, განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ როგორ მოიპოვებენ ადამიანები არსებობისთვის აუცილებელ საშუალებებს“.

იბნ ხალდუნი

რეზიუმე. იბნ ხალდუნს ბევრი ღირებული მოსაზრება და დასკვნა გააჩნია ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მისი, როგორც ეკონომისტის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა გამოთქვა იდეა საზოგადოების პროგრესის შესახებ, გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების მიუხედავად. ისტორიული პროცესებთან დაკავშირებით იბნ ხალდუნის შეხედულებებს საფუძვლად უდევს არა პოლიტიკური სისტემის ევოლუცია, არამედ სამეურნეო საქმიანობების ფორმების ევოლუცია — მომთაბარე ცხოვრებიდან ქალაქურ ცხოვრებამდე.საზოგადოების განვითარების შიდა წყაროდ იგი მიიჩნევდა ადამიანების შრომით საქმიანობას. საუბრობს რა ეკონომიკაზე, იბნ ხალდუნი თითქმის ყოველთვის გადადის მსჯელობაზე სახელმწიფოს შესახებ, მის აღზევებასა და დაცემაზე. ის ამტკიცებს, რომ ნებისმიერ დინასტიას აქვს არსებობის ბუნებრივი ვადა, რომელიც იშვიათად გრძელდება სამ თაობაზე უფრო მეტ ხანს და ძველის დაცემის კვალობაზე მის ადგილზე აუცილებლად ჩნდება ახალი. ეკონომიკასთან დაკავშირებული იდეებით იბნ ხალდუნმა ძალიან გაასწრო თავის დროს. მის მიერ ფორმირებული პრინციპები დღემდე საფუძვლად უდევს თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებს.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მუსულმანური გადასახადი,

საგადასახადო დაბეგვრა, სადიქა, ხარაჯა, ჯიზია, ზაკატი , მუ-კადიმი, ლაფერის მრუდი

შესავალი. გადასახადი ერთ-ერთი უძველესი ეკონომიკური კატეგორიაა. ამიტომ საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები მუშავდებოდა საუკუნეების განმავლობაში. მრავალსაუკუნოვან-მა საგადასახადო გამოცდილებამ ჩამოაყალიბა საგადასახადო დაბეგვრის მთავარი პრინციპი: „არ შეიძლება იმ ქათმის და-კვლა, რომელიც ოქროს კვერცხებს დებს“ – ე.ი. როგორი ძლ-იერი მოთხოვნილებაც უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს ფინანსურ რესურსებზე, გადასახადებმა არ უნდა შეაფერხოს გადასახადების გადამხდელთა სამეურნეო საქმიანობა. გადასახადით უნდა დაიბე-გროს მხოლოდ შემოსავალი და არ უნდა შეეხოს იმ საშუალებებს, რომელიც აუცილებელია ამ შემოსავლის მისაღებად.

ძირითადი ტექსტი. საუკუნეების მანძილზე მუდმივად იცვლე-ბოდა გადასახადების სახეები, ფორმები და საგადასახადო დაბე-გვრის მეთოდები, მაგრამ გადასახადის არსი უცვლელი რჩებოდა. გადასახადები საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახდა სახ-ელმწიფოს წარმოშობასთან ერთად. სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის ცვლილებებთან ერთად აუცილებელი ხდებოდა საგადასახადო სისტემების ცვლილებაც და, შესაბამის-ად, საგადასახადო დაბეგვრის პრინციპების ახლებურად გააზრე-ბა. მუსულმანური გადასახადები წარმოადგენდა გადასახადების განსხვავებული ფორმების ნაირსახეობას, რომელიც ყალიბდე-ბოდა არაბული დაპყრობებისა (VII – VIII ს.ს.) და ხალიფატის ფი-ნანსური სისტემის ფორმირების დროს.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ დაიწყო ისლამის განვითა-რება. მისი თეოლოგიური სიმარტივე მიმზიდველი გახდა ჩვეუ-ლებრივი ადამიანებისათვის. ყურანითა და მახვილით შეიარა-ღებულმა მუსულმანებმა დაიმორჩილეს ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ესპანეთის დიდი ტერიტორიები, მაგრამ შიდა დაპირისპირებებმა მათი იმპერიის დაცემა გამოიწვია.

მუჰამედინები პოპულარულები იყვნენ, რადგან ახალ ტერიტო-რიებზე მიდიოდნენ როგორც რომის იმპერიის ბიუროკრატიისა და მაღალი გადასახადებისაგან დაჩაგრული ადამიანების განმათავი-

სუფლებლები. პერსიაში ზოროასტრეისტებმა, რომლებმაც თავის დროზე შეიფარეს მარიამი და ახალშობილი იესო, ადვილად მიიღეს ისლამი, რადგან რომის იმპერიის გადასახადები მათთვის აუტანელ უღელს წარმოადგენდა. მუსულმანთა დიდი ნაწილი ისლამმა ქრისტიანებისაგან მიიღო. 250 წლის განმავლობაში ქრისტიანობა რომის სახელმწიფო რელიგია იყო. მაღალი გადასახადების გამართლება სწორედ რელიგიით ხდებოდა. ასეთ სიტუაციაში ისლამის სულიერი ლიდერები ადვილად ახერხებდნენ ადამიანების დარწმუნებას მუსულმანად გახდომაში. პირველი დიდი ხალიფა ამბობდა: „თითოეული, ვინც მიიღებს ჩვენს რელიგიას და ილოცებს ჩვენი ღმერთისთვის, განთავისუფლდება სულადობრივი გადასახადისგან". ამგვარად, ეს არ იყო არჩევანი ქრისტიანობასა და ისლამს შორის, არამედ იყო არჩევანი თავისუფლებასა და საგადასახადო მონობას შორის. როგორც იმდროინდელი ისტორიკოსი აღნიშნავდა, „მაღალი გადასაადების მძიმე ტვირთის გამო ბევრი მდიდარი და ღარიბი გაემიჯნა მესიის (ქრისტე) რწმენას".

მუსულმანები მტკიცე ავტოკრატები იყვნენ. თავიანთი იმპერიის შექმნის დროს მათ ერთი დიდი შეცდომა დაუშვეს – ადგილობრივ მმართველებს გადასცეს გადასახადების აკრეფის უფლება. ამის შედეგად ისინი შეგროვილი გადასახადების მნიშვნელოვან ნაწილს თავისთვის იტოვებდნენ, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება ფინანსების დეფიციტს განიცდიდა. ყოფილი რომის იმპერიის ტერიტორიაზე მუსულმანებმა არ გააუქმეს გადასახადები მიწაზე და სულადობრივი გადასახადი. მათ უბრალოდ მოახდინეს გადასახადების აკრეფის ჰუმანიზაცია. ამასთან, ისინი იყვნენ ავტოკრატები და იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსისაგან (Augustus) განსხვავებით არ იცოდნენ სახელმწიფო ფინანსების მართვა. ისლამური საგადასახადო სისტემის სული კარგად ჩანს გადასახადის ამკრეფის სამუშაოზე წასვლის წინ ხალიფის მიერ მის დამოძღვრაში: „ნახე, რომ შეძლო მათზე დაკისრებული მიწის გადასახადის მთლიანი აკრეფა. ყურადღებით იყავი და ადამიანებს არ მისცე საშუალება, თავი აარიდონ გადასახადის გადახდას. არ აჩვენო მათ სისუსტე. მოდი ჩემთან შუადღისას. მე მივედი მასთან შუადღისას. მან მე მითხრა: „ფრთხილად იყავი, როცა მათთან

მიდიხარ. არ ცემო ისინი, არ აიძულო მუხლებზე დადგნენ შენს წინ გადასახადების გადახდის დროს, არ გაყიდო მათი ქონება იმისთვის, რომ კომპენსაცია გაუკეთო მათ მიერ არ გადახდილ გადასახადებს, რადგან შენ უფლებამოსილი ხარ აკრიფო მხოლოდ ნამატი. თუ არ დაემორჩილები ჩემს ბრძანებას, ღმერთი დაგსჯის შენ. მე წამოვედი და ისე მოვიქცეი, როგორც მან მიბრძანა. შემდეგ მე დავბრუნდი და აღმოჩნდა, რომ სრულად შევაგროვე კუთვნილი გადასახადები".

ასეთივე პოლიტიკა გამოიყენებოდა მუსულმანების მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ. მაშინ ეგვიპტეში გადასახადებს იხდიდნენ მხოლოდ ოქროთი და ვერცხლით. ადამიანები იტანჯებოდნენ სულადობრივი გადასახადების გამო. მუსულმანებმა შემოიღეს წესები, რომლის მიხედვითაც გადასახადების გადახდა შესაძლებელი იყო გლეხისათვის სასურველი ნებისმიერი ფორმით. საძოვრები გაათავისუფლეს მიწის გადასახადისაგან იმ პირობით, თუ გლეხი მუსულმანების კუთვნილი საქონლის გარკვეულ რაოდენობას ამ საძოვრების გამოყენების უფლებას მისცემდა. სულადობრივი გადასახადი ორი დინარის ოდენობით მხოლოდ ურჯულო, ანუ არამუსულმანი ვაჭრებისათვის იქნა დატოვებული.

არაბებმა მოიტანეს მშვიდობა და თავაზიანობა იმ სამყაროში, რომელიც დეფორმირებული იყო გადასახადებისა და დაუნდობლობის გამო. მათ გაათავისუფლეს ძველი რომაული სამყარო კორუმპირებული და ექსპლოატაციური საგადასახადო დაბეგვრის სისტემისაგან. არაბებმა პრაქტიკაში დანერგეს გადასახადების დაბრუნება, როგორც ეს იყო ჯერ კიდევ პალესტინაში 636 წელს. ისინი უბრუნებდნენ ფულს როგორც ქრისტიანებს, ასევე ებრაელებს. იმ დროისათვის არაბებს დაპყრობილი ჰქონდათ იუდეველთა მიწების უმრავლესობა. როცა არაბებმა შეიტყვეს, რომ ამ მიწებისკენ მიემართებოდნენ რომაელები, გადაწყვიტეს უკან დაებრუნებინათ გადასახადები და განაცხადეს, რომ მათ არ შეეძლოთ მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასეთმა ქმედებამ ძალზე იმოქმედა ქრისტიანებზე და ებრაელებზე. ისინი შესთხოვდნენ ღმერთს, რომ არაბები დაბრუნებულიყვნენ მათთან. ასეთი სურათი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმისგან,

რაც ყურანში იყო მოცემული – ყველა ურჯულო იმსახურებს სიკვდილს, მაგრამ არაბები საპირისპიროდ მოქმედებდნენ. სიკვდილით დასჯა არ გამოიყენებოდა ყველაზე დიდი ფუნდამენტალისტების მხრიდანაც კი – დამარცხებული ადამიანები არჩევანის წინაშე იდგნენ: სიკვდილი, გადასახადები ან ისლამის მიღება. ისლამისტებმა მოახდინეს რომის საგადასახადო სისტემის მოდიფიკაცია, შეამცირეს რა საგადასახადო განაკვეთები და შეზღუდეს გადასახადის აკრეფა მხოლოდ ურჯულოებისათვის. ასეთმა მიდგომამ ისლამს სწრაფი ზრდის საშუალება მისცა, ვიდრე ყურანის საფუძველზე მახვილის გამოყენებამ. ისლამის რელიგიაზე მასობრივმა გადასვლამ გამოიწვია საგადასახადო ბაზის მკვეთრი შემცირება. ეგვიპტის მმართველები ემუდარებოდნენ ხალიფებს, გადასახადების გადახდა ყველასთვის სავალდებულო გაეხადათ. ბოლოს და ბოლოს, ისლამის მიმდევართა რიცხვის ზრდის წმინდა საქმესა და საგადასახადო შემოსავლების ზრდას შორის არაბებმა არჩევანი მეორეს სასარგებლოდ გააკეთეს.

გადასახადის გადახდა ურჯულოების მთავარი მოვალეობა გახდა. ამასთან მათ ეკრძალებოდათ მუსულმანებთან ბრძოლა და მუსულმან ქალბატონებთან კონტაქტი. ასეთ შემთხვევაში მათ გარანტირებული ჰქონდათ უსაფრთხოება და უფლება, გაჰყოლოდნენ თავის რელიგიას. აი, ასეთი წერილი დაწერა ხალიფამ 642 წელს თბილისის მოსახლეობისადმი: „ღმერთის სახელით ვწერ მე, ხაბიბ იბნ მასლამა თბილისის მაცხოვრებლებს. მე გაძლევთ თქვენ, თქვენს შვილებს, თქვენს ოჯახებს, თქვენს ეკლესიებსა და მონასტრებს, თქვენს რელიგიებსა და ლოცვებს უსაფრთხოების გარანტიებს იმ პირობით, რომ თქვენ გადაიხდით სულადობრივ გადასახადს – ერთ დინარს, ერთ საოჯახო მეურნეობაზე. თქვენ არ უნდა გააერთიანოთ რამდენიმე საოჯახო მეურნეობა ერთ დიდი მეურნეობად იმისათვის, რომ შეამციროთ გადასახადი. ჩვენ არ დავყოფთ საოჯახო მეურნეობას, რომელიც უკვე შექმნილია“. დასავლეთის ცივილიზაციაში ასეთი პრაქტიკა არსებობდა ათასწლეულების განმავლობაში. ასეთი მიდგომა გვაგონებს გადასახადების აკრეფის ბერძნულ პრაქტიკას უცხოელებთან მიმართებაში.

მუსულმანური იმპერიის დაცემა დაიწყო ესპანეთში. ამ დროისათვის არაბებმა გაზარდეს საგადასახადი განაკვეთები და შემოიღეს მსოფლიოში პირველი აქციზის გადასახადი 5%-ის ოდენობით. ხალიფები და სულთნები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ მუჰამედისაგან, რომელიც მოკრძალებით ცხოვრობდა. ისლამური სამყაროს მმართველები კორუმპირებულები გახდნენ – ხარჯავდნენ დიდ თანხებს, მაგრამ არ ჰქონდათ ეფექტური საგადასახადო აუდიტის სისტემა. ადგილობრივი გადასახადის ამკრეფები ფულის დიდ ნაწილს თავისთან იტოვებდნენ. მეორე ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ისლამური იმპერიის დაცემას – გადასახადის გადამხდელების მისამართით ღონისძიებათა გამკაცრება იყო (ცემა, სიკვდილით დასჯა) ეგვიპტეში ადგილობრივ სულთანს სურდა გადასახადის განაკვეთის 5%-ით გაზრდა, რაზედაც მრჩეველმა უპასუხა: „მე არ შემიძლია ვთხოვო ადამიანებს მეტი გადასახადის გადახდა, როცა სულთანის ცოლმა დღესასწაულზე ჩაიცვა 30 ათასი დინარის ღირებულების კაბა. და ეს მხოლოდ ერთი ცოლი და ერთი კაბაა?!“ ეს ფაქტი კარგად მეტყველებს დასუსტებულ იმპერიაში კორუფციის მასშტაბებზე.

საუკუნეების წინ, მუსლიმან გადასახადის ამკრეფებზე (ვაზირებზე) დაწერილი ეს სიტყვები, მათი საგადასახადო სისტემის მთელი „სიდიადის“ საუკეთესო ილუსტრაციად შეიძლება გამოდგეს:

„ისინი იყვნენ უმოწყალო ნაძირლები, ათასობით უსამართლო კანონს ამოფარებულნი და ამავე მეთოდების გამომგონებლები, ქედმაღლები და ამპარტავნები... ისინი იყვნენ თავისი პერიოდის ბოროტი სულები, მუდმივად გამზადებულები, რომ ამოეწოვათ სხვათა სისხლი. მათი არსებობის მიზანი იყო სხვათა დაჩაგვრა. ისინი განასახიერებდნენ კაცობრიობის სირცხვილს“.

თომა აქვინელის კანონის მიხედვით, გადასახადი კანონითა და წესჩვეულებით დაშვებული ძარცვის ფორმაა. მისი აზრით, რჩება რა „ყაჩაღობად“, გადასახადი „თავისუფლდება ცოდვებისაგან“, თუ მიზნები, რისთვისაც ხდება მისი აკრეფა, სამართლიანია. გადასახადის ამკრეფის მიზანი კი იმ შემთხვევაშია სამართლიანი, თუ მისი განზრახვები კეთილშობილურია და მიმართულია სიკ-

ეთისაკენ.

იბნ ხალდუნის (1332-1406) – არაბი მაჰმადიანი ფილოსოფოსის, ისტორიკოსისა და სოციოლოგის შრომები ეკონომიკასთან მიმართებაში დღესაც აქტუალურია. იგი ეკონომიკური ფაქტორების ბაზაზე საზოგადოებრივი პროგრესის მნიშვნელოვანი კონცეფციების ავტორად გვევლინება. მისი მოღვაწეობის პერიოდში ძველი ტრადიციების მემკვიდრეობასთან ერთად, რომელიც სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა შეენარჩუნებინა და განეკარგა მიწის დიდი რესურსები, ამასთან შეევსო ხაზინა გადასახადებით, მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა „ყურანის“ უძლიერესი პოსტულატები, რომელიც VII საუკუნეში წარმოშობილი ახალი რელიგიური იდეოლოგიის – ისლამის საფუძველს წარმოადგენდა.

იბნ ხალდუნის კონცეფციაში არ არის უარყოფილი ვაჭრობის სიკეთე, ხაზი აქვს გასმული შრომისადმი ამაღლებულ დამოკიდებულებას, გაკიცხულია სიძუნწე, სიხარბე და მფლანგველობა. მოაზროვნის მთავარ მიღწევას წარმოადგენს საზოგადოების ევოლუციის – „პრიმიტიულიდან ცივილიზაციამდე“ დიფერენცირებული დახასიათება. იბნ ხალდუნი თვლიდა, რომ ეკონომიკის ყველა დარგის წარმატებული განვითარება ხალხის სიმდიდრის მრავალჯერადი გაუმჯობესების საშუალებას იძლევა და ამასთან ერთად ყველა ადამიანს სიმდიდრესთან თანაზიარს ხდის. რაც უფრო დაბალია საგადასახადო განაკვეთები, მით უფრო რეალურია ნებისმიერი ქალაქის და მთელი საზოგადოების აყვავება. იბნ ხალდუნს ფული მიაჩნდა სამეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტად და თვლიდა, რომ მის როლს ასრულებდნენ ოქროს და ვერცხლის სრულყოფილი მონეტები. მისი აზრით, ფული ასახავდა „ადამიანის შრომის რაოდენობრივ შემადგენელს“, „ყოველი მოძრავი ქონების ღირებულებას“ და სწორედ მათში ხედავდა იგი „დაგროვებისა და განძეულის საფუძველს“. იბნ ხალდუნის აზრი ოქრო და ვერცხლი ფულად იქცა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მათი ფასი არ ექვემდებარებოდა რყევევს ბაზარზე. Aამ ლიტონების იშვიათობა და მათი მოპოვებისა და დამუშავების დიდ ხარჯები განაპირობებენ მათ მაღალ ღირებულებას. Aამასთან ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ოქრო და ვერცხლი მხოლოდ ინტრუ-

მენტია და არა საქონელი. რაც შეეხება ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობას, ის დამოკიდებულია არა მარტო საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ დონეზე, არამედ სხვა ქვეყანაში საქონლის ექსპორტის მოცულობაზე.

მუსულმანური კულტურის ჩამოყალიბება დაიწყო არაბული დაპყრობითი ომების კვალდაკვალ. ასი წლის მანძილზე (VII-VIII სს) არაბებმა კოლოსალური ტერიტორიები დაიპყრეს. არაბული ხალიფატი რომის იმპერიაზე დიდი იყო და ესპანეთიდან ინდოეთამდე ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. მის შემადგენლობაში შედიოდა ბევრი განვითარებული ქვეყანა, რომელთა მოსახლეობას, გადადიოდნენ რა ისლამზე, თავისი წვლილი შეჰქონდათ მუსულმანური კულტურის ფორმირებაში. კერძოდ, ყოფილი ბიზანტიური პროვინციები სირია და ეგვიპტე, რომლებიც ანტიკური კულტურისა და მათ შორის ანტიკური ფილოსოფიის მქადაგებლები იყვნენ ისლამურ სამყაროში. იბნ ხალდუნი საზოგადოების განვითარების საქმეში დიდ მნიშვნელობას ეკონომიკას ანიჭებდა. მისი კვლევის საგანი მიკროეკონომიკა იყო. მეთოდების ანალიზისას ვხვდებით როგორც პოზიტიურ, ასევე ნორმატიულ მიდგომებს. უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ დებულებად გვხვდება იდეა გარემოს მოვლენების ურთიერთკავშირის შესახებ – „სამყარო მოწესრიგებული და სრულყოფილია, – წერდა ის, – რომელშიც მიზეზები დაკავშირებულია შედეგებთან, არსებული საგნები გარდაიქმნებიან სხვა საგნებად“. მეორე მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დებულება არის თეზისი საზოგადოების განვითარების ბუნებრივი კანონების არსებობის შესახებ „ბევრი სახელმწიფო მოხელეთაგან, – აღნიშნავდა იგი, – ფლობენ რა სიფხიზლეს პოლიტიკაში, შეუძლიათ მიაქციონ ყურადღება ნგრევის ნიშნებს, რომლებსაც ატარებს მათი სახელმწიფო და შეუძლიათ ჩათვალონ, რომ ამის თავიდან აცილება შესაძლებელია... ისინი თვლიან, რომ მათ სახელმწიფოს ეს უბედურება ემუქრება იმ სახელმწიფო მოხელეთა გამო, რომლებიც მათ მოსვლამდე მართავდნენ ქვეყანას. მაგრამ ეს ასე არ არის. ეს ნგრევა ბუნებრივია”. იბნ ხალდუნი თვლიდა, რომ საზოგადოება ვითარდება ცივილურად. ყოველი ციკლის ფარგლებში ის გამოყოფდა სამ ეტაპს. თითოეული ეტა-

პის განმასხვავებელ ნიშნად იგი ეკონომიკის განვითარების დონეს მიიჩნევდა. „იცოდე, – წერდა იბნ ხალდუნი, – რომ პირობები, რომელშიც ცხოვრებდნენ თაობები, განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ მოიპოვებენ ადამიანები არსებობის საშუალებებს“. პირველ ეტაპს ის უწოდებს „ველურს“ – აქ ადამიანები დაკავებულნი არიან ნადირობით და საკვებად გამოსაყენებელი მცენარეების შეგროვებით. მეორე ეტაპზე, რომელსაც „პრიმიტიულს“ უწოდებს, ჩნდება წარმოებითი მეურნეობა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სახით. მესამე ეტაპზე, რომელსაც იბნ ხალდუნი „ცივილიზაციას“ უწოდებს, ჩნდება ხელოსნობა და ვაჭრობა, რომელიც თავმოყრილი და კონცენტრირებულია ქალაქებში. ამ ეტაპზე გადასვლის კვალდაკვალ ჩნდება სახელმწიფო, რომელიც ნიშნავს თანასწორობიდან და ტომობრივი დემოკრატიიდან გადასვლას უთანაბრობაზე და ბატონობაზე. ტომის ბელადისგან განსხვავებით, რომელიც იყო პირველი თანასწორთა შორის, ემირი ეფუძნება დაქირავებულ მეომრებს და ჩინოვნიკებს. სახელმწიფო, იბნ ხალდუნის აზრით, ეს არის საკუთარ ხალხზე ძალადობის აპარატი. ამასთან დაკავშირებით მესამე ეტაპზე იბნ ხალდუნს შემოაქვს სიმდიდრის შეძენის მეთოდების ბუნებრივ და არაბუნებრივ საშუალებებად დაყოფა – ე.ი. ეკონომიკური ურთიერთობების სისტემატიზაცია. ბუნებრივ მეთოდად იბნ ხალდუნი მიიჩნევს შრომას, არაბუნებრივ მეთოდად – ძალადობას (სახელმწიფოს მხრიდან). ბუნებრივ მეთოდებად მიჩნეულია სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა. როგორც ვხედავთ, დაყოფის კრიტერიუმებს წარმოადგენს არა „მიზანი“, როგორც გვხვდება არისტოტელესთან, არამედ „მეთოდი“ – ვაჭრობა ასევე ითვლება ბუნებრივ შრომით საქმიანობად. მან პირველმა ამოხსნა ღირებულების საიდუმლო , დაინახა რა სრომასი ღირებულების სუბსტანცია არაბუნებრივ მეთოდებს იბნ-ხალდუნი მიაკუთვნებს გადასახადებს („გადასახადები ქმნიან სახელმწიფოს საფუძველს“), მონოპოლიურ სახელმწიფო ვაჭრობას („ემირები ეწევიან მიწათმოქმედებისაგან პროდუქციის შესყიდვას და თავს ახვევენ მათ იმ ფასს, რომელიც მოუნდებათ, ხოლო შემდეგ ყიდიან იმ ფასად, რომელსაც თვითონ დაადგენენ), ასევე სასამართლო კონ-

ფისკაციას და სამხედრო ნადავლს. საზოგადოების განვითარების მესამე ეტაპი, რომელიც წარმოადგენს იმავდროულად მის უმაღლეს საფეხურს, თავის თავში შეიცავს მისი გარდაუვალი სიკვდილის მარცვალს. სახელმწიფოს მადა თანდათან იზრდება, რასაც მიჰყავს მმართველი ახალი გადასახადების დაწესებამდე", მაგრამ ერთდროულად ეს იწვევს ადამიანების საქმიანი აქტიურობის შემცირებას, „შემოსავლების გაქრობას, ხოლო ეს კლავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ მათ იმედებს". „თუ ადამიანები არსებობისათვის აუცილებელი სახსრების მოპოვებას ზურგს აქცევენ, მაშინ ბაზრებზე ისადგურებს კვდომა და ადამიანები იფანტებიან და ინგრევა ქალაქები. მათი ნგრევის გამო კი ინგრევა სახელმწიფო და ძალაუფლება". საუბარია იმაზე, რომ, სურს რა მიიღოს ბევრი შემოსავალი გადასახადებიდან, სახელმწიფო მიიღებს უფრო და უფრო ცოტას, ხაზინა დაცარიელდება, ჯარის დაფინანსება აღარ მოხერხდება და ეს სახელმწიფო დაპყრობილი იქნება მეზობლების მიერ. მაგრამ ამ რეგიონის მოსახლეობისათვის ისტორია გაგრძელდება. თუ დამპყრობლები მეზობელი ტომები იქნებიან, დროთა განმავლობაში მათაც ექნებათ სახელმწიფო და იბნ ხალდუნის მიხედვით, მათი სახელმწიფოც იგივე სქემით გააგრძელებს მოძრაობას. საქონლის ფასი, იბნ ხალდუნის მიხედვით, განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით. მოთხოვნის მხრიდან ფასი განისაზღვრება საგნის სარგებლობით და „ადგილით, რომელსაც ის იკავებს სხვა საგნებს შორის". მიწოდების მხრიდან ფასი „განისაზღვრება დახარჯული შრომით", ამასთან, მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ უშუალო მწარმოებლის შრომა, არამედ აგრეთვე მატერიალური დანახარჯები, ე.ი. ფასი ასევე „შეიცავს სხვების შრომას, როგორც დურგალი იყენებს ხეს, ფეიქარი ბალთას და ე.ი. შრომა ამ საქმეში უფრო მეტია".

აღსანიშნავია, რომ საუბრობს რა ეკონომიკაზე, იბნ ხალდუნი თითქმის ყოველთვის გადადის მსჯელობაზე სახელმწიფოს შესახებ, მის აღზევებასა და დაცემაზე. ის ამტკიცებს, რომ ნებისმიერ დინასტიას აქვს არსებობის ბუნებრივი ვადა, რომელიც იშვიათად გრძელდება სამ თაობაზე უფრო მეტ ხანს და ძველის დაცემის კვალობაზე მის ადგილზე აუცილებლად ჩნდება ახალი.

საგადასახადო დაბეგვრის სქემა პირდაპირ კავშირშია დინასტიის სასიცოცხლო ციკლთან და ეს კანონზომიერება იმის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რამდენი დრო აქვს დარჩენილი ამ დინასტიას ან სახელმწიფოს.

საგადასახადო შემოსავლებზე საუბრის დროს იბნ ხალდუნი აღნიშნავს, რომ დაბალი გადასახადები ნიშნავს ხაზინაში მაღალ საგადასახადო შემოსავლებს, ხოლო მაღალი გადასახადები კი – მცირე საგადასახადო შემოსავლებს. შემდეგ, იბნ ხალდუნი ამას იმით ხსნის, რომ: „სახელმწიფო, თუ ის მისდევს რელიგიურ დებულებებს, არ ითხოვს არაფერს, გარდა დაწესებული მოსაკრებლისა – სადიქა (Sadaqah, ე,ი, ნებაყოფლობითი შესაწირი), ხარაჯა (Kharaj, e.ი. მიწის გადასახადი), ჯიზია (Jizja, ე.ი. სულადობრივი გადასახადი) – მათი ოდენობა კი მცირეა. როგორც ცნობილია, ასევე მცირეა ზაკატის (Zakat, ე.ი. მეათედი) ოდენობა. ეს ეხება იმ მეათედსაც, რომელსაც იხდიან ხორბლითა და ცხოველებით, ასევე ჯიზიას, ხარაჯას და სხვა დაწესებულ მოსაკრებლებს, რამეთუ მათ აქვთ დაწესებული საზღვარი, რომლის დარღვევაც არ შეიძლება“.

მართლაც, ისლამი აწესებს გადასახადების უმნიშვნელო განაკვეთებს. ასე მაგალითად, ზაკატი (Zakat, ნებაყოფლობითი შესაწირი, რომელიც მიმართულია ღარიბებისადმი და არა სახელმწიფოსათვის), შეადგენს ოქროთი, ვერცხლით ან ფულით დაგროვილი სიმდიდრის მხოლოდ 2,5%-ს. სხვა გადასახადები, მათ შორის მიწისა და სულადობრივი გადასახადები, მუსულმანურ სამყაროში არასოდეს არ იყო ძალიან მძიმე ტვირთი. ამგვარად, იბნ ხალდუნი ამტკიცებს, რომ, თუ სახელმწიფო ემორჩილება ისლამურ პრინციპებს და არ ცდილობს საგადასახადო ტვირთის დამძიმებას, ის წარმატებით ახერხებს გადასახადების შეგროვებას და უზრუნველყოფს მაღალ სახაზინო შემოსავლებს. შემდეგ ნაწილში იბნ ხალდუნი აღნიშნავს, რომ დაბალი საგადასახადო დაბეგვრის მიზეზი და, შესაბამისად, მაღალი საგადასახადო შემოსავლების მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდა სახელმწიფოს მმართველი, როგორც წესი, უფრო დაინტერესებულია სახელმწიფოს ერთიანობასა და სიმტკიცეში, ვიდრე საკუთარი ქონების

დაგროვებაში: „დინასტიციის დასაწყისში შემოსავლები ნაწილდება ტომსა და ადამიანებს შორის, მათი სარგებლიანობისა და კოლექტიური სოლიდარულობის ხარისხის მიხედვით. ასეთ პირობებში კი მათი ლიდერი თავს იკავებს საკუთარი შემოსავლების ზრდის მიდრეკილებების გამოვლენაში“.

აქ იბნ ხალდუნი ხსნის, რატომაა დამახასიათებელი დინასტიისთვის ადრეულ პერიოდში დაბალი საგადასახადო დაბეგვრის სისტემა და თვლის, რომ ამის მიზეზია სახელმწიფო კორუფციის არ არსებობა. სანამ მმართველი დაინტერესებულია სახელმწიფოს სიმტკიცით და საკუთარი მმართველობის ეფექტურობით, საგადასახადო შემოსავლები გამოიყენება სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცებისა და ხელშეწყობისათვის. და პირიქით, როცა სახელმწიფო კორუმპირებულია და საგადასახადო შემოსავლების დიდი წილი მიემართება უშუალოდ მმართველის პირად ხარჯებზე, საგადასახადო განაკვეთები, ბუნებრივია, უნდა გაიზარდოს, რათა დააკმაყოფილოს მმართველის გაზრდილი მოთხოვნილებები.

პატიოსანი მმართველის კლასიკური მაგალითია ისლამის მეორე ხალიფა უმარ იბნ ალ-ჰატიბი (Umar ibn Al-Khattab), რომელიც 634-644 წლებში მართავდა. ცნობილია, რომ სახლში ის იყენებდა ორ სანათურს: ერთს ხმარობდა მხოლოდ მაშინ, როცა დაკავებული იყო სახელმწიფო საქმეებით და მასში ასხავდა ზეთს, რომელიც ნაყიდი იყო გადასახადის გადამხდელთა ფულით, ხოლო მეორე სანათურისთვის ზეთს ყიდულობდა საკუთარი ფულით და ანთებდა მას მხოლოდ იმ დროს, როცა საკუთარი საქმეებით იყო დაკავებული. უმარის მმართველობის დროს სახელმწიფო მრავალ სფეროსა და წამოწყებებში წარმატებული იყო. კიდევ ერთი მაგალითია 1100-იან წლებში სალახ ალ-დინის (Saladin) მმართველობა. 1193 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ სალახს, რამდენიმე ოქროს და ვერცხლის მონეტის გარდა, არაფერი დარჩა, თუმცა ის ეგვიპტისა და სირიის სულთანი გახლდათ. სახელმწიფო ხაზინიდან ის იყენებდა ფულს არმიისა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების განსამტკიცებლად. ასეთი ქმედებებით მან შექმნა ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც გაათავისუფლა იერუსალიმი ჯვაროსნებისაგან.

იბნ ხალდუნი ხაზს უსვამს მაღალ საგადასახადო განაკვეთებთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრობლემას: „და აწვებოდა გადასახადები ტვირთად ქვეშევდრომებს, ამძიმებდნენ მათ და თანდათან ყალიბდებიან დაწესებულ ნორმად, რამეთუ ზრდა ხდება თანდათანობით და მცირე დოზებით და არავის ესმის, ვინ გაზარდა იგი. ქვეშევდრომები კარგავენ იმედს, რადგან სარგებელი ხდება მცირე. და თუ ვინმე შეადარებს სარგებელს და გადასახადებს, აგრეთვე შრომის შედეგს და სარგებელს, უმრავლესობა საერთოდ დატოვებს თავის ადგილს. მოსაკრებლების ჯამი მაშინ ხდება არასაკმარისი წილობრივი ნაწილების ზომების არასაკმარისობის გამო. ეს ჯამი მუდმივად მცირდება, ხოლო გადასახადების ზომები კი იზრდება“.

იბნ ხალდუნი ამტკიცებს, რომ როცა სახელმწიფო ქვეშევრდომებს ამძიმებს გადასახადებით, განსაკუთრებით მათ, რომელთაც შეუძლიათ სამუშაო ადგილების შექმნა, მათ ეკარგებათ სტიმული საკუთარი ფულის საწარმოში დაბანდების საქმეში (იბნ ხალდუნი მეწარმეობას უწოდებს „შრომას, რომელიც ითვისებს სამყაროს“) მიზეზი მარტივია – სახელმწიფო თქვენ გართმევთ ფულს, ხოლო ის, რაც გრჩებათ არასაკმარისია ბიზნესის გასაფართოებლად, რაც იწვევს ეკონომიკის სტაგნაციას, შესაბამისად სახაზინო შემოსავლების კლებას. „მიწოდების ეკონომიკის“ მომხრეები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მიწოდებას, თვლიან, რომ კორპორაციები და მდიდრები უნდა იბეგრებოდნენ დაბალი გადასახადებით. დაბალი განაკვეთები მათ საშუალებას აძლევს დაიტოვონ მეტი თანხა, რომელსაც ისინი დახარჯავენ ბიზნესის გაფართოებაზე, ანუ ნაკლებად შეძლებული ადამიანების ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე.

კონსერვატიული პოლიტიკოსები, ისეთები, როგორიც იყო როლანდ რეიგანი, ეფუძნებოდა რა ამ მიდგომას, იცავდა საგადასახადო დაბეგვრის დაბალი განაკვეთების დაწესების აუცილებლობას მაშინ, როცა ლიბერალური ეკონომიკური თეორიები გულისხმობენ მაღალი საგადასახადო განაკვეთის დაწესებას მდიდრებისთვის. 1993 წელს აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი რონალდ რეიგანი ამბობდა: „ნება მომეცით, შემოგთავაზოთ არაბი ისტო-

რიკოსის იბნ ხალდუნის რჩევა: „იმპერიის არსებობის დასაწყისში გადასახადები მცირეა, ხოლო შემოსავლები მაღალი. იმპერიის ბოლოს გადასახადები მაღალია, ხოლო გადასახადები – დაბალი“. არა, პირადად მე არ ვიცნობ იბნ ხალდუნს, თუმცა შესაძლოა, ჩვენ გვყავდა საერთო მეგობრები“.

იბნ ხალდუნის იდეებმა დაბალანსებულ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ სახაზინო შემოსავლებს, მოგვიანებით ასახვა ჰპოვა ე.წ. „ლაფერის მრუდში“. ამის გამო, ამგვარ მიდგომას კიდევ უწოდებენ „გამოჟონილი სიმდიდრის ეკონომიკას“.

ეს პრინციპი ჩამოაყალიბა და გრაფიკულად გამოსახა ამერიკელმა ეკონომისტმა არტურ ლაფერმა. მაგრამ ის არ აცხადებდა პრეტენზიას იდეის ავტორობაზე და ცალსახად აცხადებდა თავისი იდეების წინაპრად იბნ ხალდუნს:

„უნდა ითქვას, რომ „ლაფერის მრუდი“ ჩემი მოგონილი არ არის. მაგალითად, იბნ ხალდუნი, XIV საუკუნის მუსულმანი ფილოსოფოსი, თავის ნაშრომში „მუკადიმი“ წერდა: „იცოდე, რომ სახელმწიფოს არსებობის დასაწყისში გადასახადები თავისი წილით მცირეა, ხოლო შემოსავლები დიდი, მაშინ როცა სახელმწიფოს არსებობის ბოლოსთვის გადასახადების განაკვეთები დიდია, ხოლო შემოსავლები – მცირე“.

ზოგიერთი დასავლეთელი მკვლევარის აზრით, იბნ ხალდუნი უდიდესი მეცნიერია, რომელმაც ადამ სმიტზე არანაკლებად ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე ეკონომიკურ თეორიას და ამიტომ მასთან ერთად უნდა იწოდებოდეს “ეკონომიკის მამად”. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი იოსებ შუმპეტერი , რომელიც ადამ სმიტს თვლიდა უდიდეს ფილოსოფოსად, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეკონომიკურ მეცნიერებაში, აღიარებს, რომ “ ეკონომიკური აზრის სფეროში იბნ ხალდუნი უფრო ორიგინალურია, ვიდრე ადამ სმიტი, მიუხედავად იმისა , რომ ის ეყრდნობოდა მისი წინამორბედების იდეების გადამუშავებულ ვერსიებს-ისეთებს, როგორიც იყო შრომის განაწილება პლატონის “იდეალურ” სახელმწიფოში, არისტოტელეს მიერ ფულის არსისა და ბუნების ანალიზს და ტახირ იბნ ალ-ჰუსეინის იდეებს სახელმწიფოს მართვაზე”

დასკვნა. ცხადზე ცხადია, რომ ეკონომიკასთან დაკავშირებული იდეებით იბნ ხალდუნმა ძალიან გაასწრო თავის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ის ცხოვრობდა XIV საუკუნეში, მის მიერ ფორმირებული პრინციპები დღემდე საფუძვლად უდევს თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებს.

ეკონომიკისა და სახელმწიფოს თეორია, რომელიც ჩამოყალიბებულია „მუკადიმში", წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს, რომელიც აგრძელებს თავისი როლის შესრულებას თანამედროვე მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. For Good and Evil: The Impact of Taxes on the Course of Civilization – Charles Adams, Madison Books, 1999

2. Игнатенко А.А. Ибн-Халдунь М.Мысль, 1980

3. В.А.Канке Философия экономической науки –М. Инфра-М, 2009

4. http://koltemar.blogspot.com/2009/07/blog-post_4527.html

5. http://smirnov.iph.ras.ru/win/publictn/texts_2/ikh_t_i.htm

REFERENCES

1. For Good and Evil: The Impact of Taxes on the Course of Civilization – Charles Adams, Madison Books, 1999

2. A.A Ignatenko Ibn Khaldun M.Mysl, 1980 (In Russian Language).

3. V.A.Kanke philosophy of economics -M. Infra-M, 2009(In Russian Language) .

4. http://koltemar.blogspot.com/2009/07/blog-post_4527.html

5. http://smirnov.iph.ras.ru/win/publictn/texts_2/ikh_t_i.htm

THE ECONOMIC VIEWS OF IBN KHALDUN

Merab Miqelashvili, PHD
Professor, Business Academy of Georgia

Resume

Ibn Khaldun has lots of valuable views and points about the economic issues. The main dignity of him (as an Economist) is the fact, that despite the influence of external factors, he was the first to express his opinion about the progress of the society. The basis of Khaldun's views about the historical processes is not the evolution of political evolution, but the evolution of economic activities - from nomadic to urban life. He thought of human labour as a source of society development.

While talking about economics, Ibn Khaldun almost always talks about the state, it's rise and fall. He states, that every dynasty has its natural time, which rarely lasts for more than 3 generations and when it falls, a new dynasty always rises.

The principles formed by Ibn Khladun still work as a basis of modern economic theories.

Keywords: Economy, Muslim taxes, Taxation, Sadaqah, Kharaj, jizja, Mukadim, Laffer curve.

ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში

ზვიად ბეშკენაძე
ეად, აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი
შოთა ლომინაშვილი
ეად, აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

შესავალი. დღეს–დღეობით ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარ ერთ–ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ეროვნული ვალუტის კურსის სწრაფი და მასშტაბური ვარდნა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი გარკვეულწილად შეჩერდა, მისი შემდგომი განვითარების რისკ–ფაქტორები მოხსნილი არ არის და მისი უარყოფითი შედეგები აგრძელებენ გამოვლენას. ამდენად, აუცილებელია – ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური, ეგზოგენური და ენდოგენურ მიზეზების შესწავლა, მისგან გამოწვეული და მოსალოდნელი დადებითი და ურაყოფითი შედეგების საფუძვლიანი ანალიზი, რათა შემუშავდეს კომპლექსური ღონისძიებები ეროვნული ვალუტის კურსის საჭირო დონეზე დასასტაბილიზებლად.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ვალუტა; ვალუტის კურსი; ექსპორტი; იმპორტი; დევალვაცია; ინფლაცია; ვალუტის გაუფასურება; ელასტიურობა; ინვესტიციები; ბიუჯეტი; ეკონომიკური ზრდა.

ძირითადი ნაწილი. ეროვნულმა ვალუტამ გაუფასურება ინტენსიურად 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო. თუ ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მი-

მართ 2014 წლის ოქტომბრის ბოლოს შეადგენდა 1,7544 ლარს, 2015 წლის მაისში კურსმა უკვე შეადგინა 2,3637 ლარი, ანუ მოცემული პერიოდის განმავლობაში ნომინალური კურსი გაუფასურდა 34,7 პროცენტით [5].

ქვეყნის ეკონომიკაზე ეროვნული ვალუტის გაუფასურების ზემოქმედების შედეგები მრავალმხრივია. ზოგადად მას შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ზემოქმედება.

ეროვნული ვალუტის კურსის შემცირების დადებითი ეკონომიკური შედეგები შემდეგია: საქონლის ექსპორტის მოცულობა იზრდება, რადგანაც მისი ფასი არარეზიდენტებისთვის, გამოსახული უცხოურ ვალუტაში, მცირდება; მოთხოვნა იმპორტშემცვლელ პროდუქციაზე იზრდება, ხოლო იმპორტის ფიზიკური მოცულობა მცირდება, რამდენადაც მისი ფასი ეროვნულ ვალუტაში რეზიდენტებისთვის იზრდება; სავალუტო შემოსულობები ეროვნული ექსპორტიდან იზრდება, თუ მოთხოვნა მასზე ელასტიურია, ხოლო ეს შემოსავლები მცირდება, თუ მოთხოვნა არაელსატიურია. თუ ექსპორტი იზრდება, ხოლო იმპორტი მცირდება, სავაჭრო ბალანსი უმჯობესდება და იზოგება ოქრო–სავალუტო რეზერვები.

ეროვნული ვალუტის კურსის დაცემის უარყოფითი ეკონომიკური შედეგია ის, რომ იკარგება ნდობა გაუფასურებული ვალუტისადმი; იზრდება ფასები იმპორტირებულ საქონელზე, რითაც ზარალდება მომხმარებელი; ეროვნულ ვალუტაში დანაზოგები უფასურდება; ხდება ინფლაციის პროვოცირება; მოსახლეობის ფულადი შემოსავლების რეალური მსყიდველუნარიანობა მცირდება; ეროვნულ ვალუტაში აქტივები უფასურდება; კაპიტალის გადინება იზრდება; ქვეყანაში ინვესტიციები მცირდება; ბიზნესისთვის სავალუტო რისკები და განუსაზღვრელობა იზრდება და სხვ.

უფრო კონკრეტულად ძირითადი ეკონომიკური შედეგის შესახებ – ვალუტის კურსის შემცირებისას სხვა ფაქტორების უცვლელობის პირიბებში ექსპორტიორი ღებულობს „პრემიას“ მიღებული გაძვირებული უცხოური ვალუტის გაიაფებულ

ადგილობრივ ვალუტაზე გაცვლისას და აქვს შესაძლებლობა გაყიდოს საქონელი საშუალო მსოფლიო ფასებზე დაბლა, რაც განაპირობებს საქონლის მასობრივი გატანის პირობებში მათი შემოსავლების ზრდას საკუთარი ქვეყნის დანაკარგების ხარჯზე. თუმცა, იმავდროულად, ვალუტის კურსის შემცირება აძვირებს იმპორტს, რაც სტიმულს აძლევს ქვეყანაში ფასების ზრდას, იმპორტული პროდუქციის მოხმარების შემცირებას და იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარებას. ვალუტის კურსის შემცირება ამცირებს რეალურ დავალიანებას ეროვნულ ვალუტაში, ზრდის სავალო ტვირთს, გამოხატულს უცხოურ ვალუტაში. არახელსაყრელი ხდება უცხოური ინვესტორების მი ერ მოგების პროცენტების, დივიდენდების სახით ინვესტორი ქვეყნის ვალუტაში გატანა. ეს მოგება რეინვესტირდება ან გამოიყენება საშინაო ფასებით საქონლის შესაძენად და ექსპორტზე გასატანად.

ამგვარად, ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად შესაძლოა გაიზარდოს ექსპორტი და შემცირდეს იმპორტი, ანუ გაუმჯობესდეს სავაჭრო ბალანსი. თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ როგორია საშინაო და საგარეო გაუფასურების გარღვევის მასშტაბები. ვალუტის გაუფასურების შედეგად ექსპორტის ზრდას იმ შემთხვევაში ექნება ადგილი თუ ვალუტის საგარეო გაუფასურება წინ უსწრებს საშინაოს, რამდენადაც ამ შემთხვევაში წარმოიშობა პირობები სავალუტო დემპინგისთვის – საქონლის საშუალო მსოფლიოზე ნაკლები ფასებით მასობრივი ექსპორტისთვის, რომელიც გამოწვეულია ფულის მსყიდველუნარიანობის შემცირების ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებასთან ჩამორჩენით. ამ დროს საექსპორტო ფასების შემცირების წყაროს წარმოადგენს კურსებს შორის სხვაობა, რომელიც წარმოიშობა შედარებით მდგრადი ვალუტით მიღებული უცხოური ამონაგების გაუფასურებულ ეროვნულ ვალუტაზე გაცვლისას.

თუ საშინაო გაუფასურება, ანუ ფულის ინფლაციური გაუფასურება წინ უსწრებს საგარეო გაუფასურებას ანუ ვალუტის კურსის შემცირებას, მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში,

სტიმულირდება საქონლის იმპორტი საშინაო ბაზარზე მისი მაღალი ფასებით გაყიდვის შესაძლებლობიდან გამომდინარე [1.70]. აღსანიშნავია რომ 2014 წლის ბოლოსა და 2015 წლის დასაწყისში საქართველოში განვითარებულ ეროვნული ვალუტის დევალვაციას ანუ „საგარეო“ გაუფასურებას არ მოჰყოლია თანაზომადი ინფლაცია, ანუ ეროვნული ვალუტის „საშინაო“ გაუფასურება. შესაბამისად არ მომხდარა იმპორტის ზრდის პროვოცირება. თუმცა საკმაოდ სწრაფ და მნიშვნელოვან „საგარეო გაუფასურებას“ არც ექსპორტის ზრდა გამოუწვევია.

საქართველოს ექსპორტში სჭარბობს სამრეწველო ნედლეული (სპილენძის მადნები, ფეროშენადნობები და სხვა მსგავსი საქონელი), აგრარული ნედლეული (თხილი) და მზა პროდუქცია (მინერალური წყლები, ღვინო, სპირტიანი სასმელები და სხვ.), რომელზეც მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე ხასიათდება დაბალი საფასო ელასტიურობით. აქედან გამომდინარე, ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად საექსპორტო საქონელზე ფასების შემცირება ნაკლებად გაზრდის მის მოხმარებას. ამასთან, მსოფლიო ბაზარზე მოცემული საქონლის მიწოდების ელასტიურობა სხვა ქვეყნების მხრიდან საკმაოდ მაღალია და, ამასთან, ბაზარზე ადგილი აქვს არა იმდენად საფასო, რამდენადაც არასაფასო კონკურენციას. ამგვარად, მიგვაჩნია, რომ ეროვნული ვალუტის კურსის შემცირება ნაკლებად გამოიწვევს ექსპორტის მოცულობის გაზრდას. საქსტატის მონაცემებით 2015 წლის იანვარ–აპრილის თვეებში ექსპორტის პროცენტული ცვლილება წინა წლის ანალოგიურ თვეებთან შედარებით არა თუ გაზრდილი, არამედ შემცირებულია 12,6 პროცენტით.

ანალოგიური შეიძლება ითქვას იმპორტზეც – საქართველოს იმპორტის სტრუქტურაში დომინირებს საბაზისო საქონელი და ნედლეული – ენერგომატარებლები, სასურსათო საქონელი, ფარმაცევტული პროდუქცია და სხვ., რომელზეც ასევე მოთხოვნის საფასო ელასტიურობა არის საკმაოდ დაბალი. აღსანიშნავია, რომ თუ ქვეყანაში არსებობენ სექტორე-

ბი, რომელიც კონკურენციას უწევს იმპორტს, მაშინ იმპორტზე მოთხოვნის ელასტიურობა შედარებით მაღალია. საქართველოს არ აქვს კონკურენტუნარიანი საწარმოები, მათ შორის აგროსასურსათო სექტორშიც კი, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოში მთლიან მოხმარებაში იმპორტული პროდუქციის მოხმარების წილი სხვადასხვა გათვლებით 60 პროცენტის ფარგლებში მერყეობს (აგრო–სასურსათო პროდუქციაზე ეს მაჩვენებელი 50 პროცენტის ფარგლებშია). ამდენად შეიძლება ვთქვათ რომ იმპორტზეც (მის უმეტეს ნაწილზე, ანუ პირველადი დანიშნულების საქონელზე, ენერგომატარებლებსა და ნედლეულზე) მოთხოვნა ნაკლებად ელასტიურია. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ იმპორტზე ფასების ზრდა მის არსებით შემცირებას არ გამოიწვევს. დაბალი ელასტიურობის მქონე იმპორტულ საქონელზე მოთხოვნის საგრძნობლად შესამცირებლად პრაქტიკულად აუცილებელია ეროვნული ვალუტის გაუფასურების გაცილებით დიდი მასშტაბები. ამას მოწმობს 2015 წლის 4 თვის მაჩვენებლებიც, კერძოდ საქსტატის მონაცემებით საქონლის იმპორტის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის (იანვარი–აპრილი) პერიოდთან მიმართებაში 7 პროცენტითაა შემცირებული. განვითარებული მოვლენების არაკანონზომიერი ხასიათი ეჭვის ქვეშ აყენებს საქართველოს ეროვნული ვალუტის მიმდინარე დევალვაციური პროცესის ობიექტური მიზეზებით განპირობებულობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მოთხოვნისა და მიწოდების დაბალელასტიურობა წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების სტანდარტულ არგუმენტს იმისათვის, რომ მათ არ მოახდინონ ეროვნული ვალუტის დევალვაცია, რომლის კურსიც აშკარად მოჭარბებულია. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კურსის გაუფასურება გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მეტად აისახება იმპორტზე (მისი შემცირების თვალსაზრისით), ვიდრე ექსპორტზე (გაზრდის თვალსაზრისით), რამდენადაც შემცირდება ხანგრძლივვადიანი, ფართო მოხმარებისა და ფუფუნების საქონელის მოხმარება, რომელთა ხარჯებსაც მომხმარებლის

ფულად შემოსავალში დიდი ადგილი უკავია, და, მაშასადამე, რომელზედაც მოთხოვნა შედარებით ელასტიურია. თუმცა, უნ და გავითვალისწინოთ ისიც, რომ ასეთ საქონელზე მოთხოვნა უმეტესწილად მაღალშემოსავლიანი მომხმარებლების ხარჯზე ყალიბდება, რომელთაც შეუძლიათ შეინარჩუნონ მოხმარების არსებული დონე, იქედან გამომდინარეც, რომ მათ ჯერ კიდევ ლიბერალური ფულად–საკრედიტო პოლიტიკის პირობებში იოლად მიუწვდებათ ხელი საკრედიტო რესურსზე.

სავალუტო კურსების თეორიიდან ცნობილია, რომ გარკვეულ პირობებში ეროვნული ვალუტის კურსის შემცირება იწვევს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას იმ შემთხვევაში, თუ სრულდება მარშალ–ლერნერის პირობა – ეროვნული ვალუტის კურსის შემცირება (დევალვაცია) იწვევს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, თუ იმპორტზე საშინაო მოთხოვნისა და ნაციონალურ ექსპორტზე უცხოური მოთხოვნის აბსოლუტური ელასტიურობის დონე ერთზე მეტია. ჩვენს პირობებში საკმაოდ რთულია ზუსტად განისაზღვროს ექსპორტისა და იმპორტის საფასო ელასტიურობის სიდიდეები, თუმცა როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მათი ელასტიურობის (განსაკუთრებით ექსპორტის) კოეფიციენტები საკმაოდ დაბალია. ამდენად, საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ გაუფასურების ზემოქმედება სავაჭრო ბალანსზე არსებითი არ უნდა იყოს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სასაქონლო ბაზრის რეაქცია ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებაზე მყისიერი ვერ იქნება და მას გარკვეული დრო დასჭირდება ადაპტაციისათვის. როგორც ცნობილია გაუფასურების შედეგად თავდაპირველად სავაჭრო ბალანსი უარესდება, და მხოლოდ მოგვიანებით შეინიშნება საპირისპირო ტენდენცია (ეს დასტურდება, ჩვენს მიერ ზემოდ მოყვანილი საქართველოს ექსპორტ–იმპორტის მოცულობის ცვლილების სტატისტიკიდან გამომდინარეც – თეორიაში ეს ეფექტი ე.წ. „j მრუდის“ სახითაა ცნობილი).

პრობლემა უფრო გართულდება, თუ განვიხილავთ გაუფასურების სხვა თანამდევ ეფექტებს, რომლებიც საშუალოვადიან და გრძელვადიან შედეგებთანაა დაკავშირებული. გაუფასურ-

ების „მოკრძალებული“ დადებითი შედეგები შესაძლოა მთლიანად (და უფრო მეტადაც კი) გადაიფაროს, მისი უარყოფითი შედეგებით. ეს პირველ რიგში დაკავშირებულია ე.წ. „იმპორტირებულ ინფლაციასთან“ (ინფლაციასთან, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც უშუალოდ უცხოეთში საქონლის გაძვირებით, აგრეთვე ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებით), რომელიც შესაძლოა გადაიზარდოს საერთო ინფლაციაში.

ამ ფონზე ისმის კითხვა – ექნება თუ არა გაუფასურებას იმპორტშენაცვლებადი ეფექტი და ექნება თუ არა ადგილი სავალუტო დემპინგს? ეროვნული ვალუტის კურსის დაცემის (ვგულისხმობთ რომ მას ადგილი აქვს არა ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირების, არამედ სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, რასაც ფაქტობრივად ადგილი ჰქონდა საქართველოში) პირობებში იმპორტული საქონელი ხდება ძვირი და მომხმარებელი არჩევანს აკეთებს ეროვნულის სასარგებლოდ (იმ შემთხვევაში, თუ სამამულო პროდუქციის ფასი არ გაიზრდება), იგივე ხდება საექსპორტო პროდუქციასთან მიმართებითაც – ექსპორტი იაფდება უცხოეთში. ვალუტის კურსის შემცირება ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებით ახდენს სამეწარმეო აქტივობისა და ექსპორტის სტიმულირებას. თუმცა გაუფასურების შედეგად ფასების გაზრდა მოსალოდნელია როგორც იმპორტირებულ სამომხმარებლო საქონელზე, აგრეთვე იმ ენერგომატარებლებზე, მასალებზე, ნედლეულზე, საინვესტიციო საქონელზე და სხვა, რომელსაც ადგილობრივი საქონელმწარმოებლები იყენებენ საწარმოო პროცესში. ეს გაზრდის პროდუქციის ერთეულზე დანახარჯს, რაც უარყოფითად აისახება სამამულო წარმოების საქონლის კონკურენტუნარიანობაზე, როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო ბაზარზე.

თუ შედარებით გრძელვადიან პერიოდში ფასები ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე გაიზრდება, ანუ ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი საშინაო ფასების მატების შედეგად აიწევს – დაუბრუნდება გაუფასურებამდე არსებულ ნიშ-

ნულს, ან გადაასწრებს მას (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიიდან გამომდინარე გრძელვადიან პერსპექტივაში ვალუტის რეალური კურსი რჩება უცვლელი – გრძელვადიან პერიოდში ინფლაცია და ნომინალური გაცვლითი კურსი ერთმანეთს დააბალანსებს) მაშინ, გაუფასურების უმთავრეს დადებით ეფექტს, ექსპორტ–იმპორტის ბალანსის გაუმჯობესებას, გრძელვადიან პერსპექტივაში ადგილი არ ექნება, ან ეს ეფექტი იქნება უმნიშვნელო.

ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად ფასების ზრდა, როგორც წესი იწვევს, ხელფასების ცვლილებას, შედეგად გაიზრდება ფასების დონეზე ზეწოლა მატების თვალსაზრისით. საშინაო ფასებისა და ხელფასების თავდაპირველი ცვლილება რამოდენიმე ხნის შემდეგ მეორადად აისახება წარმოების დანახარჯებზე. წარმოიშობა საინფლაციო სპირალის განვითარების რისკები. თუმცა არაორგანიზებული შრომის ბაზრისა და სუსტი პროფკავშირების პირობებში საქართველოში ხელფასების ზრდა და აქედან გამოწვეული უარყოფითი შედეგების განვითარება ნაკლებად სავარაუდოა.

ამგვარად, გაუფასურებამ საქართველოში შესაძლებელია მოახდინოს ინფლაციის პროვოცირება შემდეგი არხებიდან: იმპორტირებული საქონლის გაძვირება; ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გაძვირება, რომელიც მოიხმარს იმპორტულ კომპონენტებს; ამას გარდა, თუ ადგილი ექნება ექსპორტის ზრდას, სხვა თანაბარ პირობებში ფასები საექსპორტო პროდუქციაზე ქვეყნის შიგნით მოიმატებს; გაიზრდება საინფლაციო მოლოდინები და სხვ.

ინფლაცია, რასაც ეროვნული ვალუტის კიდევ უფრო მასშტაბური გაუფასურების შემთხვევაში უდაოდ ექნება ადგილი, უარყოფითად აისახება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. რამდენადაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოში მთლიან მოხმარებაში იმპორტირებული პროდუქციის მოხმარების წილი არსებითია, ეროვნული ვალუტის კურსის შემცირებიდან გამომდინარე იმპორტირებული და ადგილობრივი სამომხმარებლო საქონელის გაძვირება,

გააუფასურებს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს (რამდენადაც მოსახლეობის უმრავლესობა ხელფასს ლარში ღებულობს). მათი მსყიდველუნარიანობა და მყიდველთა აქტიურობა კურსის ცვლილების პროპორციულად შემცირდება. ამასთან ერთად გაუფასურდება იმ მოსახლეობის დანაზოგები, რომლებმაც ვერ მოახერხეს დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია. ამგვარად შეიქმნება კრიზისის ყველა დონეზე განვითარებისთვის წინაპირობები.

მოსახლეობის პაუპერიზაციას ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ინფლაცია, არამედ ისიც, რომ მოსახლეობის უმეტესობას სესხი აღებული აქვს დოლარებში (ეროვნული ბანკის მონაცემებით კომერციული ბანკების მიერ სესხების 60% –ზე მეტი დოლარშია გაცემული), შემოსავალი კი მსესხებელთა უმეტესობას ლარში აქვს. გაუფასურების შედეგად მოსახლეობას დაახლოებით **30** პროცენტით მეტი თანხის გადახდა უწევს. უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების ღირებულების მატება ზრდის მათი ვადაგადაცილებისა და გადახდისუუნარობის რისკს და ქმნის სოციალური დეფოლტის საშიშროებას. მოსახლეობის მასობრივი პაუპერიზაცია გაამწვავებს ქონებრივ და შემოსავლების ისედაც ღრმა დიფერენციაციას, სოციალურ პოლარიზაციასა და დაპირისპირებას. მწვავე სირთულეების წინაშე აღმოჩნდება საწარმოო სექტორი, რადგან სესხების უმეტესობა დოლარშია აღებული. კრედიტის მომსახურებაზე დანახარჯების გაზრდა, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება პროდუქციის დანახარჯებზე, ფასებსა და კონკურენტუნარიანობაზე, საწარმოების მოგებაზე და კაპიტალდაბანდებების მოცულობაზე. ფასების ზრდა და მოსახლეობის პაუპერიზაცია კიდევ უფრო შეამცირებს სამომხმარებლო მოთხოვნას და გააუარესებს მის სტრუქტურას, რაც ასევე დამატებით სირთულეებს შუქმნის ეროვნულ წარომოებას და მთლიანად ეკონომიკას. მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე აღმოჩნდება კომერციული საბანკო სისტემაც – რამდენადაც გაიზრდება ვადაგადაცილებული და უიმედო სესხების მოცულობა, შემცირდება ბანკების რეალური შემოსავლები, ლიკვიდობა და მოგება.

ვაჭრობის პირობების გუარესებიდან გამომდინარე დაეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე. კერძოდ, ექსპორტის გაიაფება და იმპორტის გაძვირება ნიშნავს იმას, რომ ექსპორტის ერთეულით შესაძლებელი იქნება უფრო ნაკლები იმპორტული საქონლის შესყიდვა. თუ საექსპორტო პროდუქციაზე ფასების შემცირებას მოყვებოდა ექსპორტის ფიზიკური მოცულობის ზრდა, მისგან მიღებულ დადებით ეფექტებს (წარმოების მოცულობისა და დასაქმების გაზრდა, სავალუტო შემოსულობების მატება და სხვ.) შეიძლება გადაეფარა ვაჭრობის პირობების გაუარესებიდან გამოწვეული უარყოფითი შედეგები (მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის შემცირება და სხვ.), თუმცა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, იქედან გამომდინარე, რომ ეროვნულ ექსპორტზე მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე გამოირჩევა მოთხოვნის დაბალი ელასტიურობით, მასზე ფასების შემცირების კვალობაზე ექსპორტის ფიზიკური მოცულობის არსებით ზრდას ადგილი არ ექნება. მაშასადამე, ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურების შემდეგ საერთაშორისო ვაჭრობიდან ქვეყანა მთლიანობაში ნაკლებ სარგებელს მიიღებს.

რაც შეეხება ეროვნული ვალუტის გაუფასურების სხვა თანამდევ ეფექტებს, ეს პროცესი საქართველოში ვერ მოგვცემს იმ შედგეს, როგორიც შეიძლება მიღებულ იქნას მაგალითად მიზანმიმართული პროტექციონისტური პოლიტიკის – პრიორიტეტული დარგების საბაჟო–სატარიფო დაცვის – განხორციელებით, რომელიც საშუალებას იძლევა საშინაო მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც მიმართული იყო იმპორტისკენ გამოთავისუფლდეს და მიმართულ იქნას დაცული, პრიორიტეტული მიმართულებებისაკენ. ანუ არ მიგვიყვანს მოხმარების გადართვასთან იმპორტულიდან ადგილობრივი წარმოების საქონელზე – ე.წ. „ხარჯების გადართვასთან“, რამდენადაც გაუფასურების შედეგად ძვირდება არა მხოლოდ იმპორტშემცვლელი პროდუქციის ანალოგიური იმპორტი, არამედ მთლიანად იმპორტი, რაც, მაღალი საიმპორტო ქვოტის პირობებში გამოიწვევს ინფლაციას, მოსახლეობის რეალური მსყიდველუნარიან-

ობის დაცემას. ამასთან, გაუფასურებით გამოწვეული ფასების მატება ენერგომატარებლებსა და ნედლეულზე, როგორც უკვე აღინიშნა, გაზრდის საწარმოების დანახარჯებს, თუ ეს ზრდა იქნება მნიშვნელოვანი მან შესაძლოა მთლიანად გადაფაროს გაუფასურების შედეგად მიღებული საფასო უპირატესობა, ანუ შესაძლოა მოხდეს ერთობლივი მიწოდების არა თუ ზრდა, არამედ მისი შემცირებაც კი. მიწოდებისა და მოთხოვნის შოკები უარყოფითად აისახება ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და დასაქმების დონეზე ქვეყანაში.

მონეტარული და ფისკალური ორგანოები ვერ მოახდენენ ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას სახელმწიფო ხარჯებისა და ფულის მიწოდების ზრდით, რამდენადაც დევალვაციით გამოწვეული ინფლაციის შეჩერების მიზნით საჭიროა რესტრუქციული ხარჯვითი და საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ვერ იქნება გამოყენებული ღონისძიებები მიწოდების სტიმულირების მიზნითაც, რამდენადაც გადასახადების შემცირება გაამწვავებს ინფლაციას. ამასთან, გადასახადების შემცირების ეკონომიკური ეფექტი გრძელვადიანი ხასიათისაა, რომ არაფერი ვთქვათ ბიუჯეტის დეფიციტის მოსალოდნელ ზრდაზე.

ეკონომიკაზე დადებითი მულტიპლიკაციური ზემოქმედება დევალვაციას იმ შემთხვევაში ექნება ადგილი თუ გაიზრდება ექსპორტისა და შემცირდება იმპორტის მოცულობა. გაუფასურების შედეგად იმპორტშემცვლელი საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების შემთხვევაში შემცირდება საშინაო ბაზრის იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი, რომლის კვალობაზეც შემცირებდება აგრეთვე იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება და გაიზრდება თვით მულტიპლიკატორის მნიშვნელობაც. თუმცა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ექსპორტ–იმპორტის მოცულობასა და სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები ნაკლებად სავარაუდოა, ამდენად დადებითი მულტიპლიკაციური ეფექტი უმნიშვნელო იქნება, ისიც შედარებით მოკლევადიან პერიოდში. მას შემდეგ კი, რაც მოქმედებაში მოვა გაუფასურების ისეთი უარყოფითი გრძელვადიანი შედეგები, როგორიცაა ინფლაცია, მისგან გამოწვეული საწარ-

მოთა დანახარჯების ზრდა და ხელოვნურად უზრუნველყოფილი კონკურენტუნარიანობის შემცირება, მულტიპლიკაციური ეფექტი ფაქტობრივად განულდება.

საბიუჯეტო შემოსავლების კუთხით შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება ასეთია – ჩვენ ავღნიშნეთ, რომ იმპორტის მოცულობის არსებით შემცირებას ადგილი არ ექნება და უმნიშვნელოდ გაიზრდება ექსპორტი, ამდენად ნაკლებად შემცირდება იმპორტის (იმპორტის გადასახადი, დღგ, აქციზი და სხვ.) და ექსპორტის დაბეგვრიდან შემოსულობებიც. უფრო მეტიც მოსალოდნელი ინფლაციის პირობებში გაიზრდება რეზიდენტების დაბეგვრიდან შემოსულობები. ამდენად გაუფასურების შედეგად ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში არსებით ძვრებს მოკლევადიან პერიოდში არ უნდა ველოდოთ. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, ფასების ზრდის შედეგად გაიზრდება დანახარჯები სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას. ვალუტის გაუფასურებიდან გამომდინარე გაიზრდება დანახარჯები ვალის მომსახურებაზე ეროვნულ ვალუტაში. საერთოდ კომპანიების, კომერციული ბანკების, სახელმწიფოს ვალი უცხოურ ვალუტაში იქნება ტვირთი არა მარტო მათთვის, არამედ მთლიანად ეკონომიკისათვის. ამ სიტუაციაში იქმნება სავალუტო კრიზისის სავალო და ფინანსურ კრიზისში გადაზრდის საშიშროება, როგორც ეს მოხდა ლათინოამერიკულ ქვეყნებში.

ამდენად მთლიანობაში შემოსავლების უმნიშვნელო ცვლილებისა და ხარჯვითი ნაწილის ზრდის პირობებში მოსალოდნელია ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა. თუ ზემოთ დასახელებულ ფაქტორთა გამო ადგილი ექნება ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებას, ბიუჯეტის დეფიციტი გრძელვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან გასათვალისწინებელია თუ როგორ საბიუჯეტო–საგადასახადო და ფულად–საკრედიტო პოლიტიკას გაატარებს მთავრობა ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა და ინფლაციის შეჩერების მიზნით.

ვალუტის გაუფასურება გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე ფულად ბაზარზე. ინფლაცია, რომელსაც გამოიწვევს

გაუფასურება, გაზრდის ფულზე მოთხოვნას და შეამცირებს ფულის რეალური მიწოდებას, რაც ხელს შეუწყობს სარგებლის ნომინალური განაკვეთის ზრდას. აგრეთვე კრედიტორებმა შეიძლება მოითხოვონ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი გაუფასურების მოლოდინში. სარგებლის განაკვეთის ზრდის მთავარი უარყოფითი ეკონომიკური შედეგია ის, რომ მის კვალობაზე შემცირდება საინვესტიციო აქტივობა და კაპიტალდაბანდებების მოცულობა, რაც უარყოფითად აისახება გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდაზე. სარგებლის განაკვეთის ზრდას შეიძლება ჰქონდეს დადებითი ეკონომიკური შედეგებიც – შემცირდება საიმპორტო დანახარჯები ძირითადად გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე, რამდენადაც ის უპირატესად საბანკო კრედიტების ხარჯზე შეისყიდება; ეს სტიმულს მისცემს მოკლევადიანი, სპეკულაციური კაპიტალის (ე.წ. „ცხელი ფულის“) შემოსვლას უცხოეთიდან, რაც ზეწოლას მოახდენს ვალუტის კურსზე გამყარების თვალსაზრისით მოკლევადიან პერიოდში. კაპიტალის შემოდინებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს აგრეთვე სარგებლის განაკვეთის შემცირებას და მისგან გამოწვეული ნეგატიური შედეგების გარკვეულწილად ნეიტრალიზებასაც.

ადგილობრივი მეწარმეები კაპიტალდაბანდებების მოცულობას შეამცირებენ იქედან გამომდინარეც, რომ გაუფასურების შედეგად გაძვირდება საინვესტიციო საქონელი – მანქანა–მოწყობილობები, დაზგა–დანადგარები და სხვ. ეს მიწოდების შემცირებაა ეკონომიკაში, რაც ნიშნავს ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებას ხანგრძლივვადიან პერსპეტივაში. ამგვარად, ზემოთდასახელებულ ფაქტორთა გამო იქმნება მიწოდებისა და მოთხოვნის შოკების საშიშროება, რაც ასეთ პირობებში წარმოქმნის მოთხოვნა–მიწოდების პარალელური ვარდნისა (მოთხოვნისა და მიწოდების შემცირებამ შეიძლება „გამოკვებონ“ ერთმანეთი) და ეკონომიკური კრიზისის განვითარების ალბათობას.

თუ დროულად ვერ მოხერხდება ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაცია, მაშინ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ინფლა-

ციის მაღალ ტემპებს. ექსტრაპოლაციური მოლოდინები – მოლოდინი იმისა, რომ თუ ვალუტის კურსი უფასურდება ის მომავალშიც გააგრძელებს გაუფასურებას, რომელსაც მოკლევადიანი ზემოქმედების ეფექტი გააჩნია – იქნება ხანგრძლივი და ფიზიკური და იურიდიული პირები გააგრძელებენ თავიანთი დანაზოგებისა და შემოსავლების უფრო სტაბილურ ვალუტაში – დოლარში გადაყვანას. უფრო მეტიც, საბოლოოდ ეს განაპირობებს იმას, რომ გაიზრდება პარალელური ბრუნვის – ეროვნულ ფულად ბრუნვაში დოლარის საგადასახდელო საშუალებად გამოყენების – მასშტაბები. როგორც ცნობილია პარალელური ბრუნვა შეიძლება განხორციელდეს სავალუტო ჩანაცვლების და დოლარიზაციის ფორმით.

საქართველოში ვალუტის კურსის მასშტაბურ გაუფასურებამდეც კი ადგილი ჰქონდა დოლარიზაციას. უცხოური ვალუტის გამოყენება საშინაო ფულად ბრუნვაში როგორც წესი პირველ რიგში ვლინდება დაზოგვის საშუალებიდან. ეროვნული ბანკების მონაცემებით 2008–2013 წლებში საბანკო სექტორში დეპოზიტების დოლარიზაცია მერყეობდა დაახლოებით 73–დან 60 პროცენტის ფარგლებში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია; ფასების დაწესება მრავალ საქონელზე, განსაკუთრებით უძრავ ქონებაზე და გრძელვადიანი გამოყენების სამომხმარებლო საქონელზე, ნაკლებად ხდება ეროვნულ ვალუტაში – ფასების კოტირება ძირითადად ხდება დოლარში ან სხვა თანაბარ ვალუტაში (ევროში). ამით უცხოური ვალუტა იძენს ასევე ღირებულების საზომის და ანგარიშსწორების ფუნქციას. მიგვაჩნია, რომ ვალუტის გაუფასურების, მისი კურსის არასტაბილურობის პირობებში ვალუტის პარალელური ბრუნვის მასშტაბები გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ პარალელურ ბრუნვას აქვს თავის პლიუსები და მინუსები. ერთის მხრივ, სახსრების დოლარში დეპონირება საშუალებას იძლევა შენარჩუნებულ იქნას დანაზოგები, რომელიც შემდგომში შეიძლება გამოყენებული იქნას საწარმოო ინვესტიციებში ან მიმდინარე მოთხოვნილებების ფინანსირებისთვის. ქვეყნის შიგნით უცხოური ვალუტით ოპ-

ერაციების ლიბერალიზაცია ასევე საშუალებას იძლევა უცხოეთიდან მოზიდულ იქნას ინვესტორები, რომლებიც სამართლიანად ერიდებიან რისკს, რომელიც დაკავშირებულია ვალუტის კურსის მოულოდნელ ცვლილებასთან და თავს გრძნობენ უფრო კომფორტულად, როდესაც ოპერაციები ხორციელდება დოლარში. თუმცა, მეორე მხრივ, პარალელურმა ბრუნვამ, განსაკუთრებით როდესაც მისი მასშტაბები დიდია, შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს მთავრობის მიერ რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გამოყენება, როგორიცაა ფულადი პოლიტიკა. მონეტარული ორგანოები ფაქტობრივად კარგავენ კონტროლს ფულადი მასის იმ ნაწილზე, რომელიც უცხოურ ვალუტაშია. მას მხოლოდ ძალზე შეზღუდული მასშტაბით შეეძლება მისი რეგულირება უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე სარეზერვო მოთხოვნების ცვლილების საშუალებით. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკის დოლარიზაციის პირობებში მთავრობას აღარ შეეძლება ინფლაციაზე მონეტარული მეთოდებით კონტროლი, რამდენადაც მოთხოვნა საქონელზე წარმოიქმნება არა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, არამედ დოლარშიც, რომლის მოცულობაც უცნობია. ამასთან, უნდა ავღნიშნოთ, რომ დოლარიზაციის ზრდამ შეიძლება გარკვეულწილად შეამციროს გაუფასურების ნეგატიური შედეგის – ინფლაციაზე ზემოქმედების მასშტაბები.

დასკვნა. საქართველოში ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოსალოდნელი ნეგატიური შედეგებია: ინფლაცია; საშინაო მოთხოვნისა და ბაზრის მსყიდველუნარიანობის შემცირება; კაპიტალდაბანდებებისა და მიწოდების შემცირება და ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება; ეკონომიკის დოლარიზაციის ხარისხის ამაღლება; ვაჭრობის პირობების გაუარესება; ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა; სავალო და ფინანსური კრიზისის განვითარება; მოსახლეობის პაუპერიზაცია და სოციალური პოლარიზაციის გამწვავება.

პოზიტიური შედეგებიდან შეიძლება გამოიყოს იმპორტის შემცირება და იმპორტშემცვლელი საწარმოებისთვის გარკვეული კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძ-

ლებლობა საშინაო ბაზარზე, აგრეთვე ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საგარეო ბაზრებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გაუფასურების მოსალოდნელი ეს მოკლევადიანი, მოკრძალებული დადებითი შედეგებიც კი გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა სრულიად გადაიფაროს მისი უარყოფითი შედეგებით.

ამგვარად, მთლიანობაში ეროვნული ვალუტის გაუფასურების სოციალურ–ეკონომიკური შედეგები უარყოფითია, შესაბამისად დღის წესრიგში დგას მისი მასშტაბების შემცირების საკითხი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი ღონისძიებები იქნება გატარებული ფისკალური და მონეტარული ორგანოების მიერ ლარის მეტისმეტი გაუფასურებისა და ინფლაციის თავიდან ასაცილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. A. Kireev, International Economics, M .: “international relations”, 2001, 488 p.(in Russian).

3. http://geostat.ge/

4. https://www.nbg.gov.ge/

5. http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD

THE EXPECTED SOCIO-ECONOMIC RESULTS OF DEVALUATION OF THE NATIONAL CURRENCY IN GEORGIA

Zviad Beshkenadze, Associated Professor of ATSU
Shota Lominashvili, Associated Professor of ATSU,
head of the Department of Economy and Tourism.

Summary

In the article there is analyzed several theoretical aspects of dropping in rate of the currency. There is displayed those positive and negative results which cause and presumably will cause a devaluation of the

national currency. In negative results there are distinguished: inflation, reduction of the home market purchasing capacity; reduction of supply and deceleration of economic growth; increasing the dollarization quality of economics; deterioration of a trading situation; growing budgetary decifiency; development of debt and financial crisis; impoverishment of the population and aggravation of social popularization. In positive results there are distinguished: ability to acquire the competitive advantages for import-alternate enterprises in the home market, and growing competitiveness in the foreign market. There is substantiated that social and economic results of scaling devaluation of the national currency is negative in general. Therefore, the stabilization of the currency is advisable and the complex arrangements should be taken for this purpose.

Key Words: National currency; Currency exchange rates; Export; Import; Devaluation; Inflation; Currency devaluation; Resilience; Investments; Budget; Economic growth.

„რეგიონული კლასტერი" ევროპული ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების საუკეთესო გზა ქართველი ფერმერებისათვის

ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი
თსუ დოქტორანტი

შესავალი. საქართველო ოდითგანვე აგრარულ ქვეყნად მიიჩნეოდა, დღეისათვისაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი რეგიონებში ცხოვრობს და დამოკიდებულია აგრარული სფეროდან მიღებულ შემოსავალზე. შესაბამისად ეს დარგი მუდმივად ხვდება ხელისუფლებისა და მეცნიერების ყურადღების ობიექტი. საერთაშორისო ვაჭრობის კანონები და ის ლიბერალური დაბეგვრის რეჟიმი, რომელშიც დღესდღეობით იმყოფება საქართველო, აუცილებელს ხდის იმ ნიშის გამოვლენას, სადაც ქართული პროდუქცია იქნება კონკურენტუნარიანი. ჩვენი შეხედულებით ერთ-ერთი ასეთი ნიშაა ევროპის მაღალშემოსავლიანი სეგმენტი, სადაც მაღალია მოთხოვნა მაღალხარისხიან, ბიო პროდუქტებზე. მესმის, რომ ეს საკმაოდ ამბიციური განაცხადია და ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს ბევრი პრობლემის გადაჭრას. მიმდინარე სტატიის მიზანია, სწორედ ერთ-ერთი უმთავრესი ქართული აგრარული პრობლემის: ფრაგმენტირებული მიწებისა და ძალიან მცირე ფერმერული მეურნეობების უარყოფითი შედეგების შემცირების ხერხის განხილვა. ქვემოთ მოყვანილია ფერმერთა გაერთიანების ისეთი მოდელი, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, მოახდინოს საერთაშორისო ბაზარზე თავის დამკვიდრება და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი; რეგიონული გაერთიანება; აგრარული კლასტერი; მცირე ფერმერები; კონკურენტუნარიანობის ზრდის მეთოდი;

ძირითადი ნაწილი.დამოუკიდებლობის დაბრუნების დღიდან აგრარული სექტორი განიცდიდა რეცესიას. ძველის განურჩევლად ნგრევის და ახლის გაუაზრებლად შენების ტენდენციამ, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში, აგრარულ სექტორშიც გამოიწვია წარმოების ეფექტიანობის შემცირება, დარგის დეკაპიტალიზაცია და მოსახლეობის გაღარიბება. ამიტომ ეს სფერო ხშირად ხდებოდა პოლიტიკოსების ინტერესის საგანი. სახელმწიფო მესვეურნი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის დახმარებებს სთავაზობდნენ გლეხურ მეურნეობებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ქაოტურად და ერთჯერადად გაწეული დახმარებებით არ მოხერხდა ქართული სოფლის მეურნეობის განვითარება. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ რომ მხოლოდ კარგად გათვლილი და ეფექტიანი აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორგანულად იქნება ინტეგრირებული ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, არის ის ერთადერთი გზა, რომლითაც დაცლილი ქართული სოფლების აღდგენასა და ნახევრად შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებას შეძლებს ქვეყანა.

ზოგადად აგრარული სფეროს პრობლემები მეტ-ნკლებად შესწავლილი სფეროა, მაგრამ ქართველი მეცნიერების უმეტესობა აქცენტს თვითუზრუნველყოფის მიღწევის საშუალებებზე აკეთებდა. ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ საქართველოს არ გააჩნია რესურსი, კონკურენცია გაუწიოს თურქეთს დაბალხარისხიანი და ბევრი, შესაბამისად, იაფი ბოსტნეულის წარმოებაში. კვლევებმა დაადასტურა, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა პესტიციდებით ნაკლებად დაბინძურებული და სუფთა აგრარული გარემო. შესაბამისად საქართველოს ძლიერი მხარე უნდა გახდეს მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა აგრარული პროდუქციის წარმოება და ექსპორტირება, პრემიუმ სეგმენტის მყიდველისათვის, რომელიც გარკვეულია პროდუქციის ხარისხში.

ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებისათვის აუცილებელია გასაღების ბაზრის არსებობა. საქართველოს აგრარულ პრდუქტს კარგად იცნობენ და თავისი მომხმარებელი ყავს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის

წევრ ქვეყნებში. ეს ის ინერციული ბაზრებია, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შევინარჩუნეთ. თუმცა ამჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ბაზრები არასტაბილურია. შესაბამისად დგება ეკონომიკის გაფართოების აუცილებლობის საკითხი. ვფიქრობთ, ასეთი შესაძლებლობაა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება და ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელიც არა მარტო ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას, არამედ ახდენს დარგის განვითარებისათვის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფასაც. აუცილებელია, რომ მოხდეს მიღებული თანხების სწორი მიმართულებით და კოორდინირებული პოლიტიკის ჩარჩოებში დახარჯვა, რათა შედეგად მივიღოთ დარგის რეალური განვითარება და არა დროებითი ეფექტის მიღწევა.

რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ჩვენ დღესვე შეგვიძლია პროდუქციის ექსპორტირება ევროპაში, მაგრამ სწორი აგრარული და საექსპორტო პოლიტკის გატარების შემთხვევაში, ეს სავსებით რეალური, სტაბილური და მომგებიანი ნიშა იქნება ქართული პროდუქტისათვის.

ქართული აგრარული სექტორის ყველაზე ცნობილი და დიდი პრობლემაა ძლიერ ფრაგმენტირებული მიწები, რომლებზეც ფაქტიურად შეუძლებელია რენტაბელური წარმოების განვითარება. ამიტომ აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს, ფერმერების მოტივირება საწარმოო რესურსების გაერთიანებისათვის.

ამჟამად სახელმწიფო ახორციელებს კოოპერატივების სტიმულირების სტრატეგიას: შეიქმნა საკანონმდებლო პაკეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომელიც მოიცავს გარკვეულ შეღავათებს კოოპერატივებისათვის და ჩამოყალიბდა კოოპერატივების მართვის და განვითარების ხელშემწყობი სააგენტო, რომელსაც დაევალა იდეის განხორციელება. ჯერ-ჯერობით საბოლოო შედეგებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ პროექტი მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს. რა თქმა უნდა ამ იდეასაც, ისევე როგორც ყოველივე ახალს, თან ახლავს უნდობლობა,

ეჭვები და განხორციელების ხარვეზებიც, რომლებიც ძირითადად მოტივირებულია ფერმერებისა და მონაწილე პირების გადამეტებული მოლოდინებით. მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს უფრო ღრმა საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ადამიანების უფრო მეტად ინფორმირება თანამედროვე ბაზრის საჭიროებების და მოთხოვნების შესახებ.

მაგრამ გარდა მიწის ერთობლივად დამუშავებისა, აუცილებელია მიღებული პროდუქციის პოზიციონირება ბაზარზე, და იმ არასატარიფო ბარიერების დაძლევა, რომელიც პროდუქციის ხარისხის მიმართ აქვს წაყენებული ევროპულ ქვეყნებს. აუცილებელია აგრეთვე შესაბამისობის სერტიფიკატების მოპოვება, ექსპორტიორებთან დაკავშირება, მსხვილი საექსპორტო პარტიების ფორმირება, უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფისათვის და სხვა. ამ ყველაფრის მისაღწევად რიგით ფერმერს არ ყოფნის ცოდნა და განათლება, არც ფინანსები, რომ პროფესიონალები დაიქირავოს. გარდა ამისა, დარგში ბევრი პრობლემაა, რომელიც კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს, ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ექსპორტის დაგეგმვისათვის აუცილებელია საქონლის მსხვილი პარტიების ფორმირება, რაც გაცილებით უფრო მეტი ძალების კონსოლიდირებას მოითხოვს, ვიდრე 10 ან თუნდაც 20 ფერმერის შესაძლებლობებია.

მასშტაბის ეფექტის მიღწევისათვის ქართველი და ევროპელი მეცნიერების ნაშრომების ანალიზის, ქართული რეალობის განხილვისა და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ შეგვექმნა "რეგიონული კლასტერის" მოდელი, (იხ. დიაგრამა 1), რომელთა განვითარებაც შეამცირებს სახელმწიფო ხარჯების მოცულობას აგრარულ სექტორში ისეთი ღონისძიებებისათვის, როგორიცაა:

- ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება;
- ევროპულ და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებების მიხედვით წარმოების დაგეგმვა;
- ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლება;
- დარგში ფინანსების მოძიება;

• წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა.

ფერმერთა ასოციაციები უნდა შეიქმნას ფერმერთა და კოოპერატივთა ნებაყოფლობითი გაერთიანებით, საწევრო შენატანების საფუძველზე, თუმცა ეს შესატანები არ უნდა იყოს ასოციაციის ძირითადი დაფინანსების წყარო. ეს შენატანები განკუთვნილი იქნება ასოციაციის ძირითადი რამდენიმე თანამშრომლის ხელფასის ხარჯების დასაფარად.

ასოციაციების ძირითადი მიზნები უნდა იყოს:

• წევრთა რაოდენობის ზრდა;

• გასაღების პოტენციური ბაზრების მოძიება;

• წევრებისათვის რეკომენდაციების გაწევა ბაზრის მოთხოვნილებათა ცვლილების შესახებ;

• დარგში სიახლეებისა და თანამედროვე ტენდენციების კვლევისათვის პროექტების მომზადება და გრანტების მოზიდვა;

• ასოციაციაში გაწევრიანებულ ფერმერთა საერთო ან/და ინდივიდუალური პრობლემების გადაჭრისათვის პროექტების მომზადება და დაფინანსების მოძიება;

• საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება;

• საერთაშორისო პარტნიორების და ინვესტორების მოძიება;

• პროდუქციის მსხვილი საექსპორტო პარტიების კონსოლიდირება, ბაზარზე სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფისათვის;

სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ასოციაციების წახალისება გამოხატული იქნება საგადასახადო შეღავათებით და მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით. მაგალითად, სხვა თანაბარ პირობებში, ჩვეულებრივ საკონსულტაციო შპს-სა და ბიზნეს-ასოციაციას შორის, უპირატესობა მიენიჭება ასოციაციას. აგრეთვე რეგიონული ხარჯების გეგმაში შესაძლოა პრიორიტეტად განისაზღვროს ის პროექტი, რომელსაც წარადგენს კონკრეტული ასოციაცია.

რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებთან ურთიერთკავშირს, აქ იგულისხმება სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი სტანდარტის ეროვნული კანონის დონეზე აყვანა, ან ქვეყანაში შე-

დიაგრამა 1. რეგიონული კლასტერის სქემა


ფეხბურთი ასოციაცია,
მარკეტინგული, საშუალავლო კომპანია
ან გადამამშავებელი საწარმო
სახელმწიფო
რეგულირება
სტიმულირება
მხარდაჭერა
ინოვაციური
ეროვნული
ეროვნული
ეროვნული

საბამისი ლაბორატორიის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს ფერმერებს, ნაკლები დანახარჯებით მოიპოვონ ექსპორტირებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია.

ასოციაციაში გაწევრიანებულ ფერმერებს დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, რაიმე ურთიერთვალდებულება არ წარმოეშობათ. თუმცა ასოციაცია შესაძლოა იქცეს ფერმერთა საერთო ინტერესების გამოვლენის და ურთიერთთანამშრომლობის პლატფორმად ისეთ სფეროებში, როგორიცაა

• პროდუქციის მსხვილი საექსპორტო პარტიების ფორმირება;

• ხარისხის სერტიფიკატის მოპოვება;

• დარგის ექსპერტების მოწვევა;

• ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ უცხოელი ან ადგილობრივი ტრენერების მოწვევა და სხვა

თუმცა ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, რომ საწყის ეტაპზე სახელმწიფო მხარდაჭერისა და სტიმულირების გარეშე, აღნიშნული ტიპის ასოციაციებს ეფექტიანი განვითარების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

• უნდა შეიქმნას ასოციაციების წესდების ნიმუში და დაიწყოს პროექტების დაფინანსება საკონსულტაციო და ტრეინინგ ცენტრების შესაქმნელად ისეთ სფეროებში, როგორიცაა- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები; სტანდარტების დანერგვის და მათი მიღების წესი; საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა და სხვა.

• ასოციაციებზე გრანტები უნდა გაიცეს აგრეთვე მეწარმეთა რეესტრების შესაქმნელად და საბირჟო სისტემების ჩამოსაყალიბებლად. დღესდღეობით ეს ფუნქცია დავალებული აქვს კოოპერატივების განვითარების სააგენტოს. ჩვენი აზრით კი ეს კომერციული პროექტი უნდა გახდეს და ფუნქცია გადაეცეს კომერციულ ორგანიზაციებს ან გაერთიანებებს. სწორად წარმართვის შემთხვევაში, კარგი ბაზა შეიქმნება დროთა განმავლობაში სასაქონლო ბირჟის ჩამოყალიბებისათვის.

• აუცილებელია შესაბამისი დროებითი (მაგ. პირველი 3 ან 5 წელი) საგადასახადო შეღავათების დაწესება ასოციაციებისათვის.

• კიდევ ერთი - ასოციაციების, ისევე როგორც კოოპერა-

ტივების შემთხვევაში არ უნდა იყოს დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც მაგალითად შპს-ს შემთხვევაში, 200 000 ლარს შეადგენს;

• რეგიონული კლასტერების და ფერმერთა ასოციაციების მიერ ინიცირებული პროექტები უნდა სარგებლობდნენ გარკვეული უპირატესობით რეგიონული განვითარების გეგმის შედგენისას და ბიუჯეტის ფორმირებისას.

რატომ კლასტერი და არა დიდი კოოპერატივი? კოოპერატივების განვითარების პირველივე ეტაპზე გამოიკვეთა დიდი ფერმების ჩამოყალიბების პრობლემა. ადამიანებს არ სურთ "საზიარო" საკუთრება ისეთ პიროვნებებთან, რომელსაც კარგად არ იცნობენ. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეთი მსხვილი საექსპორტო პარტიების ფორმირებას, როგორსაც ითხოვენ ევროპაში იმპორტიორი კომპანიები, საშუალოდ სჭირდება 50-60 ან მეტი წვრილი ფერმერის გაერთიანება. ამ რაოდენობის მონაწილეობით კოოპერატივის ფუნქციონირება საკმაოდ სერიოზულ მმართველობით რგოლს მოითხოვს, რაც გამოუცდელი გლეხებისათვის საკმაოდ რთული განსახორციელებელი იქნება. გარდა ამისა, ხარისხის მართვა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, თუნდაც ბაზრის კვლევა და მყიდველების მოძიება ის საკითხებია, რომელიც კვალიფიციური კადრების მიერ უნდა განხორციელდეს, ასეთი კადრის "შენახვა" კი საკმაოდ რთული იქნება ასეთი მცირე რაოდენობის ფერმერებისათვის.

სწორედ ამიტომაა უმჯობესი, რომ ინდივიდუალური ფერმერები და მცირე კოოპერატივები გაერთიანდნენ რეგიონულ კლასტერში.

კლასტერის მმართველი რგოლი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება კომპეტენტური სპეციალისტებით, იქნება დაინტერესებული, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩართოს გაერთიანებაში-ეს მათი შემოსავლების ზრდის წყაროა. გარდა ამისა, მუდმივ რეჟიმში შეუძლიათ აკონტროლონ ბაზრის მოთხოვნები და მისცენ შესაბამისი რეკომენდაციები ფერმერებს და ა.შ.

ანუ ყველა ის ღონისძიება, რომელიც მოითხოვს ერთიანობას და კოორდინირებულ მუშაობას, ორგანიზებული იქნება

კლასტერის ცენტრში მდებარე ასოციაციის მიერ. ხოლო ის ფაქტი, რომ ყველა ინდივიდუალური მონაწილის შემოსავალი და ზარალი დამოკიდებული იქნება მის პირად შრომაზე და ქონებაზე და არა სხვების შეცდომებზე, გაცილებით გაზრდის მათ რენტაბელობას და შრომის ნაყოფიერებას. გარდა ამისა, შეარბილებს ერთი ადამიანის შეცდომის გავლენას სხვების შემოსავალზე.

კლასტერის უპირატესობაა, საბაზრო, თავისუფალი ურთიერთობების შესაძლებლობა და ნაკლები რისკით მეტი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ვფიქრობთ, რომ სწორი მასტიმულირებელი პოლიტიკის და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, კლასტერებს აქვთ შესაძლებლობა ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ, მოგების მომტან ძლიერ ორგანიზაციად, რომელიც თავად გახდება ქართული აგრარული სექტორის განვითარების მასტიმულირებელი ძალა.

"REGIONAL CLUSTERS"- THE BEST WAY FOR GEORGIAN FARMERS TO ADAPT TO THE REQUIREMENTS OF THE EUROPEAN MARKET

Nino Rukhaia-Mosemghvdlishvili
TSU, PHD Student

Resume

Georgia has always been considered as an agricultural country. Nowadays over half of the population live in regions and are depended on the income from the agricultural sector. International trade laws and a liberal tax range, which is currently presented in Georgia, makes it necessary to identify the new market niche where the Georgian products will be competitive. In our opinion, one such niche is the high-income segment of the European market, where there is a demand for high-quality, organic products. We understand that this is a very ambitious proposal and it requires solving a lot of problems in achieving this goal. The aim of the article is to discuss the ways of reduction of the negative consequences

of the most difficult agricultural problem in Georgian agricultural field - highly fragmented lands and very small farmers. There is the model of the farmers' association, which will have the opportunity to produce the competitive products and to establish themselves in the international market.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "Cluster Coordination Guidance for FAO staff working at country level in humanitarian and early recovery operations". Food and Agriculture Organization of the United Nations, Rome, 2010 http://www.fao.org/fileadmin/user_upload/emergencies/docs/FAO_Cluster_Coordination_Guidance.pdf

2. The Common Agricultural Policy; A partnership between Europe and Farmers; European Commission-2013.

3. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).

4. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ ქუთაისი, 12 ივლისი 2013 წ. N816-რს

BIBLIOGRAPHY:

1. "Cluster Coordination Guidance for FAO staff working at country level in humanitarian and early recovery operations". Food and Agriculture Organization of the United Nations, Rome, 2010 http://www.fao.org/fileadmin/user_upload/emergencies/docs/FAO_Cluster_Coordination_Guidance.pdf

2. The Common Agricultural Policy; A partnership between Europe and Farmers; European Commission-2013

3. Deep and Comprehensive Free Trade Agreement **(DCFTA)** (In Georgian Language) .

4. The Georgian Law of Agricultural Cooperatives; Kutaisi, 12 July 2013. N816- RC(In Georgian Language) .

Keywords: Agricultural sector; Regional associations; Agricultural Cluster; Small farmers; the method of increasing the competitiveness;

საქართველოში ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის შესახებ

ნანა კირვალიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე. სტატიაში განხილულია ვაგონმშენებელი საწარმოების მნიშვნელობის საკითხები საქართველოში. კერძოდ: ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის წარმოების დინამიკის, პროდუქციის ექსპორტის, ფასწარმოქმნის, ასორტიმენტის სტრუქტურის ტენდენცყები. აღნიშნულია, რომ ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურ კომპანიაში პრაქტიკულად იყენებენ მარკეტინგის კომპლექსის მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს ცალკეული ღონისძიებების სახით. ეს ღონისძიებები მიმართულია მოკლევადიანი კონკრეტული მიზნების მისაღწევად. მარკეტინგის სამსახური ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურ კომპანიაში ჩამოყალიბების პროცესშია და მხოლოდ სარეკლამო საქმიანობით შემოიფარგლება. ის ემსახურება მხოლოდ ცალკეული შეკვეთების მოძიებას და გასაღების სტიმულირებას. არ არის ორგანული კავშირი მარკეტინგის ღონისძიებების გეგმას და ბიზნეს-გეგმას შორის.

სტატიაში ასევე გაანალიზებულია ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის კონკურენტუნარიანობის ექსპერტული შეფასების შედეგები. ჰოლდინგური კომპანიის პროდუქცია გამოირჩევა მაღალი კონკურენტუნარიანობით და ხარისხით.

სტატიის ბოლოს საუბარია ღონისძიებებზე, რომელიც ავტორის აზრით საჭიროა გატარდეს ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურ კომპანიაში სამეურნეო საქმიანობის სრულყოფისათვის.

შესავალი. სტატიაში განხილულია ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის მნიშვნელობა საქართველოში. გაანალიზე-

ბულია ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის სამეურნეო საქმიანობის შედეგები. კერძოდ, წარმოების დინამიკა, პროდუქციის ექსპორტი, ასორტიმენტის სტრუქტურა, ფასწარმოქმნა და საწარმოს კონკურენტუნარიანობის დონე. საუბარია მარკეტიგული საქმიანობის თავისებურებებზე.

საკვანძო სიტყვები: ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანია, წარმოების დინამიკა, ექსპორტი, ასორტიმენტის სტრუქტურა, ფასწარმოქმნა, ექსპერტული შეფასება, მარკეტინგის კონპლექსი.

საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო მექნიზმის დანერგვის ძირითადი ამოცანა არის შეიქმნას ისეთი საწარმოები, სადაც დაინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, იწარმოება ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ათვისებული იქნება ახალი საწარმოო სიმძლავრეები და ბაზრები, შეიცვლება საწარმოების სტარატეგია და ტაქტიკა. საწარმოს მართვის ყველა რგოლში აუცილებელია საქმიანობის ორიენტაცია საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებებზე: თავისუფალ არჩევანსა და კონკურენტუნარიან პროდუქციის წარმოებაზე.

ამ კანონზომიერებების არარსებობის გამო საქართველოში მრავალი დარგი და საწარმო უვარგისი გახდა და განადგურდა.

მაგრამ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის საწარმოების აღდგენა და განვითარება ისეთ ჩამორჩენილ და ღარიბ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, წარმოადგენს ყველაზე ძნელ საქმეს, ვინაიდან იგი მოითხოვს გამოცდილი ტექნიკური ძალების ერთგვარ მინიმუმს, იაფ ნედლეულს, ტექნიკურ ბაზას, დიდძალ ფინანსურ ხარჯებს და ხელსაყრელ გარე გარემოს.

საქართველო ყოველთვის იყო აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი სარკინიგზო დერეფანი, მისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო. ამჟამად საქართველოს რკინიგზის მაგისტრალის გავლით ტრანპორტირდება ტვირთი შუა და აღმოსავლეთ აზიიდან ევროპაში და პირიქით.

2008-2014 წლებში საქართველოში ტრანპორტის სექტორში

შექმნილი მთლიანი დამატებითი ღირებულება ზრდის ტენდენციით ხასიათდება (გამონაკლისია 2009 წელი) და მთლიანი შიდა პროდუქტის 6,6%-ს შეადგენს (2014 წლის წინასწარი მონაცემებით) (იხ. ცხრილი 1). ამიტომ რკინიგზასთან დაკავირებული დარგების და საწარმოების განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ყოველივე ამან გამოიწვია ვაგონშემკეთებელი და ელექტროვაგონმშენებელი ფირმების არსებობა და შექმნა. ამჟამად საქართველოში ამ დარგში ფუნქციონირებს 13 მსხვილი და მცირე საწარმო. თანამშრომელთა რაოდეობა 2014 წელს იყო 1796. 2013 წელს კი მუშაობდა 2629 თანამშრომელი (მათი რაოდენობა არასტაბილურობით ხასიათდება). საწარმოებში დასაქმებულია მოსახლეობა საქართველოს ყველა რეგიონიდან. მცირე საწარმოებში ხდება რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მცირე სარემონტო სამუშაოები.

ამ დარგში მოქმედი მსხვილი საწარმო არის ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური გაერთიანება. ჰოლდინგურ კომპანიაში გაერთიანებულია: ელექტროვაგონმშენებელი ქარხანა – 2005, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა – 1883, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და კულტურული დაწესებულება არტ-ჰოლი. მეთაური (სათავო) საწარმო, რომელიც აკონტროლებს ჰოლდინგში სხვა საწარმოთა საქმიანობას არის ვაგონმშენებელი ქარხანა – 2005. ის ახალი საწარმოა საქართველოში. ჰოლდინგურ კომპანიაში შემავალი ვაგონშემკეთებელი ქარხანა – 1883 ერთერთი უძველესი და დიდი ტარდიციების საწარმოა ამიერკავკასიაში. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქარხანაში არემონტებდნენ სხვადასხვა ტიპის სამგზავრო და სატვირთო ვაგონებს, ელექტრომანქანებს, წევის ძრავებს, წყვილთვალებს, დენმიმღებებს, დამხმარე მანქანებს, აწარმოებდნენ რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებს. 1999 წელს სახაზინო საწარმოს ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება. მისი საწედებო კაპიტალის აქციების 100% კერძო საკუთრებაშია.

რადგან ელექტროვაგონმშენებლობისა და ვაგონშეკეთების საწარმოების მიტოვება არ შეიძლება სტიქიური განვითარების

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2008-2014 წლებში მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი[1]

ცხრილი 1

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014*
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	19074,9	17986,0	20743,4	24344	26167,3	26847,3	29187
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	94,3	115,3	117,4	107,5	102,6	108,7
მ.შ. ტრანსპორტის სექტორში შექმნილი მთლიანი დამატებითი ღირებულება	1162,5	1138,0	1415,1	1573,4	1703,9	1789,2	1929,4
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	97,9	124,3	111,2	108,3	105,0	107,8
ტრანსპორტის სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში %-ად	6,1	6,3	5,8	6,4	6,5	6,7	6,6
მ.შ მეტალურგიული პროდუქციისა და ლითონის მზა ნაკეთობების წარმოების სექტორში შემნილი მთლიანი დამატებითი ღირებულება	254,0	234,0	465,9	501,6	537,9	540,9	499,6
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	92,1	199,1	107,7	107,2	100,6	92,4
მეტალურგიული პროდუქციის და ლითონის მზა ნაკეთობის წარმოების სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქციაში %-ად	1,3	1,3	2,2	2,1	2,1	2,0	1,7

1 ცხრილი შედგენილია სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.
*** დაზუსტებული შეფასება გამოქვეყნდება 2015 წლის 16 ნოემბერს**

ამარა, იაფი და ხარისხიანი ნახევარფაბრიკატების მიწოდების გარეშე, ჰოლდინგში გაერთიანებულია რუსთავის მეტალურგიული ქარხანაც. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დაარსდა 1948 წელს და ამიერკავკასიაში სრული მეტალურგიული ციკლის პირველი საწარმო იყო. ამჟამად ქარხანაში სისტემატურად ხდება სიმძლავრეთა განახლება, ქარხანაში დასაქმებულია 2100-ზე მეტი ადამიანი. (საქართველოში ამჟამად არსებობს შავი მეტალურგიის 22 საწარმო. 2013 წელს მუშაობდა 19 საწარმო. 2014 წელს ამ საწარმოებში დასაქმებული იყო7230 თანამშრომელი, ხოლო 2013 წელს – 7499 თანამშრომელი). ქვემოთ მოცემულ ცხრილში, ნაჩვენებია რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოება-მოდერნიზაციის და შავი მეტალურგიის პროდუქციის წარმოების დინამიკა საქართველოში (იხ. ცხრილი 2.) იგი არასტაბილურობით ხასიათდება, მაგრამ ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის მიერ მიღწეული წარმატებები ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანია საწარმოო საქმიანობაში იყენებს საბაზრო მექანიზმის პრინციპებს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია მარკეტინგს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ფირმებს მაქსიმალურად გამოიყენოს თავიანთი საბაზრო შესაძლებლობები მომხმარებელზე ორიენტაციით. მაგრამ საწარმოო დანიშნულების საქონლის მარკეტინგი გასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც განპირობებულია ბაზრის სპეციფიკური ნიშან-თვისებებით. მათ შორის ძირითადია: მყიდველთა გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობა სამომხმარობლო საქონლის ბაზართან შედარებით, საქონელზე მოთხოვნის ნაკლები ცვალებადობა, მყიდველთა მაღალი პროფესიონალიზმი, მყიდველთა შემოსავლების მაღალი დონე.

ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანია პრაქტიკულად იყენებს მარკეტინგის კომპლექსის მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს, მარკეტინგულ ღონისძიებათა სახით, რომელიც მიმართულია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი კონკრეტული მიზნების მიღწევაზე. გამოირკვა, რომ ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურ კომპანიაში მარკეტინგის სამსახური ჩამოყალიბების პროცესშია (ანუ,

საქართველოში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება 2008-2014 წლებში, ათასი ლარი[1]. ცხრილი 2

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014**
თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება	433736,2	235096,2	465979,8	490852	498692	440569,7	1896094
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	54,2	198,2	105,3	101,6	88,3	430,4
რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოება*	102836,3	181256,5	120530,8	123643,7	106450,2	196081,9	546706,6
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	176,3	66,5	102,6	86,1	184,2	278,8

1 ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

* ეს ქვეკლასი შეიცავს რკინიგზის და ტრამვაის ლოკომოტივების და მოძრავი შემადგენლობის წარმოების და მოდერნიზაცია-რემონტს (შეკეთებული ვაგონების რაოდენობის მონაცემები განზოგადებას არ ექვემდებარება).

** 2014 წლის მონაცემები არის წინასწარი

არ არსებობს მარკეტინგის განყოფილება).

მხოლოდ ერთი თანამშრომელია, რომელიც ასრულებს პროექტების ხელმძღვანელის მოვალეობას. არ არსებობს მარკეტინგის კომპლექსური გეგმა. ეს აიხსნება რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით: სასაქონლო ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონით, საწარმოს ფინანსური სიძნელეებით, საბაზრო ურთიერთობათა განვითარების დაბალი დონით (ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არ არსებობა), არასახარბიელო პოლიტიკური გარემოთი, ინფორმაციის შეგროვებისა და გაცვლის (ინფორმაციული უზრუნველყოფის განვითარების) არასაკმარისი დონით და სხვა.

მიუხედავად ამისა ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანია აწარმოებს და არემონტებს (იგულისხმება მოდერნიზაცია) ფართო ასორტიმენტის პროდუქციას. ძირითადი სასაქონლო ჯგუფებია: ელექტროვაგონი – ვმკ 001; სატრანსპორტო დახურული ვაგონები და ნახევარვაგონები ეს-004, ეს-005; ხორბალმზიდები; ვაგონცისტერნები; კონტეინერმზიდები; კონტრეილერმზიდები და სამგზავრო ვაგონები. ასორტიმენტის სიღრმე მცირეა – იწარმოება მხოლოდ თითო მოდელი. პროდუქციის ხარისხი შეესაბამება საერთაშორისო (iso) სტანდარტების მოთხოვნებს. ნაწილობრივ გადაიარაღებულია საწარმოს მატერიალ-ტექნიკური ბაზაც, იყენებენ თანამედროვე დანადგარებს, მოწყობილობებს. სისტემატურად ხდება პროდუქციის განახლება. ამჟამად, უკრაინელი კოლეგებისაგან ლიცენზიით შეიძინეს ვაგონის გვერდითი ჩარჩოს და რელსზედა ძელის მოდიფიცირებული კონსტრუქციები. ნახევარფაბრიკატების მასობრივი წარმოება იგეგმება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა იაფი და ხარისხიანი ნახევარფაბრიკატებით ამარაგებს ვაგონშემკეთებელ საწარმოს.

მოცემულ საწარმოში ფასების პოლიტიკა მოქნილია. ფასები დგინდება იმ დანახარჯების საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან, ითვალისწინებენ კონკურენციის ფასებს. 2014 წელს წარმოებული ძრავიანი სამგზავრო ვაგონის ფასი იყო – 273, 38 ათასი აშშ დოლარი,

2013 წელს კი – 346 ათასი აშშ დოლარი (ფასს შემცირების ტენდენცია აქვს, რაც გამოწვეულია თვითღირებულების შემცირებით). ხოლო სატვირთო ვაგონის ფასი არის 15 ათასი აშშ დოლარი.

ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის ძირითადი მომხმარებელია სს „საქართველოს რკინიგზა“ და სომხეთის რესპუბლიკის რკინიგზა, ასრულებენ აზერბაიჯანის რესკუბლიკის რკინიგზის შეკვეთებსაც. მიმდინარეობს სამუშაოები თურქმენეთის ბაზრის ასათვისებლად. პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მიღწეულია მაღალი ხარისხით და შეადარებით დაბალი ფასებით. რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოებასა და რემონტში დასაქმებული თანამშრომლების საშუალო თვიური ანაზღაურება 2014 წლის მონაცემებით იყო – 646 ლარი, 2013 წელს შესაბამისად – 825 ლარი, ხოლო 2012 წელს – 792 ლარი, ხოლო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საშუალო თვიური ანაზღაურება 2014 წელს იყო – 809 ლარი, 2013 წელს – 773 ლარი, 2012 წელს კი – 677 ლარი.

მაგრამ მიმდინარე წელს მოსალოდნელია შეკვეთების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც უფრო მეტად გაამყარებს საწარმოს პოზიციებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი 3) მოცემულია ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი. რკინიგზის ვაგონები ექსპორტირებული იყო სომხეთში და 2014 წელს ქვეყნის მთლიანი ექსპორტის მოცულობის 0,01 %-ს შეადგენდა. რუსთავის მატალურგიული ქარხნის პროდუქციის ექსპორტი ხდება დსთ და ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე თურქეთში და აშშ-ში.

ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის მასალებიდან ჩანს, რომ 2010 წელს 26,4 მლნ ლარი გადაიხადეს ბიუჯეტში. მაშასადამე, მათი საოპერაციო მოგება იყო 132 მლნ. ლარი, ხოლო წმინდა მოგებამ შეადგინა 105,6 მლნ ლარი (შედარებით ახალი მონაცემები ვერ მოვიპოვეთ კონფიდენციალობის გამო). საწარმის ფინანსური შედეგები უდაოდ მიუთითებს წარმატებულ ბიზნესზე.

პროდუქციის გასაღების სტიმულირებისათვის სარეკლამო ღინიძიებები ტარდება არარეგულარულად, უსისტემოდ. სარეკლამო ღიონისძიებების გეგმა არ მუშავდება. მოცემული

საქართველოს ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი 2011-2014 წლებში[1]. ცხრილი №3

საქონლის დასახელება	2011 წელი		2012 წელი		2013 წელი		2014 წელი*	
	ათ. აშშ დოლ.	ცალი	ათ. აშშ დოლ.	ცალი	ათ. აშშ დოლ.	ცალი	ათ. აშშ დოლ.	ცალი
ვაგონები სამგზავრო ძრავიანი, სატვირთო ვაგონები, ღია პლატფორმები	862,5	2	-	-	6230,7	18	2733,8	10
რკინიგზის ან ტრამვაის ვაგონები სამგზავრო არათვითმავალი	15,1	2	-	-	-	-	-	-
რკინიგზის ან ტრამვაის ვაგონები სატვირთო არათვითმავალი	204	24	45	3	300	20	-	-
თუჯი, ფოლადი	4373,7	8699,7[2]	16511,4	35059,6[2]	61254,3	126186,2[2]	44882	92785,9[2]
ბრტყელი ნაგლინი	585,1	628,2	334,6	886,8	453,7	381,7	5677,5	4924,9
კუთხოვანები, პროფილები ნახშირბადოვანი ფოლადისაგან	351,3	547,4	126,6	105,8	211,2	140	1321	1025,7
მილები და ღრუ პროფილები უნაკერო შავი ლითონისაგან	1751,8	1718,3	3708,8	3302,3	28466,3	28706,4	16310,6	18453,9
მეტალოკონსტ-რუქციები შავი ლითონისაგან	755,2	150,7	1315,3	659	1386,8	415,5	1175,6	587,1

1. ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე; 2. ტონა; * წინასწარი მონაცემები.

საწარმოს პროდუქციის რეკლამირება ძირითადად, ინტერნეტით ხდება, იშვიათად გამოიყენებენ ბეჭდვით რეკლამას (ბუკლეტები, ბროშურები და ა. შ). სუსტად არის განვითარებული საზოგადოებასთან ურთიერთობები.

სამგზავრო და სატვირთო ვაგონების მოხმარების ვადაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის ძირითადია: ატმოსფერული გარემოს ზემოქმედება, ტექნიკური პარამეტრები, ექსპლუატაციის პირობები, დატვირთვის ინტენსივობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სხვა. მათი კანონზომიერების გავლენა ვაგონმშენებლობის ბაზარზე მოთხოვნის პროგნოზის გამოსათვლელად არასათანდოდ არის შესწავლილი. ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერტული შეფასებისას ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის სპეციალისტთა 60% კონკურენტულ ბრძოლაში წარმატებას საკვანძო ფაქტორებიდან პირველ ადგილს მარკეტინგს მიაკუთვნებენ. მათი შეფასებით, კომპანიის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი – 7,1 ქულა – უტოლდება ძირითადი კონკურენტი (რუსეთი, აზერბაიჯანი) საწარმოების კონკურენტუნარიანობას (7,1 ქულა), ხოლო პროდუქციის ხარისხის კომპლექსურმა მაჩვენებელმა მიიღო მეტი შეფასება (8,2 ქულა), კონკურენტი საწარმოების პროდუქციასთან შედარებით (7,9 ქულა). ექსპერტთა საშუალო შეთანხმების დროს. V_k=0,2.

ასეთია ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის ძირითადი მიღწევები, მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ნაკლოვანებები არ შეიმჩნევა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია:

– ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურ კომპანიაში ჩამოყალიბდეს მარკეტინგის განყოფილება. შეიქმნას მარკეტინგულ ღონისძიებათაAგეგმა, დამყარდეს ორგანული კავშირი მარკეტინგის გეგმასა და ბიზნეს-გეგმას შორის;

– კომპლექსურად გამოიკვლიონ მიზნობრივი რეგიონული ბაზრები, განისაზღვროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ზრდის მასშტაბები, მოხდეს ასორტიმენტის ოპტიმალური ფორმირება, შემუშავებულ იქნას კონკრეტული საბაზრო სტრატეგიები. შედეგები დაინერგოს წარმოებაში;

– მოწესრიგდეს საზოგადოებასთან ურთიერთობები, ჩატ-

არდეს თემატური ღონისძიებები, პრესაში გამოქვეყნდეს სტატიები, სადაც საზოგადოებას გააცნობენ ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის საქმიანობას;

– გაფართოვდეს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, შედეგები დაინერგოს წარმოებში;

– გამოკვლეული იყოს ვაგონმშენებლობის საწარმოებში მარკეტინგული საქმიანობის თავისებურებანი. (დღეისათვის ასეთი გამოკვლევები არ არსებობს);

– ვაგონმშენებლობის სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები გახდეს უფრო დეტალიზირებული, სამგზავრო და სატვირთო ვაგონების წარმოება-მოდერნიზაცია ცალ-ცალკე ჯგუფებად იყოს აღრიცხული.

დასკვნა: შედეგებმა ცხადყვეს, რომ ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურმა კომპანიამ შეძლო საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლა, მან გადალახა საძნელეები სამეურნეო საქმიანობაში და წარმართავს ბიზნესს. იბრძოლეთ!

გამოყენებული ლიტერატურა

1. შუბლაძე გ. „ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ“ (შპს „ნიკორას“ მაგალითზე). ჟურნ. „კომერსანტი“. 2009 წ. №1. გვ. 72-76;

2. შუბლაძე გ., ნანიტაშვილი მ., დოლიკაშვილი ლ. „სტარატეგიული მენეჯმენტი“. თბ. უნივერსალი 2010 წ. გვ. 70-146, გვ. 301-330;

3. მარკეტინგის საფუძვლები გ. შუბლაძის რედაქციით. თბ. 2009. გვ. 42-46, გვ. 552-373;

4. Черник А. „Товарная политика предприятия“, Минск 2004, стр. 227-238, стр. 272-273;

5. Баумгартен Л.В. „Возможные подходы к выбору показателей и оценке конкурентоспособности (на примере туристских услуг)“ Журнал „Маркетинг в России и за рубежом“ М. 2011г №4. ст. 46-63.

ABOUT THE CARRIAGE-BUILDING HOLDING COMPANY IN GEORGIA

Nana Kirvalidze, PHD

Resume

This article discusses the carriage-building industrial meaning problems in Georgia, privately: the carriage-building holding industrial dynamics, the export of production, pricing, the tendency structure of assortment. As it is stated in the carriage-building holding company practice they use only the separate elements of complex marketing as private arrangement. These arrangements are directed to reach the concrete short – term goals. The marketing service is in the process of formation in the carriage-building holding company and it includes the advertising service. It only serves to search the separate orders and stimulation of the key. There is no organic connection between the marketing arrangement and the business plans.

In this article the results of the carriage-building holding competition expert estimation are analyzed. Moreover, holding company production are distinguished with high competition and quality. In the end of the article there are mentioned some arrangements, which by author's opinion are necessary to pass in the carriage-building holding company for economic, business improvement.

Key Words: Carriage-Building holding Company, Industrial dynamics, export, structure of assortment, complex marketing, competition expert.

REFERENCES:

1. G. Shubladze about "The Effectiveness of a firm's marketing service". magazine "comersant" 2009y. #1 pg. 72-76 (in Georgian language);

2. G. Shubladze, M. Nanitashvili, L. Dolikashvili. Strategic management, Tbilisi, universal. 2010 y. pg. 70-149, pg 301-330 (in Georgian language);

3. Principles of Marketing. According to G. Shubladze editional staff. Tbilisi, Universal, 2009 y. pg 42-46; pg 352-373. (in Georgian language);

4. N. Chernic, Enterprise product policy, Tutorial, Minck, 2004 y, pg 227-228; pg 272—273. (in Russian language);

5. L. Baumgarten, "Approaches to selection of the indicator and evaluation of competitiveness (by example of travel services), magazine "Marketing in Russia and abroad", Moscow, 2011 y. #4 pg. 46-70. (in Russian language).

კონფლიქტი პერსონალის მართვის პროცესში

მანანა სამადაშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე: კონფლიქტი წარმოადგენს წინააღმდეგობას დაპირისპირებულ ძალებს შორის, მათი ინტერესების და შეხედულებების შეჯახებას.

კონფლიქტის გადაწყვეტა და შესწავლა დიდადაა დამოკიდებული როგორც თეორიული, ასევე მეთოდური მიდგომების სწორად შერჩევასთან. კონფლიქტის მართვაზეა დამოკიდებული თუ რა სახის შედეგს მივიღებთ. ადამიანები ხშირად არასერიოზულად უდგებიან კონფლიქტის გადაჭრის საკითხს და არავითარ ზომებს არ მიმართავენ მათ გადასაჭრელად, რაც პირდაპირ აისახება მათ შრომის ეფექტიანობაზე.

კონფლიქტი მენეჯმენტში ორგანიზაციის არაეფექტური მოღვაწეობის, ან ცუდი მართვის შედეგია, რაც დაუყონებლივ უნდა გადაიჭრას კონფლიქტის გადაჭრის სტრუქტურული მეთოდების საშუალებით.

კონფლიქტის გადაჭრის პროცესი შეიცავს: სიტუაციის ანალიზს და შეფასებას, კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიის შერჩევას, მოქმედებათა გეგმის ჩამოყალიბებას და რეალიზებას.

კონფლიქტის წარმატებით დასრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ითვალისწინებენ კონფლიქტის მონაწილე მხარეები კონფლიქტის გადაჭრის პროცესზე მოქმედ ფაქტორებს.

ამგვარად, კონფლიქტის პროცესის ეფექტურად მართვა განსაზღვრავს კონფლიქტის შედეგს (კონსტრუქციული ან დესტრუქციული), რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის ხელახალი წარმოქმნა, ან მოახდინოს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტის მართვა, სტრუქტურული მეთოდები, კონფლიქტის ტიპები, ორგანიზაციული კონფლიქტი, ქცევითი სტრატეგიები.

შესავალი: ნებისმიერი საქმის წარმატება განპირობებულია ადამიანთა შორის ურთიერთობებით. არიან ისინი ხელმძღვანელები თუ ხელქვეითები, პარტნიორები, კოლეგები, მიმწოდებლები თუ კლიენტები მათი ურთიერთობა შეიძლება იყოს ჰარმონიული, ან კონფლიქტური. კონფლიქტურ გარემოში კი შეუძლებელია ნებისმიერი პროგრესი.

კონფლიქტი წარმოადგენს დაპირისპირებულ ძალთა წინააღმდეგობას, განსხვავებულ ინტერესთა და შეხედულებათა შეჯახებას. არსებობს კონფლიქტის გაგების ორი ყველაზე გავრცელებული მიდგომა: პირველ შემთხვევაში კონფლიქტს განსაზღვრავენ, როგორც მხარეთა დაპირისპირებას, ხოლო მეორე შემთხვევაში კი როგორც ურთიერთობათა სისტემას (საქმიანობა, ინტერესები, ფასეულობები).

კონფლიქტი შესაძლოა მიმდინარეობდეს ორ ან მეტ მხარეს შორის. კონფლიქტის მხარეებს შესაძლოა წარმოადგენდნენ როგორც ინდივიდუალური პირები ისე ჯგუფები. კონფლიქტის წარმოქმნილი პრობლემა საჭიროებს სასწრაფო აღმოფხვრას. თუმცა სასურველია ხდებოდეს კონფლიქტების პრევენცია.

ძირითადი ნაწილი: შესაძლოა კონფლიქტი გამოწვეული იყოს რამდენიმე წყაროდან.

კონფლიქტის გამომწვევი სუბიექტური მიზეზებია: მმართველობითი მიზეზები და პირადული მიზეზები.

ორგანიზაციის გაუმართავი ფუნქციონირება შეიძლება იყოს ორგანიზაციაში კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზი. ურთიერშეთანხმებული ურთიერთობების დროსაც კი შესაძლებელია კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნა. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელს დიდი როლი ეკისრება კონფლიქტის მართვის პროცესში.

ორგანიზაციული კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს მიეკუთვნება:

- უფლება მოვალეობათა არასწორი განაწილება, ბუნდოვანი თანამდებობრივი ინსტრუქციები

• შრომის ანაზღაურების არასრულყოფილი სისტემა
• გასანაწილებელი რესურსების შეზღუდულობა
• არადამაკმაყოფილებელი კომუნიკაციური სისტემა,
• ცუდი სამუშაო პირობები
• თანამშრომლებს შორის არსებული განსხვავება მიზნებში, წარმოდგენებსა და ღირებულებებში

პირადული მიზეზებია:

• ურთიერთობის დაბალი კულტურა
• ხელმძღვანელის მიერ მართვის არაეფექტიანი სტილის შერჩევა
• პერსონალის ფსიქოლოგიური თავისებურებები
• ხელქვეითების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არაკეთილსინდისიერი შესრულება

კონფლიქტის დარეგულირება უნდა მოახდინოს ხელმძღვანელმა კონფლიქტის ხარისხის და ტიპის მიუხედავად.

ორგანიზაციაში შეიძლება წარმოიშვას ყველა ტრადიციულად არსებული კონფლიქტის ტიპი, კერძოდ:

• პიროვნებათაშორისი კონფლიქტი.
• ჯგუფსა და პიროვნებას შორის კონფლიქტი
• ჯგუფებს შორის მიმდინარე კონფლიქტი
• ინტრაინდივიდუალური კონფლიქტი (პიროვნების შიგნით მიმდინარე კონფლიქტი).

ინტრაინდივიდუალური კონფლიქტი წარმოიშვება, როდესაც პერსონალს უყენებენ წინააღმდეგობრივ მოთხოვნებს და მას უწევს ურთიერთსაწინააღმდეგო როლების შესრულება და შეთანხმება.

შიდაპიროვნული კონფლიქტს აქვს ადგილი, როდესაც პერსონალის მოთხოვნილებები და ღირებულებები წინააღმდეგობაშია სამსახურეობრივ მოთხოვნებთან.

პიროვნებათშორისი კონფლიქტი წარმოადგენს ჯგუფის შიგნით წარმოქმნილ კონფლიქტს. განსხვავებული პოზიციების, შეხედულებების, განსხვავებული ხასიათის და ტემპერამენტის თავისებურებები, ეთნიკური, კულტურული თუ რელიგიური განსხვავებები შეიძლება გახდეს პიროვნებათშორისი კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი.

ჯგუფთაშორისი კონფლიქტი ორგანიზაციაში ძირითადად სტუქტურული სახით მიმდინარეობს. ჯგუფებს შორის ურთიერთობა ხასიათდება, როგორც თანამშრომლობით, ასევე კონკურენციით, სადაც თითოეული ჯგუფი იბრძვის საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად.

ჯგუფთაშორისი კონფლიქტი შეიძლება არსებობდეს ოთხი სახის:

1. იერარქიული კონფლიქტი
2. ფუნქციონალური კონფლიქტი
3. კონფლიქტი ხელმძღვანელებსა და ოპერატიულ თანამშრომლებს შორის
4. კონფლიქტი ფორმალურსა და არა ფორმალურს შორის

კონფლიქტური სიტუაციის მართვა შესაძლებელია რამდენიმე ხერხის საშუალებით. შესაძლებელია ამ მეთოდების ორ კატეგორიად დაჯგუფება: სტურუქტურული და პიროვნებათშორისი კონფლიქტური ურთიერთობების მართვის მეთოდები.

სტრუქტურულ მეთოდებს მიეკუთვნება:

- სამუშაოსადმი წაყენებული მოთხოვნების ზუსტი განსაზღვრა
- მაკოორდინებელი და ინტეგრალური მეთოდების გამოყენება
- ზოგადორგანიზაციული კომპლექსური მიზნების დასახვა
- დაჯილდოების სისტემის გამოყენება

კონფლიქტის მართვის სტრუქტურული მეთოდები გამოიყენება წმინდა ორგანიზაციული პრობლემების მოსაგვარებლად. მათი საშუალებით მიიღწევა შეთანხმებული მუშაობა და ეფექტური მართვა.[1,2,3]

ორგანიზაციაში კონფლიქტის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად უპირველეს ყოვლისა დაკმაყოფილებული უნდა იყოს პერსონალის პირველადი მოთხოვნილებები, როგორიცაა ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური მოთხოვნილებები. მათ მიეკუთვნება: ხელფასი, სისუფთავე, ძილი, დასვენება, უსაფრთხოება, წახალისება-დაჯილდოება და აშ. კონფლიქტი ძირითადად მიმდინარეობს პეროვნებათა შორის, ამიტომ აუცილებელი ხდება პიროვნებათაშორისი კონფლიქტის მართვის მეთოდების გამოყენება. გამოიყენება ქცევის ხუთი ტიპური

სტრატეგია: შეგუება, კომპრომისი, თავის არიდება, კონკურენცია, პრობლემის გადაჭრა.

შეგუება: წინააღმდეგობის შერბილება პირადი ინტერესების შეცვლის ხარჯზე.

კომპრომისი: სხვისი პოზიციის მიღება გარკვეულ საზღვრებში ურთიერთდათმობის გზით.

თავის არიდება: კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლის მცდელობა მისი მიზეზების გადაჭრის გარეშე.

კონკურენცია: უკომპრომისო ბრძოლა საკუთარი ინტერესების დასაცავად, საკუთარი პოზიციის გატარება.

პრობლემის გადაჭრა: ყველა მხარის ინტერესების დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების ერთობლივი შემუშავება.

თანამედროვე ორგანიზაციულ კონფლიქტს გააჩნია როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური შედეგი. კონფლიქტის დადებით შედეგებად შესაძლოა განვიხილოთ:

- პიროვნული და სოციალური ცვლილებები
- არსებული პრობლემის გამოვლენა
- ახალი იდეების აღმოცენება
- ორგანიზაციის რესტრუქტურირება
- დასახული მიზნების გადასინჯვა და ხელახლა განსაზღვრა

კონფლიქტის დისფუნქციური შედეგებია:

- კადრების დენადობის გაძლიერება, შრომის ეფექტურობის დაცემა
- სოციალური ურთიერთობების გაუარესება, ხშირ შემთხვევაში საერთოდ შეწყვეტა
- კონკურენციის გაჩენა
- მძიმე მორალური კლიმატის შექმნა
- თანამშრომელთა შორის ნდობისა და ლოიალობის შემცირება, მტრული ტენდენციების განვითარება

ინფორმაციის შეგროვება და პროცედურული საკითხების განსაზღვრა წარმოადგენს აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოს, რაც კონფლიქტის პრობლემის გადასაჭრელად გვჭირდება.[1,2]

დიალოგი მოწინააღმდეგე მხარეებს შორის უნდა იყოს კონსტრუქციული.

შემუშავებული გადაწყვეტილება დროულად უნდა შესრულდეს, რათა თავიდან არიდებულ იქნეს ეჭვი მხარეთა შორის, რომ პროცესი განზრახ ფერხდება.

კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ პიროვნებათა შორის მოლაპარაკებათა გზით.

ორგანიზაციულ კონფლიქტებში კი ხელმძღვანელმა, შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოახდინოს კონფლიქტის პროცესის დარეგულირება.

დასკვნა: კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს წარმოადგენს კონფლიქტის დიაგნოსტიკა, ანუ კონფლიქტის ძირითადი პარამეტრების ანალიზი. მნიშვნელოვანია კონფლიქტის ტიპების სწორი იდენტიფიკაცია, რადგან კონფლიქტის სტრატეგიის შერჩევა მასზეა დამოკიდებული. შესაძლოა კონფლიქტი გამოწვეული იყოს რამოდენიმე წყაროდან. საჭიროა აღმოჩენილ იქნას თითოეული მათგანი და განისაზღვროს მათი გადაწყვეტის შესაბამისი სტრატეგია. კონფლიქტის გადაჭრის პროცესში, თუ ისეთ სტრატეგიას გამოიყენებენ, რომელიც მოგების მიღებაზეა ორიენტირებული კონფლიქტში მონაწილე ყველა პირისათვის, მაშინ ეს სტრატეგია იქნება ეფექტური.

კონფლიქტის გადაჭრის პროცესში არაეფექტიანი სტრატეგიებია:

• პიროვნების განხილვა მხოლოდ საკუთარი პოზიციიდან

• ყურადღების გამახვილება გამარჯვების მოპოვებაზე და არა პრობლემის გადაჭრაზე.

• კონფლიქტის პერსონალიზაცია, ანუ კონფლიქტის მიზეზის დანახვა პიროვნებებში და მათ თვისებებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კუტალაძე ი., ადამიანური რესურსის მენეჯმენტი, “არადანი”, თბ., 1999

2. პაიჭაძე ნ. პერსონალის მართვა. თსუ თბილისი. 2003

3. Martin J., Organizational Behaviour and Management., SOUTH-Western Cengage Learning EMEA., 2005

REFERENCES

1. Kutaladze I., Human resource Management, "Aradani"., Tb., 1999(In Georgian Language) .

2. Paichadze N., Personnel Management, TSU., Tb., 2003(In Georgian Language) .

3. Martin J., Organizational Behaviour and Management., SOUTH-Western Cengage Learning EMEA., 2005

CONFLICT IN THE PROCESS OF PERSONNEL MANAGEMENT

Manana Samadashvili
GTU, Associate Professor

Resume

Conflict involves a defiance between the opposed forces, clashes between their interests and views.

Studying and solving the conflict depends on both theoretical and methodical approaches which should be chosen correctly. Forthcoming results greatly depend on conflict management. People don't often take the problem serious so they don't take any measures to eliminate the conflict. This is directly reflected on the efficiency of their work.

Conflict in the organization is the consequence of a non-efficient work or bad management. It should be immediately solved using the structural methods.

The process of conflict solution involves: analysis and evaluation of the situation, selecting the strategy for a conflict solution, elaborating a plan of arrangement and realization.

The elimination of the conflict depends on how the opposing side takes into consideration the factors defining the conflict solution.

Thus, the effective management of conflict process defines the conflict results (constructive and destructive) that can give rise to another conflict or eliminate the causes of the conflict.

Key words: Conflict management, Structural methods*, Organizational conflict, Conflict Types, Behavioral Strategies* .

ეკონომიკური ინტერესები და მათი როლი კორპორაციულ ურთიერთობებში

თამარ კილაძე
სტუ-ს პროფესორი
იულია თედეევი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე. სტატიაში განხილულია ეკონომიკური მოთხოვნილებებისა და ინტერესთა ურთიერთკავშირი, სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური ინტერესები, მათი იერარქია და შეთანხმების სპეციფიკა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული და საბაზრო ეკონომიკის პირობებში. იმდენად, რამდენადაც ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედება ხორციელდება საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ეტაპზე, სწორედ აქედან გამომდინარეობს მათი ოპტიმალური შეთანხმების ამოცანა.

ნებისმიერ კომპანიაში შიდასამეურნეო კავშირები წარმოშობს ჯგუფურ და ჯგუფთაშორის ინტერესებს, ამიტომ განხილულია კორპორაციული ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესების თავისებურებები კორპორაციის მესაკუთრეებისა და დაქირავებული მენეჯერების პოზიციიდან. ყურადღება გამახვილებულია "მესაკუთრე-აგენტის" პრობლემაზე, რომელიც კორპორაციული ურთიერთობების სფეროს განუყოფელი ნაწილია. მენეჯერ-აგენტების საქმიანობა აქციონერთა კეთილდღეობის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს, თუმცა პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით საპირისპირო ქმედებებს.

ორგანიზაციაში ინტერესთა შეუთანხმებლობას საბოლოოდ მის ჩამოშლამდე მივყავართ, ამიტომ, წარმატებული საქმიანობისა და წინსვლისათვის საჭიროა, რომ ის კორპორაციული კონფლიქტის მდგომარეობიდან გადავიდეს ინტერესთა ბალანსის დამყარების მდგომარეობამდე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ინტერესი; საზოგადოებრივი მოთხოვნილებები; სამეურნეო სუბიექტები; საბაზრო ეკო-

ნომიკა; კორპორაციული ურთიერთობები; აქციონერი; მენეჯერი; ინოვაციური მიმზიდველობა; ინტერესთა ბალანსი.

შესავალი. ადამიანთა ქცევა შეზღუდული რესურსებისა და უსაზღვრო მოთხოვნილებების პირობებში წარმოშობს ეკონომიკური ადამიანის მცნებას, ანუ ისეთი ადამიანის, რომელსაც აქვს მისწრაფება მიიღოს მაქსიმალური შედეგი მინიმალური დანახარჯებით. ეკონომიკური ინტერესები - ესაა იმ ეკონომიკური საქმიანობის მამოძრავებელი მოტივები, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთა მისწრაფებასთან, დაიკმაყოფილონ მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. ეს კი განსაზღვრავს მათი ქცევის მოტივაციას და უბიძგებს მიზანმიმართული ქმედებისკენ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრიორიტეტულია პირადი ინტერესები, როგორც ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის სტიმული. ეკონომიკური ინტერესების სტრუქტურაში დამსაქმებელთა და დაქირავებული თანამშრომლების ეკონომიკურ ინტერესებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ძირითადი ნაწილი. ნებისმიერი საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობები დაფუძნებულია ეკონომიკურ ინტერესებზე. ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფაზე დამოკიდებულია არა მხოლოდ წარმოების განვითარება, არამედ საზოგადოების სოციალური წონასწორობა და სტაბილურობა.

ადამიანთა ეკონომიკური ინტერესები მათი სამეწარმეო საქმიანობის მამოძრავებელი ძალაა. ამ საქმიანობის პროცესში ისწრაფიან, მოახდინონ თავიანთი ინტერესების რეალიზება, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება მათ მოთხოვნილებებს, თუმცა განსხვავდება მათგან.

არსებულ რეალობაში მოთხოვნილებები იღებენ ინტერესთა კონკრეტულ ფორმას (ნახ.1).

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი მდგენელია. ის ხორციელდება პროდუქციისა და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების

ნახ.1. მოთხოვნილებათა და ინტერესთა ურთიერთკავშირი



პროცესში ანუ საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ეტაპზე. სწორედ აქედან გამომდინარეობს ამოცანა, რომ მოხდეს მათი ოპტიმალური შეთანხმება-ჰარმონიზაცია [1].

სამეურნეო სუბიექტები სპეციფიკური ეკონომიკური ინტერესების გამომხატველად გვევლინება:

- საოჯახო მეურნეობების ეკონომიკური ინტერესები მიმართულია საერთო სარგებლიანობის მაქსიმიზაციისკენ არსებული ფასებისა და შემოსავლების გათვალისწინებით;

- მეწარმეთა ეკონომიკური ინტერესები მიმართულია მოგების გაზრდისკენ, დანახარჯების შემცირებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენ;

- სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესები მიმართულია მთლიანად საზოგადოების საჭიროებათა რეალიზაციისკენ;

არსებობს ეკონომიკური ინტერესების გაერთიანების სხვადასხვა გზა:

- ერთი ეკონომიკური ინერესების სხვებისადმი სუბორდინალური დამოკიდებულება;

- ყველა ეკონომიკური სუბიექტის მრავალფეროვანი ინტერესების კოორდინირებული შეთანხმება.

ეკონომიკური სუბიექტების ინტერესთა შეთანხმებისა და პრიორიტეტულობის პრობლემა დისკუსიის თემად რჩება. მათი შეთანხმების მექანიზმი განისაზღვრება ეკონომიკური სისტემის არსით.

ნახ. 2. ეკონომიკური სუბიექტების ინტერესთა იერარქია მბრძანებლურ- ადმინისტრაციულ სისტემებში.



მბრძანებლური ეკონომიკა ხასიათდება ეკონომიკური ინტერესების მკაცრი სუბორდინაციით (ნახ. 2). სახელმწიფო ინტერესი პრიორიტეტული და აბსოლუტიზირებულია, გაიგივებულია საზოგადოებრივ ინტერესთან და უპირისპირდება ჯგუფურ და პირად ინტერესებს. ამასთანავე, ინტერესთა სუბორდინაცია და დაქვემდებარება უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული დირექტიული დაგეგმვით და იდეოლოგიური პროპაგანდით. ასეთი ეკონომიკის პირობებში ხდება ეკონომიკური ინტერესების სისტემის არამდგრადობა:

- ეკონომიკური სუბიექტების მოტივაციური ქცევის დამახინჯება;
- მოთხოვნილებათა მასტიმულირებელი როლის დაქვეითება;
- მაღალეფექტიანი შრომისათვის სტიმულებისა და პასუხისმგებლობის დაქვეითება;
- მოსახლეობის შრომითი ღირებულებებისა და სოციალური განწყობის დაკარგვა;
- სხვის კმაყოფაზე ყოფნისა და სახელმწიფოზე ეკონომიკური დამოკიდებულების ფსიქოლოგიის განვითარება.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისგან განსხვავებით საბაზრო ეკონომიკაში დომინირებს მომხმარებლის ინტერესი. წამყვანი დასავლური ქვეყნების წარმატებული განვითარების

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ინტერესთა არა სუბორდინაცია, არამედ კოორდინაცია ყველაზე ეფექტური საშუალებაა მათი შეთანხმებისა და რეალიზაციისათვის (ნახ. 3).

ნახ. 3. საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკური სუბიექტების ინტერესთა კოორდინაცია.



თავისუფალი ეკონომიკისა და კონკურენციის პირობებში ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ეკონომიკური ინტერესების ერთიანი სისტემის ფორმირების წინაპირობა იქმნება.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ევოლუციის პროცესი სოციალურად ორიენტირებული და რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე ქმნის წინაპირობას სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესთა სისტემის კოორდინაციისა და ჰარმონიული განვითარებისთვის. ამასთან, ეკონომიკური ცხოვრების კორპორატიზაცია მესაკუთრეების, მენეჯერებისა და დაქირავებული თანამშრომლების ეკონომიკური ინტერესების შეთანხმების პრობლემას წარმოშობს [2]

კორპორაციულ ურთიერთობებში არსებობს ინტერეთა ფართო სპექტრი, რომლებიც ყოველთვის პერსონიფიცირებულია. ესა — გენერალური დირექტორის, მენეჯერების, აქციონერების ინტერესები. ზოგიერთ შემთხვევებში განიხილება სტეიკჰოლდერთა (სხვა დაინტერესებული პირების) ინტერესების ზეგავლენა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ჯგუფებშიც ინტერესები არაერთგვაროვანია, თითოეული ჯგუფის შიგნით არის ინტერესთა თავისი სპექტრი და ყოველთვის არსებობს ამ ინტერესთა სუბიექტები. გარდა ამისა, ნებისმიერ კომპანიაში შედასამეურნეო კავშირები ასევე წარმოშობს

ჯგუფურ ინტერესებს და ჯგუფთაშორის ურთიერთობებს. მაგ., სამუშაოს და რესურსების ცენტრალიზებული დანაწილების დროს მიდის შინაგანი ბრძოლა არა მხოლოდ რესურსებისთვის, არამედ უფლებებისა და ვალდებულებებისთვის [3. გვ.83].

კორპორაციის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურთიერთობები აქციონერებსა და მენეჯერებს შორის — კორპორაციული ურთიერთობები. სწორედ კორპორაციული ურთიერთობების მდგომარეობაზეა დამოკიდებული საწარმოს არსებობა, მისი განვითარების მიმართულების არჩევა. ამიტომ გვევლინება კორპორაციული ურთიერთობები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად საწარმოს წარმატებული საქმიანობისა.

იმისდა მიხედვით, თუ რას წარმოადგენს კორპორაციული ურთიერთობები, ბაზრის ბევრი სუბიექტი — თავისუფალი ფულადი სახსრების მფლობელები აკეთებენ თავიანთ არჩევანს საინვესტიციო ობიექტების მიმართ. ეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება საინვესტიციო რესურსების შეზღუდულობის პირობებში. საფონდო ბირჟებზე გასვლა, აქციების საჯაროდ განთავსება, შერწყმის, შთანთქმის, ბიზნესის ყიდვა-გაყიდვის პროცესების აქტივიზაცია, ჯგუფური ინვესტიციების ბაზრის განვითარება, კერძო ინვესტორების როლის გაზრდა – ყოველივე ეს უბიძგებს კორპორაციას, გაზარდოს ინვესტიციური მიმზიდველობა, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტთაგანია კორპორაციული ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესების დაცვა. იმის გაცნობიერება, რომ ინტერესთა კონფლიქტი ანგრევს ფირმას, მივყავართ იქამდე, რომ საწარმო კორპორაციული კონფლიქტის მდგომარეობიდან გადადის ინტერესთა ბალანსის დამყარებამდე.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია — მესაკუთრეთა ჩამოშორება კორპორაციის ოპერატიული მართვის სადავეებიდან. ხდება ფლობისა და მართვის ფუნქციების თანაბარი გადანაწილება.

აქციონერებისა და მენეჯერების საბაზო ინტერესების განსაზღვრისა და მათი შეფასების სხვადასხვა მიდგომა არსებობს. კორპორაციული ურთიერთობების შეთანხმების ძირითადი პრობლემაა საწარმოს მფლობელებისა და მათ მიერ დაქირავებული მენეჯერების ფინანსური და სხვა სახის ინტერესთა ფართო სპექტრი.

საწარმოს კორპორაციული ფორმა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, კორპორაციის ფლობასა და მართვაში ფუნქციათა დანაწილებას. სწორედ კომპანიის მესაკუთრეებსა და მენეჯმენტს შორის ურთიერთობები გვევლინება კორპორაციული მართვის განმსაზღვრელ ნიშნად. როდესაც საწარმოს ქვეგანყოფილებებს და მათ ხელმძღვანელებს გადასცემენ ფართო უფლებამოსილებებს, ჩნდება პრობლემა პირადი ინტერესების შეთავსებისა კორპორაციულ ინტერესებთან. მართვის ზედა დონის ინტერესები უფრო დაბალი დონის ინტერესებთან ყოველთვის არ არის თავსებადი. თანამედროვე კორპორაციებში მესაკუთრეთა და მმართველთა განცალკევებას მივყავართ "მესაკუთრე-აგენტის" პრობლემამდე, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ აქციონერები განიხლებიან მეპატრონეებად, რომლებიც ქირაობენ მენეჯერ-აგენტებს. აგენტის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს აქციონერთა კეთილდღეობის ამაღლებისკენ, რაც გამოიხატება, მაგალითად, კომპანიის ღირებულების გაზრდაში. პრაქტიკაში მენეჯერთა ძალისხმევა ყოველთვის არაა მიმართული აქციონერთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ. ეს ძირითადად დაკავშირებულია ისეთ ალტერნატიულ გადაწყვეტილებებთან, რომელთაგან ერთნი უზრუნველყოფენ სწრაფ მოგებას, მეორენი ატარებენ გრძელვადიან ხასიათს.

კორპორაციულ მართვაში ინტერესთა შეუთავსებლობა იმალება ფირმის აღმასრულებელი ორგანოს წევრების პირადი დაინტერესების მიღმა. ამ დაინტერესებას შეიძლება ჰქონდეს დადებითი ხასიათიც.

უმაღლესი დონის მენეჯერები უპირატესობას ანიჭებენ, მართონ მსხვილი ფირმები ან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. აქედან გამომდინარე, ისწრაფიან, მოგების დიდი ნაწილი დატოვონ საწარმოს განკარგულებაში და არ გადაუხადონ დივიდენდები მის მფლობელებს, რაც შეიძლება არ აწყობდეთ აქციონერებს. ანდაც, მაგალითად, პერსონალის სოციალურ დაცვაზე ზრუნვა და სურვილი, იმუშაონ მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებთან, მენეჯერს უბიძგებს გაზარდოს კომპანიის დანახარჯები და ამასთან დაკავშირებით შეამციროს მოგება და ა.შ. თუმცა ამ

ღონისძიებებს, რომლებიც არაა მომგებიანი მფლობელებისთვის მოკლევადიან პერსპექტივაში და არაერთგვაროვნად აღიქვამენ, ხშირად მივყავართ ეფექტიანობის ზრდისკენ გრძელვადიან პერსპექტივაში, საბოლოოდ კი, კომპანიის ღირებულების ზრდისა და აქციონერთა კეთილდღეობისკენ. ამასთან, ამგვარი ქმედებები არ აყენებენ პირდაპირ ზარალს მესაკუთრეებს, რადგანაც დივიდენდების მიუღებლობის შემთხვევაში თავიანთი კეთილდღეობა მათ შეუძლიათ გაზარდონ ბიზნესის კაპიტალიზაციის ზრდით.

მენეჯერთა დაჯილდოების ძირითადი ფორმა, როგორც წესი, არის ხელფასი. დაჯილდოების სხვა ფორმებს მათთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ამიტომ კორპორაციის მენეჯერები ცდილობენ გაიხანგრძლივონ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ისინი მიიღებენ გარანტირებულ შემოსავალს. ამისთვის ისინი ცდილობენ უზრუნველყონ კომპანიის მდგრადობა და მინიმუმამდე დაიყვანონ გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოშობის საშიშროება. აქციონერთა ინტერესები ხომ მრავალფეროვანია და ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ მაღალშემოსავლიან პროექტებში, რომლებიც დაკავშირებულია მაღალ რისკებთან, იმდენად, რამდენადაც ახდენენ თავიანთი დაბანდებების დივერსიფიცირებას რამდენიმე კომპანიაში.

კორპორაციის მართვაში არსებობს ასევე მენეჯერთა ნეგატიური დაინტერესება. ეს შეიძლება გამოვლინდეს მაგალითად, აქციონერთა საკუთრების მითვისებაში, ნათესავთა დასაქმებაში, ქრთამის აღებაში რომელიმე გადაწყვეტილების მხარდაჭერის სანაცვლოდ, პირად გამდიდრებაში, ფირმის საქმიანობის შედეგებზე არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში ან დამალვაში და ა.შ. ბევრი ჩამოთვლილი ქმედება კანონდარღვევაა, თუმცა როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი რამ ხშირად ხდება ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც მენეჯმენტის მყარი ტრადიციებია, რომ აღარაფერი ვთქვათ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაზე.

ჩვეულებრივ, პრობლემა "მესაკუთრე-აგენტი" სპეციალისტების მიერ განიხილება ძირითადად სამართლებრივ ჭრილში და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტასაც იქვე გვთავაზობენ. უდაოდ, სამართლებრივი ფაქტორები არის კორპორაციის არსებობისა და

ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი პირობა, მაგრამ აქციონერთა უფლებების დაცვა სრულად ვერ დააკმაყოფილებს მათ ინტერესებს, რადგანაც პირდაპირ არ ზრდის მათ კეთილდღეობას. ინვესტორთა უფლებების დაცვამ და მათმა წვდომამ ინფორმაციაზე შეიძლება არც კი მიგვიყვანოს კომპანიის ღირებულებისა და ეფექტიანობის გაზრდამდე. ეს კი ნიშნავს, შემოსავლიანობის პოზიციიდან დაბადნებები არ დააინტერესებს კერძო ინვესტორს. კაპიტალის ძირითადი თვისება – მოუტანოს შემოსავალი მის მფლობელს – უნდა იყოს საბაზო კორპორაციული ურთიერთობების რეგულირებისას.

მიუხედავად ყველა კოლიზიისა კორპორაციის მესაკუთრეებსა და დაქირავებულ მენეჯერებს შორის, არსებობს პირობა, რომელიც აიძულებს უკანასკნელთ, ნაწილობრივ მაინც იმოქმედონ მესაკუთრეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი პირობაა ე.წ. "მკაცრი ფინანსური შეზღუდვა", რაც ნიშნავს, რომ კომპანიას ვერ ექნება იმედი ნებისმიერი სასურველი მოცულობის ფინანსური რესურსების მოზიდვისა. რესურსების მოზიდვა განპირობებულია კონრაგენტების მხრიდან სრულიად განსაზღვრული მოთხოვნებით. მენეჯერებმა უნდა შეასრულონ ეს მოთხოვნები, თორემ ფირმას ელოდება სანქციები, რაც მიუღებელია მესაკუთრეთათვის. მენეჯერებმა ეს მხედველობაში უნდა მიიღონ [4. გვ.39].

"მესაკუთრე-აგენტის" პრობლემა კორპორაციული ურთიერთობების სფეროს განუყოფელი ნაწილია, ამიტომ კორპორაციული მართვა წარმოადგენს მენეჯერთა და აქციონერთა ურთიერთდაინტერესების შეთანხმების სისტემას, ეს კი განაპირობებს ფირმის წარმატებულ ფუნქციონირებას. ინტერესთა შეთანხმების პროცედურები უნდა იყოს ღია და გასაგები დაინტერესებული ჯგუფისთვის, რაც მას საშუალებას მისცემს ჩამოაყალიბოს თავისი დაინტერესება კორპორაციის მიმართ. კორპორაციული ბიზნესის გამჭვირვალობა, მკაცრი კონკურენტული ბრძოლის პირობებშიც კი, საბოლოოდ მას მრავალ პოტენციურ ინვესტორს შორის გაფანტული მნიშვნელოვანი საინვესტიციო რესურსების აკუმულირების საშუალებას მისცემს.

კორპორაციის აქციონერთა წინაშე მენეჯერთა პასუხისმგებლობის გაზრდა მკაცრი ფინანსური შეზღუდულობის პირობებში

შესაძლებელია შიდაკორპორაციული კონტროლის მექანიზმის სრულყოფის გზით.

დასკვნა: საწარმოო ურთიერთობათა ევოლუციის პროცესს "დაქირავებული-დამქირავებელის" ეკონომიკური ინტერესების წინააღმდეგობრიობის პრობლემის გადაწყვეტამდე მივყავართ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოების საშუალებების მფლობელთა ეკონომიკური ინტერესები მდგომარეობს მათი გამოყენების ეფექტიანობაში. დაქირავებული თანამშრომლების ეკონომიკური ინტერესი გამოიხატება მათი შემოსავლების მაქსიმიზაციაში, უპირველეს ყოვლისა, ხელფასის გაზრდაში.

კორპორაციული კონფლიქტის პირობებში საწარმო ინვესტორებისთვისაც კარგავს ნდობას და მიმზიდველობას, ამიტომ აქციონერებსა და მენეჯერებს შორის არსებული ურთიერთობების სტაბილიზაცია და ინტერესების შეთანხმება კორპორაციის განვითარების წინაპირობად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://abc.informbureau.com/html/eioadanu_nioeaeuii-yeiiiiexane.html

2. http://pidruchniki.com/15941024/politekonomiya/ekonomicheskie_interesy

3. Грекова Г. И. Баланс интересов участников корпоративного управления // Вестн. Но вг. гос. ун-та. №67, 2012.

4. Соблюдение баланса интересов как ключевой фактор роста рыночной стоимости предприятия. Тонких А.С., Ионов А.В. Журнал "Корпоративные финансы" №3(11), 2009.

REFERENCES

1. http://abc.informbureau.com/html/eioadanu_nioeaeuii-yeiiiiexane.html

2. http://pidruchniki.com/15941024/politekonomiya/ekonomicheskie_interesy

3. Grekova G.I. Balance of the interests of participants of corporate governance / / Bulletin of the Novgorod State University after Yaroslav

the Wise. A series of economic sciences . - Novgorod - 2012 . - № 67. (In Russian Language)

4. Balance of interests as a key factor of growth of the market value of the company Tonkikh A.S., Ionov A.B. Journal of Finance "Corporation Finance" №3(11), 2009. (In Russian Language)

ECONOMIC INTERESTS AND THEIR ROLE IN CORPORATE RELATIONS

Tamar Kiladze
GTU, Professor
Iulia Tedeevi
GTU, PHD Student

Resume

The article discusses the relationship between economic needs and interests, economic interests of business entities, their hierarchy and the specifics in overbearing and administrative market conditions. As the interaction of economic interests is implemented at all stages of industrial and economic relations it follows the task of an optimal agreement.

In any company the internal economic ties generate the interests in groups and between groups. Therefore, the interests of participants of corporate governance are discussed from the position of corporation's owners and hired managers. The attention is paid to the "owner-agent" problem, which is an integral part of the corporate relations. The manager-agents' activity should serve to shareholders' well being, however, in practice, we often see the opposite actions. The disagreement of interests leads to the collapse of the organization, so for successful activities and progress it is needed to move from the condition of the corporate conflict to the balance of interests.

Key words: Economic interest; social needs; agricultural entities; market economy, corporate relations; shareholders; manager; attraction of innovation; the balance of interests.

ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მეთოდები პერსონალის მართვის პროცესში

მანანა სამადაშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი
ეკატერინე გობეჯიშვილი
სტუ აკადემიური დოქტორი

რეზიუმე. ბიზნესმა უნდა მისცეს მიმართულება ხელმძღვანელობის განვითარების პროცესს. იგი ასევე უნდა წყვეტდეს, თუ როგორი განვითარების მქონე მენეჯერებია საჭირო სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, როგორ მოიპოვონ და განავითარონ მენეჯერები. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ყურადღება თვითგანვითარებაზეა გამახვილებული, მიმართულების მიცემა და მისი განვითარების გზა უნდა იყოს ბიზნესის მიერ მითითებული.

ნაშრომში განხილულია ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მეთოდები (ოფიციალური და არაოფიციალური), კომპეტენტურობაზე დაფუძნებული კვალიფიკაციის ამაღლების სტრატეგია.

ორგანიზაციის უნარი განავითაროს და შეასრულოს თავისი ბიზნეს სტრატეგია ბიზნესის წარმატების ძირითადი ფაქტორების ფონზე(როგორიცაა სიახლე, ხარისხი, ხელმძღვანელობა და ა.შ.) მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ორგანიზაციაში მისი მენეჯერის განვითარებაზე, რაც განპირობებულია ბიზნესის გარკვეული მოთხოვნებისა და პირობების დაკმაყოფილების გზით.

მექანიკური ან ტრადიციული ბიუროკრატიული ტიპის ორგანიზაცია განიხილავს წინასწარ დაპროგრამებულ მეთოდს, რომელიც შეიცავს შედეგებზე ორიენტირებულ შემოწმების სისტემას, უამრავ კურსებს, რეზერვებს, განახლების სქემებს და ა.შ. ხოლო ორგანული ტიპის ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია სიახლეების დანერგვაზე, გამოიყენებს მეთოდს, რომელიც მეტ ყურადღებას მიაქცევს მენეჯერებისთვის საჭირო შესაძლებლობების განვითარებას, მათთვის რეკომენდაციებით და შესაძლო

პერსპექტივებით უზრუნველყოფას.

შესავალი. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განაპირობებს ადამიანური რესურსების მართვის პროცესში ინოვაციების შემოტანას.ᲐᲠორგანიზაციის ამოცანების შესაბამისი სიახლეების დანერგვა მოითხოვს ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას მათი კვალიფიკაციის ამაღლების საფუძველზე.

მოწინავე ორგანიზაციები ცდილობენ, თავიანთ პერსონალს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი თვითრეალიზაციაში. ხელშეწყობა კვალიფიკაციის ამაღლებაში, მოწინავე მომუშავეთა სამსახურეობრივი დაწინაურება ამ უკანასკნელთა უნარისა და კვალიფიკაციის შესაბამისად წარმოადგენს იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელსაც ისინი ახორციელებენ თავიანთ მომუშავეთა მიმართ, რადგან კომპეტენტურობა და ცოდნა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტს პერსონალის მართვის პროცესში.

მაღალგანვითარებული ქვეყნების უმეტესი ფირმები ასევე ახდენენ თავიანთი პერსონალის სამსახურებრივი გადაადგილების რეგისტრაციას, რადგან იგი იძლევა საშუალებას, კანდიდატთა ჩვევები და პროფესიული მომზადების დონე ღიად, სამართლიანად და ეფექტიანად შეუსაბამონ სამსახურებრივ გადაადგილებას.

დირექტორთა საბჭოს წევრები, კორპორაციებისა და სხვათა პრეზიდენტები, ვიცე-პრეზიდენტები და ტოპ-მენეჯერები უმაღლეს ხელმძღვანელობას მიეკუთვნებიან. ისინი წარმოადგენენ ორგანიზაციის სახეს სახელმწიფო ორგანოებთან, პარტნიორებთან და სხვა გარე ორგანიზაციებთან მიმართებაში.

მათი ძირითადი ფუნქციაა ორგანიზაციის მისიის, ფასეულობის, პოლიტიკის, მართვის სტრუქტურისა და სისტემის ფორმულირება.

ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულება საკმაოდ რთული და მრავალმხრივი პროცესია. Aუცილებელია ყოველმხრივი ცოდნა და ანალიტიკური უნარი. ამ დონის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ კარგი პოლიტიკოსები, პუბლიცისტები და ორატორები.

საკვანძო სიტყვები: ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ოფიციალური და არაოფიციალური მეთოდები,

მენეჯერი, ხელმძღვანელთა ტიპები, თვითგანვითარება, ბიზნეს სტრატეგია.

ძირითადი ნაწილი. ხელმძღვანელ თანამდებობაზე არჩეული ადამიანი წარმართავს და კოორდინაციას უწევს მის ქვეშ დაქვემდებარებულ პერსონალის საქმიანობას, ხელმძღვანელის შრომა წარმოადგენს შემოქმედებითი საქმიანობის განსაკუთრბულ სახეს, რომელიც ორგანიზაციული ხასიათისაა. ისინი ვალდებულებას იღებენ ისეთი პრაქტიკული ფუნქციებს განხორციელებაზე , როგორიცაა: ამოცანათა დასმა, დაგეგმვა, ინსტრუქტაჟი, კონტროლი, შეფასება, მოტივაცია, ორგანიზაცია, პირადი მაგალითის დემონსტრირება.

ხელმძღვანელის თავისებურებებს განეკუთვნება:

• რეალური ძალაუფლება ;

• მისი ქმედებების შეფასება ხდება მისდამი დაქვემდებარებული პერსონალის მიერ;

• სამართლიანობა უნდა წარმოადგენდეს მის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს.

ორგანიზაციაში დაქვემდებარებულთა მართვის მიხედვით შეიძლება განვიხილოთ ხელმძღვანელთა სამი ტიპი: დაბალი, საშუალო და უმაღლესი. მათ შორის განსხვავება არებობს ძირითად ფუნქციებში, კონტაქტების ფორმებში, საქმიანობის საშუალებებში, უფლებამოსილებებში და შესაძლებლობების მოცულობაში.

მართვის ქვედა რგოლის ხაზობრივი ხელმძღვანელები (ოსტატი, უბნის ხელმძღვანელი და სხვ.) დროებით ხელმძღვანელების ფუნქციებს ასრულებენ. პარალელურად მიმდინარეობს მათი სწავლება კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. ჯკურსების დამთავრების საფუძველზე წარმოებს მათი მეორადი შერჩევა და ტესტირება. წარმატების შემთხვევაში სთავაზობენ ხელმძღვანელის შესაბამის ვაკანტური თანამდებობების დაკავებას.

საშუალო რგოლის ხელმძღვანელებთან მუშაობის პროცესში ახალგაზრდა უკვე ფორმირებულ ჯგუფთან ერთად მუშაობენ საამქროების მოქმედი პერსპექტიული უფროსები. ინდივიდუ-

ალური გეგმებით მიმდინარეობს მათი მუშაობა. უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელებისაგან ენიშნებათ უფროსი საშუალო რგოლის თითოეულ დანიშნულ ხელმძღვანელს. პერსონალის მართვის სამსახურის სპეციალისტებთან ერთად ისინი ადგენენ პრეტენდენტთა მუშაობის ინდივიდუალურ გეგმას. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხების შესწავლა, როგორიცაა: საფინანსო-საბანკო მენეჯმენტი, საქმიანი ურთიერთობები, იურისპრუდენცია და ა.შ. ამ ეტაპზე ასევე გათვალისწინებულია საშუალო რგოლის ხაზობრივ ხელმძღვანელთა ტრეინინგი სხვადასხვა წამყვან ორგანიზაციებში. პროფესიონალური ჩვევების შესამოწმებლად ტარდება საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა ტესტირება, რის შედეგადაც გამოვლინდება მათ მიერ კოლექტივის ხელმძღვანელობისა და რთული საწარმოო ამოცანების გადაწყვეტის უნარი. ამ პროცესის შემდეგ განიხილავენ ხელმძღვანელის დაწინაურების საკითხს ახალ თანამდებობაზე.

უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელის თანამდებობაზე პესონალის დანიშვნა მოითხოვს ისეთი კანდიდატის შერჩევას, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ მრავალ მოთხოვნას. უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელმა კარგად უნდა იცოდეს ორგანიზაციის მთლიანი მუშაობის პროცესი, რომელშიც ის მუშაობს. მას უნდა ქონდეს ძირითად ფუნქციურ ქვესისტემებში მუშაობის გამოცდილება. კარგად უნდა შეეძლოს გარკვევა წარმოებრივ, ფინანსურ და საკადრო საკითხებში, ასევე ექსტრემალურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციებშიც. ორგანიზაციის ერთი ქვედანაყოფიდან მეორე ქვედანაყოფში გადაყვანა უნდა წარმოებდეს მართვის ქვედა და საშუალო რგოლებში ხელმძღვანელად მუშაობის დროს. უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩევა უნდა მოხდეს კონკურსის წესით, ეს უნდა განხორციელდეს ორგანიზაციის, ფილიალების დირექტორების, მთავარი სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისის მიერ, ასევე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამონაწილეობით.[2]

ჰარისონის (1992) აზრით არსებობს ხელმძღვანელობის განვითარების სამი მნიშვნელოვანი პროცესი:

• ხელმძღვანელობის მოთხოვნის გაანალიზება;
• პოტენციური უნარის შეფასება;
• პოლიტიკის, სტრატეგიისა და გეგმების შემუშავება

ახალი სტრატეგიებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გამო აუცილებელია ჩატარდეს მენეჯერების კომპეტენტურობის და უნარების ანალიზი მომავალი მოთხოვნების შესაბამისად.

უნდა დადგინდეს ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც ქმნიან ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს. ამით პერსონალის მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს და ტოპ-მენეჯერებს ეძლევათ საშუალება შეაფასონ და გაუკეთონ ანალიზი ორგანიზაციაში არსებულ მდგომარეობას.

ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ოფიციალური მეთოდი მოიცავს:

• კვალიფიკაციის ამაღლება მუშაობის პროცესში რჩევის, მონიტორინგის, დახმარების, უკუკავშირის საშუალებით;

• კვალიფიკაციის ამაღლება შრომითი გამოცდილებით, როგორიცაა მონაწილეობის მიღება საპროექტო და მიზნობრივ ჯგუფებში, სამუშაოს შეცვლა, ტექნოლოგიური პროცესების გამსხვილება და სხვა;

• კვალიფიკაციის ამაღლება კვალიფიკაციის ამაღლების შიდა და გარე კურსების მეშვეობით;

• თვითგანვითარება - კვალიფიკაციის ამაღლება ტოპ-მენეჯერთან შეთანხმებული პირადი განვითარების გეგმის ან სასწავლო კონტრაქტის საშუალებით, მაგ. შერჩეული კითხვა, ცოდნის გაფართოება ან სამუშაოზე ახალი უნარის ათვისება

ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ოფიციალური მიდგომა ეფუძნება განვითარების მოთხოვნილებათა დადგენას, მწარმოებლურობის მართვისა და განვითარების ცენტრების მეშვეობით. მიდგომა იგება იმ ზოგადი და ძირითადი კომპეტენტურობის გარშემო, რომელიც მიჩნეული იყო მენეჯერებისათვის შესაფერისად იმ ორგანიზაციაში.

არაოფიციალური მეთოდები ეფუძნება მენეჯერების მიერ ყოველდღიური საქმიანობიდან მიღებულ გამოცდილებას, როგორიცაა უჩვეულო პრობლემები, მათთვის უცნობი დავალება, ან

სხვა სამუშაოზე გადასვლა.[1]

ხელმძღვანელობის კვალიფიკაციის ამაღლების სტრატეგია ეფუძნება ორგანიზაციაში ბიზნესის გეგმების თანახმად მომავალი ხელმძღვანელი კადრებით მოთხოვნის უზრუნველყოფას. სტრატეგიის ოპტიმალური მონაცემების დადგენა კი განისაზღვრება ბიზნესის ცვალებადი გარემო პირობების, ბაზრის განვითარების შესაძლებლობების, კონკურენტული ორგანიზაციის ამოცანების, ასევე მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლით.

დასკვნა. კომპეტენტური პერსონალის მუშაობა ორგანიზაციაში მისი ეფექტურობის გარანტიაა. არსებული და მომავალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ხელმძღვანელობის კვალიფიკაციის ამაღლება, რაც ხელს უწყობს ბიზნესის წარმატებას, იძლევა განვითარების ახალ შესაძლებლობებს. კვალიფიკაციის ამაღლების პროცესები, შესაძლოა, იყოს ვადამდელი (ამდენად, მენეჯერებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ გრძელვადიან ამოცანებს), რეაქტიული - გამიზნული მწარმოებლურობის სირთულეების გადასაჭრელად, ან მოტივაციური (ცალკეული პიროვნებების კარიერისკენ სწრაფვა).

კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის წარმატებას განაპირობებს ყველა დონის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა. ორგანიზაციის ეფექტურად ფუნქციონირებას ხელს უწყობს ნებისმიერი დონის მენეჯერის წარმატებით გავლილი კვალიფიკაციის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არმსტრონგი მ. ადამიანური რესურსების მართვა. საგანმანათლებლო მთარგმნელობითი და საგამომცემლო ცენტრი. შპს"მაუსი". თბილისი 2002

2. პაიჭაძე ნ. პერსონალის მართვა. თსუ თბილისი. 2003

3. Susan E. Jackson., Randall S. Schuler., Werner St. Managing Human Resources. South-Western Cengage Learning., 2009

REFERENCES

1. Armstrong M., Human Resource Management Practice, Educational Center for Translation and Publishing, Ltd. “Mouse” ,Tb. 2002(In Georgian Language) .

2. Paichadze N., Personnel Management, TSU., Tb., 2003(In Georgian Language) .

3. Susan E. Jackson., Randall S. Schuler., Werner St. Managing Human Resources. South-Western Cengage Learning., 2009

THE TRAINING METHODS FOR IMPROVING TOP-LEVEL MANAGERS’ SKILLS IN THE PROCESS OF PERSONNEL MANAGEMENT

Manana Samadashvili
GTU, Associate Professor
Ekaterine Gobejishvili
GTU, PHD Doctor

Resume

Business must direct the process of a manager’s professional development. It should also decide what kind of qualification the manager should have in order to achieve strategic aims, how to select managers and help them develop their career. Even in case of self-development business should give directions and indicate the ways of development.

The article considers the basic methods of personnel qualification improvement (official and non-official), as well as the competence based on a qualification improvement strategy.

The organizational skills to develop and fulfil its business strategy, in the light of main factors for business success, greatly depend on the manager’s abilities. The business success is based on innovations, quali-

ties and leadership. All this is stipulated by the certain business requirements and conditions.

The mechanic or traditional bureaucratic type of organization considers the programmed method, which is created beforehand. This program includes the result-oriented checking system, a lot of courses, renovation schemes, etc. As for the organic type of organization which is oriented on the introduction of innovations, uses the methods of paying more attention to the managers' skills development, supplying them with recommendations and probable prospects.

Key words: Methods for improving the Qualifications (official, non-official), Manager, Managers' Types, Self –development.

ინდუსტრიალიზაციის პროცესების გავლენა ტრანზიციული ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის განვითარებაზე

გიორგი ხიდეშელი
გოჩა ლობჟანიძე
გუგა ბერძენიშვილი
თსუ, სტუდენტები

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისმა წევრმა თუ სატელიტმა ქვეყნებმა დაიწყეს გეგმიურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, კაპიტალისტური შეხედულებების გააზრების გარეშე ეფექტურად ვერ განხორციელდებოდა. აბსოლუტურად ყველა სოციალისტური ქვეყანა ეკონომიკური კრიზისების წინაშე აღმოჩნდა, არ არსებობდა არანაირი გამოცდილება თუ როგორ უნდა მომხდარიყო ერთი ეკონომიკური მოდელიდან მეორეზე უმტკივნეულო გადასვლა. მათი უმეტესობა ცდილობდა ერთგვარი შოკური თერაპიების გახორციელებით თანდათანობით განეხორციელებინა რეფორმები ეკონომიკის სფეროში. აქვე ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ცვლილებების განხორციელება აუცილებელი იყო ასევე პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებშიც, რადგან მათი რეფორმირების გარეშე მხოლოდ ეკონომიკური დაწინაურება წარმოუდგენელი იქნებოდა.

საჭირო იყო ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას შეუწყობდნენ ხელს. ასეთებად კი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მოიაზრებოდა. ჩვენი თემის მიზნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთ-ერთ

მათგანს შევეხებით და შევეცდებით მიმოვიხილოთ თუ როგორ მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაციის პროცესები პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, რა პრობლემების გადალახვა მოუწიათ და სწორი პოლიტიკის გატარებით რა შედეგებს მიაღწიეს.

ზემოაღნიშნულ საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე ჩვენი ჰიპოთეზა შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: თუ პოსტ-საბჭოთა ქვეყენაში ხელისუფლება ატარებს სწორ ინდუსტრიულ პოლიტიკას, მაშინ, მუხედავად დაბრკოლებებისა, ქვეყენის ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზრდება. აქედან გამომდინარე, ჩვენი დამოუკიდებელი ცვლადი იქნება სახელმწიფო ინდუსტრიული პოლიტიკა, ხოლო დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ხარისხი.ჩვენს კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით სხვადასხვა ემპირიულად მოძიებული მონაცემების, ექსპერტებისა და ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერების ნაშრომების გაანალიზებით. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების სიმრავლიდან და მათი ეკონომიკური პრობლემების ჰომოგენურობიდან გამომდინარე, შევეცდებით ჩვენი კვლევა დავავიწროვოთ და პროცესის მიყოლის ქეისის საშუალებით განვიხილოთ პოლონეთის მაგალითი, აღვწეროთ მისი ინდუსტრიალიზაციის პროცესები და შედეგები, რაც ინდუსტრიულ პოლიტიკას მოჰყვა.

საკვანძო სიტყვები: ინდუსტრიალიზაცია, მშპ, დასაქმება, განვითარება.

ძირითადი ნაწილი.

სოციალისტური ინდუსტრიის პრობლემების მიმოხილვა. სოციალისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირის ინდუსტრია მკვეთრად განსხვავდებოდა დასავლეთში არსებული ინდუსტრიული პოლიტიკისგან. საბჭოთა კავშირის ინდუსტრია სრულ იზოლაციაში, კონკურენციის არარსებობის პირობებში ვითარდებოდა და ამიტომ შეუძლებელი იყო ახალი ტექნოლოგიების სწრაფად შექმნა და მათი განვითარება. თითოეულ სოციალისტურ ქვეყნას, მისი დაშლის შემდეგ მემკვიდრეობად: მოძველებული ტექნოლოგიები, ცუდი ხარის-

ხის პროდუქცია და გასაღების ბაზრად მხოლოდ პოსტ-საბჭოთა სივრცე ერგო. მიუხედავად იმისა რომ მალევე აღმოჩდნენ ტრანზიციული ქვეყნების რიგებში, მათ ინდუსტრიულ ნაწარმს არ შეეძლო მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება მანამ, სანამ არ მოხდებოდა ამ უკანასკნელის შესაძლებლობებისა და ტექნოლოგიების მოდერნიზება. ეს ყველაფერი კი სტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემო პირობებს მოითხოვდა, რომლებიც სამწუხაროდ დღესაც არ აქვთ სრულყოფილი ფორმით და ეს ყველაფერი მათს მდგომარეობაზე აისახება კიდეც.

ტექნოლოგიების, ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობასთან ერთად პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არ არსებობდა ინდუსტრიული ელიტა, ანუ გარკვეული მასა ბიზნესმენებისა, რომლებიც შეთანხმებულად და უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით საფუძველს ჩაუყრიდნენ ახალი კაპიტალისტური ინდუსტრიის მშენებლობას. ასეთმა გათიშულობამ კი გზა გაუხსნა ეკონომიკური კონტროლის სურვილით შეპყრობილ რუს ინვესტორებს, რომლებმაც მსხვილი კაპიტალ დაბანდებებით მნიშვნელოვნად მოიკიდეს ფეხი მთელ რიგ ახლად განთავისუფლებულ ქვეყნებში.

სანამ უშუალოდ პოლონეთის მაგალითის განხილვას დავიწყებთ, უპრიანი იქნება თუ სხვადასხვა ავტორების ნაშრომებსაც მოვიშველიებთ, რომლებიც უფრო კონკრეტულად საუბრობენ ინდუსტრიალიზაციის პროცესების სარგებელსა და მის ხელისშემშლელ ფაქტორებზე.

თეორიული დისკურსი ინდუსტრიალიზაციის ფენომენზე. მსჯელობას დავიწყებთ სუზან სკიტის მოაზრების მოშველიებით ,რომელიც თვლის ,რომ ინდუსტრიალიზაციის პროცესები ზრდის მოთხოვნას სამუშაო ძალაზე, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშემწყობ ფაქტორად[1].

საყურადღებოა ,რომ არსებობენ მთელი რიგი მეცნიერები, რომლებიც ხაზს უსვამენ იმ ფაქტორებს, რომლებიც დიდ

1 Skeath, Susan E. "Industrialization and Labor Demand." Eastern Economic Journal (1993): 209-221.

როლს თამაშობენ ინდუსტრიალიზაციის პროცესების სწორად წარმართვაში. განხილვას დავიწყებთ რიჩარდ აუტით, რომელიც მთავარ პირობად ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას სახავს და შიდა სახელმწიფოებრივ კონფლიქტებს კაპიტალის დაგროვების ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევს[1]. აუტის მოსაზრების ერთგვარ განვითარებას გვთავაზობს იმანუელ ვალერშტაინი, რომელიც თვლის, რომ განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორია მათი დამოკიდებულება მაღალ განვითარებული ინდუსტრიის მქონე ქვეყნებზე, რომლებიც „დაპყრობილ„ სახელმწიფოებში ნედლეულის მოპოვებასა და იაფი მუშა ხელის გამოყენებაზეა ორიენტირებული[2]. პოლ კოლიერი კი ამ ფაქტორებს თავად ბუნებრივი რესურსების არსებობასაც უმატებს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია ეფექტური ინდუსტრიის შექმნა და მისი განვითარება[3].

ზემოთ ხსენებული ავტორების მოსაზრებების დაყრდნობით უპრიანი იქნება თუ მსჯელობას ალისია ამსდენის მოსაზრებით დავასრულებ. იგი მიიჩნევს რომ ინდუსტრიულ განვითარებას სჭირდება გარკვეული პირობები, მაგალითად ინდუსტრიული მემკვიდრეობის არსებობა. ასევე გააჩნდეს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს საერთაშორისო ვაჭრობის იმპულსებს და შეძლოს გარკვეულ იმპორტირებულ პროდუქციაზე შეზღუდვების დაწესება ისევ და ისევ საკუთარი ინდუსტრიული წარმოებისთვის სასათბურე პირობების შექმნის მიზნით[4].

პოლონეთის ინდუსტრიული პოლიტიკის შედეგების მიმოხილვა. პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ინდუსტრიული კომპლექსის განვითარებით საკამოდ დიდ წარმატებას პოლო-

1 Auty, Richard M. "How natural resources affect economic development. “Development Policy Review 18, no. 4 (2000): 347-364.

2 Wallerstein, Immanuel. The modern world-system I: capitalist agriculture and the origins of the European world-economy in the sixteenth century, with a new prologue. Vol. 1. Univ of California Press, 2011.

3 Collier, Paul. Breaking the conflict trap: Civil war and development policy. World Bank Publications, 2003.

4 Amsden, Alice H. The rise of the rest: challenges to the west from late-industrializing economies. Oxford University Press, 2001.

ნეთმა მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მსგავსად სხვა ქვეყნებისა, პოლონეთის ეკონომიკაც მკაცრად ცენტრალიზებული და ზემოდან მართველობის პრინციპზე დამყარებული იყო. პოლონეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 45% მძიმე მრეწველობაზე მოდიოდა, ამ მხრივ მას საკმაოდ დიდი მემკვიდრეობა დარჩა, თუმცა წარმოებაც განიცდიდა ცენტრალური ხელისუფლების „რეპრესიებს„ და ამიტომ ამ უკანასკნელის ტრანზიცია სოციალისტურიდან კაპიტალისტურ მოდელზე მრავალი დაბრკოლების გადალახვას მოითხოვდა.

პირველ რიგში საჭირო გახდა მრეწველობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, მაგალითად, დაბალანსებული ბიუჯეტი, ფასების სტაბილურობის შენარჩუნება, სწორი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა. ყველა ეს ფაქტორი გათვალისწინებული იყო ბალცეროვიჩის გეგმაში, რომელიც შოკური თერაპიის საშუალებით პოლონეთის ეკონომიკურ განვითარებას ისახავდა მიზნად.

ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ პოლონეთის ინდუსტრიულ პოლიტიკაზე. აღნიშნული პოლიტიკის მიხედვით უნდა შემცირებულიყო სახელმწიფო კონტროლი ინდუსტრიებზე, რომელიც გამოიწვევდა კერძო სექტორის გაფართოებას და ხელფასებს განსაზღვრავდა საბაზრო პირობების შესაბამისად. შოკური თერაპია გარკვეულ წილად წარმატებით ხორციელდებოდა უკვე 1990-იან წლებში, პოლონეთში ათასობით კერძო ქარხანა-ფაბრიკა შეიქმნა. ეს ყველაფერი კი ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის შესაფერისი პირობების შედეგად მოხდა. პოლონეთში ინდუსტრიალიზაციის პროცესები დინამიურად ვითარდებოდა და ამჟამად საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია ამ კონკრეტულ სფეროში. მაგალითად, პოლონეთში ინდუსტრიული ნაწარმი 1992 წელთან შედარებით 2015 წლისთვის 6.51%-ით გაიზარდა, ხოლო მრეწველობის ხვედრითი წილი პოლონეთის მშპ-ში 33.3%. ყველაზე განვითარებულ დარგად ქიმიური მრეწველობა მიიჩნევა, თუმცა აღსანიშნავია, რომ დანარჩენი დარგების მიერ წარმოებული პროდუქციაც საკმაოდ კონკურენტუნარიანია და დამკვიდრე-

ბულია ევროპულ ბაზარზე.

როგორც ზემოთ ითქვა, კარგად განვითარებული ინდუსტრია სოციალური კეთილდღეობის გარანტია. პოლონეთის მაგალითზე კი ეს მოსაზრება გამართლებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მოსახლეობის 29% დასაქმებულია ინდუსტრიულ სექტორში, რომელთა წლიური ხელფასი მაგ. 2008 წლისთვის 16000 დოლარი იყო და ეს კონკრეტული მაჩვენებელი გამუდმებით იზრდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ უმუშევრობის დონე თანდათანობით მცირდება და პოლონური ეკონომიკა ძლიერდება, მასინ შეიძლება ითქვას, რომ , ყოველივე ეს დიდი წილად ინდუსტრიალიზაციის პროცესების სწორად წარმართვამ გამოიწვია.

დასკვნა. მიუხედავად ტრანზიციულ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური დაბრკოლებებისა, თუ სახელმწიფო სწორად წარმართავს მის როგოც ეკონომიკურ ისე ინდუსტრიულ პოლიტიკას, შედეგად მივიღებთ გაზრდილ მშპ-ს, ახალ სამუშაო ადგილებსა და სოციალური პირობების საგრძნობ გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ,რომ , თუ სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიც, პოლონეთის მსგავსად, სწორ ინდუსტრიულ პოლიტიკას შეიმუშავებენ, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ ინდუსტრიალიზაციისათვის დამახასიათებელი მრავალი ეკონომიკური სარგებელი. თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, რომ აუცილებელია გათვალისიწინებულ იქნას ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური ვითარება, რომლის უგულებელყოფაც არასწორი დასკვნების გამოტანამდე მიგვიყვანს.

THE INFLUENCE OF THE INDUSTRIALIZATION PROCESS ON THE DEVELOPMENT OF THE ECONOMIC POTENTIAL OF THE TRANSITIONAL COUNTRIES

Giorgi Khidesheli
Gocha Lobjanidze
Guga Berdzenishvili
Students of Tbilisi State University

SUMMARY

The article discusses the discourse of the industrialization in the post- soviet counties, what obstacles they faced and what kind of consequences it all had. Therefore, the hypothesis is the following: if the government has the proper policy towards the industrialization, the economic potential of the country will boost regardless the different kind of hurdles. We will try to answer all the questions through the empirical findings and analysis of the field researchers. Because of the number and homogeneity of the post -soviet countries the article will have a case study design and focus on the example of Poland, describe its industrialization processes and the results that followed.

Key words: Industrialization, GDP, employment, development.

ბიბლიოგრაფია

- Amsden, Alice H. *The rise of the rest: challenges to the west from late-industrializing economies*. Oxford University Press, 2001.
- Auty, Richard M. "How natural resources affect economic development. *"Development Policy Review* 18, no. 4 (2000): 347-364.
- Collier, Paul. *Breaking the conflict trap: Civil war and development policy*. World Bank Publications, 2003.
- Skeath, Susan E. "Industrialization and Labor Demand." *Eastern Economic Journal* (1993): 209-221.
- Wallerstein, Immanuel. *The modern world-system I: capitalist*

agriculture and the origins of the European world-economy in the sixteenth century, with a new prologue. Vol. 1. Univ of California Press, 2011.

ინტერნეტ წყაროები:

• Tradingeconomics. Poland Insutrial Production. http://www.tradingeconomics.com/poland/industrial-production

• Prospectjournal. Shock Therapy: What we can learn from Poland. http://prospectjournal.org/2010/11/11/shock-therapy-what-we-can-learn-from-poland/

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 28.05.2015წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.06.2015 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,125